ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 036 (12715) 14 თებერვალი შაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ერთა თასი

საქართველო პორტუგალია

დღეს. ეროვნული სტადიონი. 16:15

პირველ არხზე Live

# ხელი ხელს და პორტუგალიას!



## გავაგრძელოთ წარმატებული სვლა!

» 11

## მთავარი მატჩი კვირას

## დინამო VS სიონი





საქართველოს ჩემპიონატი. ტურის წინთქმა

» 2

## სირაძე ჩეჩნეთში არ წავიდა



ირლანდიასთან მატჩისთვის დავით სირაძე გამოძახებული იყო, როგორც გროზნოს „ტერეკის" ფეხბურთელი, თუმცა დუბლინური მარცხის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა. საქმე ისაა, რომ ჩეჩნური კლუბის მიერ შეთავაზებულ პირობებზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, საქმეში ჩართული იყო ფეხბურთელის მენეჯერიც და თავად სირაძესაც არ ხიბლავდა არცთუ კარგ ჯამაგირზე ჩეჩნეთში გადაბარგების ვარიანტი...

ალბათ, სირაძე უგუნდოდ არ დარჩება, თუმცა ამ დროისთვის კონკრეტული წინადადებით მისთვის არავის მიუმართავს.

დავით თავართქილაძე









## არიან თუ არა ისინი მზად ეროვნულისთვის?

თემა განსასჯელად

» 3

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XIX ტურის წინათქმა

**14.02.09. რუსთავი. ფოლადი. 14:00**
ოლიმპი – გაგრა
არბიტრი: ო. ხეცაძე.
ასისტენტები: ს. სპიცინი, დ. კვეტენაძე.
მეოთხე მსაჯი: ზვ. ასკაროლლი.
დისკვალიფიკაცია: დავით გიგაური (გაგრა)

**14.02. თბილისი. მ. მესხი. 14:00**
ლოკომოტივი – სპარტაკი (Live)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია.
ასისტენტები: კ. ბერაძე, ო. მოლოდინაშვილი.
მეოთხე მსაჯი: თ. გვანცელაძე.
დისკვალიფიკაცია: გიგა იაშვილი (სპარტაკი)

**15.02. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 14:00**
მესხეთი – მგლები
არბიტრი: ვ. გუმბერიძე.
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე.
მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე.
დისკვალიფიკაცია: ვლადიმერ ლიპარტია (მგლები, მწვრთნელი)

**15.02. თბილისი. ეროვნული. 14:00**
დინამო – სიონი (Live)
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი.
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, დ. კურტანიძე.
მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი.
დისკვალიფიკაცია: გივი დიდავა (სიონი)

**15.02. ზესტაფონი. ცენტრალური. 14:00**
ზესტაფონი – ბორჯომი
არბიტრი: მ. ურუშაძე.
ასისტენტები: გ. ყრუაშვილი, ზვ. ერქვანია.
მეოთხე მსაჯი: კ. ჭაჭუა.
დისკვალიფიკაცია: ილია ლომიძე (ბორჯომი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი)

# პირველი წრის გამოძახილი

...ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ტურში ერთი (ხან - ორი) ისეთი შეხვედრაა, ცენტრალურად თუ პრინციპულად რომ მივიჩნევთ. ის „იშვიათი გამონაკლისი" სწორედ წინა ტურში იყო, ახლა კი სულ მცირე ორი თვე არაერთი დამაინტრიგებელი შეხვედრა გველოდება. იმის იმედიც ვიქონიოთ, რომ XIX ტური წინასგან სხვა რამითაც იქნება განსხვავებული; უპირველეს ყოვლისა, შედეგიანობით - აბა, მეორე ეტაპის სანყის ტურში ხუთ მატჩში რომ ხუთი გოლი გავიდა, ეს რა მაჩვენებელია?

...მეოცე ჩემპიონატის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი ინტრიგის შენარჩუნებაა. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რომ უდიდეს ყურადღებას ანიჭებს ჩვენს ჩემპიონატს. რაღა შორს მივდივართ: ირლანდიასთან შესარჩევი მატჩისათვის საქართველოს ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ათი ფეხბურთელი იყო გამოძახებული: **გიორგი ლომაია, რონინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, ალექსანდრე კვახაძე, უჩა ლობჟანიძე, გურამ კაშია, ლუკა რაზმაძე, ლევან ხმალაძე, მურთაზ დაუშვილი და გიორგი მერებაშვილი.** აბა, გაიხსენეთ, როდის იყო მსგავსი რამ?

ახლა კი, ალბათ, დროა, XIX ტურზე ვისაუბროთ და უპირველესად, რაღა თქმა უნდა, ცენტრალური მატჩი ვახსენოთ: თბილისის „დინამო" - ბოლნისის „სიონი". შეგახსენებთ, რომ მოქმედი ჩემპიონი წინა ტურში ისვენებდა და აქედან გამომდინარე, „დინამოსთვის" მეორე ეტაპი ხვალიდან იწყება. ისიც ბევრჯერ გვითქვამს, რომ პროგნოზებისგან თავის შეკავება გვმართებს, მაგრამ ვერც ამ ფაქტს გავექცევით: „სიონთან" შეხვედრაში „დინამოს" ფავორიტის სტატუსი ექნება! ამას კი ერთდროულად რამდენიმე მიზეზი აქვს: მოქმედი ჩემპიონი გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ცხრა ქულით ჩამორჩება და „სიონთან" მატჩში გამარჯვების გარდა ნებისმიერი სხვა შედეგი წარუმატებლობად უნდა შეფასდეს. ამას გარდა, **ცობელის** გუნდს მომდევნო ორი შეხვედრაც უაღრესად პრინციპული და რთული ელოდება: ჯერ - „ვიტ ჯორჯიასთან", მერე - „ზესტაფონთან". თანაც, „სიონის" ჩათვლით სამივე მატჩი „დინამომ" თერთმეტ დღეში უნდა ჩაატაროს - ეს კი, დაგვეთანხმებით, არცთუ პატარა ამბავია. მეორეს მხრივ, „დინამოს" სხვა გუნდებთან შედარებით


ოთარ კორღალიძე


რაინერ ცობელი

სერიოზული პლუსიც აქვს - გუნდი ზამთრის პაუზის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა და ამჟამად, ფაქტობრივად, თითოეულ პოზიციაზე ორი ფეხბურთელია. ანუ, **ცობელის** გუნდში კონკურენცია გაიზარდა, თანაც დიდი ინტერესით ველოდებით დებიუტანტების გამოჩენასაც: არ არის გამორიცხული, რომ ხვალინდელ შეხვედრაში ოთხივე ახალწვეულმა (**ალექსანდრე კოშკაძე, შოთა ლომია, დანილო ტომიჩი, მარკო ჩარასი**) ითამაშოს. სხვათა შორის, კოშკაძე სწორედ... „სიონიდან" გადმოვიდა „დინამოში"; ეგ კი არა, პირველი წრის შეხვედრაში, რომელიც ბოლნისში ჩატარდა და „დინამოს" გამარჯვებით დასრულდა, სტუმართა კარში გოლის ავტორი... კოშკაძე გახლდათ! რაკი ეს მატჩი გავიხსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ პირველი ეტაპის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა იყო. ოღონდ არცთუ ობიექტურმა მსაჯობამ საინტერესო დაპირისპირებას ცოტა ჩრდილი მიაყენა. ყოველ შემთხვევაში, **მათე ვაწაძეს** გოლი სრულიად უსაფუძვლოდ არ ჩაუთვალეს. თუმცა „დინამოს" ფორვარდმა იმ დღეს თავი მაინც გამოიჩინა, როცა ეფექტური გოლით ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში კი **გიორგი მერებაშვილმა** თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა და ამით კვლავაც გაგრძელდა ტრადიცია: წლების განმავლობაში „დინამოსთვის" ერთ-ერთი ყველაზე უსასურველი მეტოქე სწორედ „სიონია". ყოველივე ეს, ალბათ, ბოლნისური კლუბის ახლანდელმა თავკაცმაც - **ოთარ კორღალიძემაც** კარგად იცის; მოკლედ, „სიონს" მშვენიერი შანსი ეძლევა, რომ საკუთარი ამბიციები ასეთ ძლიერ მეტოქესთან დაამტკიცოს. მით უფრო, რომ შემადგენლობით „სიონი" უმაღლეს ლიგაში, ალბათ, არავის ჩამოუვარდება. თუმცა, მიზეზთა გამო, „სიონი" ჯერჯერობით მხოლოდ მეხუთე ადგილზეა. არადა, პოტენციალი ამ გუნდს რომ უფრო მეტი აქვს, მტკიცება არ სჭირდება.

ახლა კი სხვა მატჩებზეც ვთქვათ და დღევანდელი შეხვედრებით დავიწყოთ. რუსთავში საინტერესო მატჩის მომსწრე უნდა გავხდეთ: მაღალი ადგილებისათვის მებრძოლი „ოლიმპი" კვლავაც შეეცდება წაუგებელი სერიის გაგრძელებას. ჰო, სულ მალე ოთხი თვე გახდება, „ოლიმპმა" დამარცხების სიმწარე რომ იგრძნო - მას მერე **ვარლამ კილასონიას** გუნდმა მართლაც შთამბეჭდავი სერია შემოგვთავაზა. ცნობისათვის: ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა და იმ დროისთვის „ოლიმპი" ხუთი ქულით... ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფებოდა! საკუთარი მიზნები აქვს „გაგრასაც" - **ვლადიმერ ხაჩიძის** ახალგაზრდული გუნდი ყველა მატჩში ძვირფასი ქულების მოსაპოვებლად იბრძვის. სხვანაირად ვერც გამოვაცხრილის მეორე ნახევარშიც გვარიანი დაძაბულობაა და უმაღლეს ლიგასთან გამოთხოვებასაც არავინ აპირებს.

„გაგრაზე" უარესი სატურნირო მდგომარეობა (თანაც - ბევრად) აქვს „სპარტაკი" - **სერგო გაბელაიას** გუნდი რვა ქულით ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფება. მეორე ეტაპი „სპარტაკმა" მშვენივრად დაიწყო: ბევრი არ ელოდა, აუტსაიდერი ბოლნისიდან ქულას თუ წამოიღებდა. სერგო გაბელაიას გუნდის უმთავრესი პრობლემა ამჟამად ახალწვეულთა ერთმანეთში შეთამაშებაა - ასეთი კი „სპარტაკში" ლამის უმრავლესობას წარმოადგენს. სხვათა შორის, „ლოკომოტივზეც" ვერავინ იტყვის, რომ ამ გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილი უკვე შენარჩუნებული აქვს. თუმცა, რატომღაც გვგონია, რომ **გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის** გუნდს ეს პრობლემა არ უნდა აწუხებდეს. გასაგებია, რომ მეორე ეტაპის დაწყებამდე „ლოკომოტივიდან" თითქმის ყველა ლიდერი (**ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია, ირაკლი სამხარაძე**) წავიდა, მაგრამ გუნდში **გიორგი ლომაიას** გარდა ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდაც დარჩა. ამ ბიჭებს კი თამაში რომ შეუძლიათ, წინა ტურში „გაგრასთან" მატჩშიც დაამტკიცეს - იმ შეხვედრაში თუ ვინმე იმსახურებდა გამარჯვებას, სწორედ „ლოკომოტივი" იყო. ისე, დღევანდელ მეტოქეთა პირველ წრეში ჩატარებული მატჩიც უნდა გავიხსენოთ, რომელიც „ლოკომოტივის" დამაჯერებელი გამარჯვებით (4:1) დასრულდა. საინტერესოა, რომ იმ პერიოდისთვის „ლოკომოტივი" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი იყო 18 ქულით...

...პირველ წრეში თუ რაიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა, ერთ-ერთი „ბორჯომი"-„ზესტაფონის" საყაიმო ანგარიში იყო. აი, ამას კი ბევრი მართლაც ვერ იფიქრებდა: ფინანსურად შეჭირვებულმა „ბორჯომმა" ძლიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია და ორი მეტად საჭირო ქულაც დააკარგვინა. სწორედ ამის გამოც დაჩრდილა იმ ტურის და პირველი წრის კი არა, საერთოდ, მთელი სეზონის მოვლენა: „ზესტაფონის" უბერებელმა ფორვარდმა **ზურაბ იონანიძემ** ეროვნულ ჩემპიონატებში მეოთხასე მატჩი ჩაატარა! „ბორჯომი"-„ზესტაფონის" მატჩი სხვა მხრივაც იყო დასამახსოვრებელი, ოღონდ, აშკარად საპირისპირო განწყობით: სწორედ იმ შეხვედრის მერე მოხდა ინციდენტი „ზესტაფონის" პრეზიდენტს **ილია კოკაიასა** და ამავე გუნდის ვეტერან მეკარეს **გრიგოლ ჭანტურიას** შორის. ამის მერე თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ყველას კარგად მოეხსენება. ერთადერთი, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით გრიგოლ ჭანტურია ბოლნისის „სიონის" კარს იცავს...

პირველი წრის მატჩებს ვიხსენებთ და „მგლები"-„მესხეთის" შეხვედრაც უნდა ვახსენოთ. ჰო, აქაც ბევრისთვის მოულოდნელი შედეგი ვნახეთ: **კობა თედიაშვილის** გუნდმა ზუგდიდიდან სამი ქულის წამოღება შეძლო! ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ადგილობრივმა ქომაგებმა სტუმართა გუნდი ტაშით გააცილეს! რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ალბათ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ მატჩს ორივე გუნდისთვის. ჰო, „მესხეთიც" და „მგლებიც" სატურნირო ცხრილში გვერდი-გვერდ იმყოფებიან და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვიან. საინტერესო იქნება **გიორგი სომხიშვილის** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშიც - „მგლების" დღევანდელი მეკარე ხომ პირველ წრეში „მესხეთის" ერთ-ერთ წამყვან და შეუცვლელ მოთამაშედ მიიჩნეოდა...

**გია ტუხაშვილი**

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 4 | 1 | 30-10 | 40 | 6 | 1 | 1 | 16-5 | 19 | 6 | 3 | 0 | 14-5 | 21 |
| 2. დინამო | 15 | 10 | 1 | 4 | 32-12 | 31 | 6 | 1 | 0 | 22-5 | 19 | 4 | 0 | 4 | 10-7 | 12 |
| 3. ოლიმპი | 16 | 7 | 7 | 2 | 18-10 | 28 | 4 | 4 | 0 | 9-2 | 16 | 3 | 3 | 2 | 9-8 | 12 |
| 4. ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 16-9 | 27 | 5 | 0 | 3 | 10-5 | 15 | 3 | 3 | 1 | 6-4 | 12 |
| 5. სიონი | 16 | 6 | 7 | 3 | 17-10 | 25 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 10 | 4 | 3 | 1 | 8-2 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 16 | 7 | 2 | 7 | 20-15 | 23 | 4 | 0 | 4 | 9-5 | 12 | 3 | 2 | 3 | 11-10 | 11 |
| 7. მგლები | 17 | 5 | 3 | 9 | 16-23 | 18 | 4 | 1 | 4 | 10-7 | 13 | 1 | 2 | 5 | 6-16 | 5 |
| 8. მესხეთი | 16 | 4 | 4 | 8 | 12-24 | 16 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 | 2 | 1 | 5 | 4-14 | 7 |
| 9. გაგრა | 17 | 4 | 4 | 9 | 13-26 | 16 | 4 | 3 | 2 | 10-9 | 15 | 0 | 1 | 7 | 3-17 | 1 |
| 10. ბორჯომი | 16 | 2 | 5 | 9 | 15-35 | 11 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 | 1 | 2 | 6 | 8-25 | 5 |
| 11. სპარტაკი | 15 | 2 | 2 | 11 | 11-26 | 8 | 1 | 1 | 6 | 8-16 | 4 | 1 | 1 | 5 | 3-10 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| კოშკაძე (სიონი) | 6 |
| მერებაშვილი (დინამო) | 6 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 6 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 6 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ვინ დაარიგა ჭკუა კუპერს?

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა




ყველაფერი შედარებითია. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მიმდინარე შესარჩევში ხუთი მატჩი ითამაშა, 3 წააგო და 2 ფრედ დაასრულა, შესაბამისად, 2 ქულა მოიპოვა.

ახლა ისიც ვნახოთ, რა შედეგი ჰქონდა საქართველოს ნაკრებს წინა შესარჩევის პირველ ხუთ შეხვედრაში - 4 წაგება და 1 მოგება, 3 ქულა.

მოკლედ, **კლაუს ტოპმიოლერს** უკეთესი შედეგი ჰქონდა, ვიდრე **ექტორ კუპერს,** მაგრამ კუპერის განვრთნილი საქართველოს წარუმატებლობები, თითქოს, უფრო მსუბუქად გადასატანია, ვიდრე ტოპისეული გუნდის. რატომ გამოიკვეთა ასეთი ტენდენცია?

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ტოპმიოლერი საქართველოს პრეზიდენტსაც კი შეხვდა სახელმწიფო კანცელარიაში, ტოპის დანიშვნა მეტისმეტად პომპეზური გამოდგა, კუპერისა კი ბევრად მოკრძალებული.

ტოპმიოლერის სამწვრთნელო შტაბს ბევრად მეტი ანაზღაურება ჰქონდა, ვიდრე არგენტინელს და მის თანაშემწეებს.

ტოპმიოლერის ნაკრებისგან უფრო მეტს ველოდით, ვიდრე ახლა კუპერისგან ველით - თითქოს, თავიდანვე შეგუებულები ვიყავით იმას, რომ ჩვენი ნაკრები სამხრეთ აფრიკაში ვერ მოხვდებოდა.

კუპერი არ ერევა ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების საქმეში, არ სურს არანაირი მონოპოლია, ტოპმიოლერმა კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში ფეხბურთის ფედერაციას სულაც საკუთარი ძმა დაანიშნინა მწვრთნელად.

ტოპმიოლერისგან განსხვავებით კუპერი თბილისში ცხოვრობს, სეირნობს ჭავჭავაძის გამზირზე და ვახშმობს კაფე „სეგაფრედოში". სენიორ კუპერი, ჰერ კლაუსისგან განსხვავებით, დაუზარლად დადის ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზე და ნაკრებში უხვად იწვევს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს. ტოპისგან განსხვავებით, კუპერს არ უთქვამს - საქართველოს ჩემპიონატში ხარისხი ისეთი დაბალია, სანაკრებოდ საინტერესო ფეხბურთელები თითქმის არ მეგულებაო...

ერთი სიტყვით, კუპერი ჭკვიანურად იქცევა. მან თითქოს ყველაფერი იცის, რაც ტოპის დროს ხდებოდა... თითქოს, ვიღაცამ ჭკუა დაარიგა...

ცხადია, ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, საბოლოო ჯამში ტოპი უფრო ჭკვიანი გამოდგება თუ კუპერი, მაგრამ ყოველივე ეს საყურადღებო კი უნდა იყოს - საქმე ხომ საქართველოს ეროვნულ გუნდს ეხება.

წარუმატებლობები უთუოდ გაახუნებს კუპერის იმიჯს. მის საქმიანობაზე, **წესით, სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ** ფეხბურთის ფედერაციაში. რა თქმა უნდა, მწვრთნელის საქმიანობაში არავინ უნდა ჩაერიოს, მაგრამ ფედერაციას საკმაოდ ბევრი რამ დაუგროვდა ისეთი, რაც ნაკრების მწვრთნელს უნდა მოჰკითხოს.

ქართულ გუნდებში მოთამაშე ნაკრებელებზე დასაკვირვებლად კუპერი ანთალიაშიც ჩავიდა, ის მართავს „სამშაბათობებს"... ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ მწვრთნელის საქმიანობა, პირველ რიგში, შედეგით იზომება, შედეგით, რომელიც ჩვენს ნაკრებს ჯერჯერობით უწინდელზე უარესი აქვს...

## კუპერი ვერ დაგვაჯერებს

კუპერის გემოვნებაზე არა ერთხელ დაგვიწერია. „ვალენსიასა" თუ „ინტერში" მას ისეთ ფეხბურთელებთან უმუშავია, ძალიან ძნელია გემოვნებაზე სიტყვის ჩამოგდება... თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

ჩვენ ბევრი კარგი ფეხბურთელი გვინახავს საქართველოს ნაკრებში. ბევრჯერ არასწორი პოზიცია გვქონია, ბევრჯერ არასწორად შეგვიფასებია ამა თუ იმ ფეხბურთელის გარჯა, მაგრამ იმაში კი კარგად ვერკვეოდით, რომ **გიორგი ქინქლაძე და გოჩა ჯამარაული გიორგი დარასელიაზე** ნიჭიერები იყვნენ. ჩვენ ვხედავთ ნიჭს და ვერ ვჭვრეტთ სიტუაციას - ქართულ საფეხბურთო მილეთს ხშირად ემართებოდა ეს.

ვფიქრობთ, ამ მხრივ სიტუაცია დიდად არ უნდა იყოს შეცვლილი. კუპერი კი თითქოს თვალს გვიხვევს. არა ერთხელ წამოიჭრა **ლევან ცქიტიშვილის** საკითხი. სანამ ვისბადენის „ვეენში" გადავიდოდა, ეროვნულ ჩემპიონატში საუკეთესო იყო - არ გვგონია, ეს ძალიან თამამი ნათქვამი იყოს და თუ ვინმე სხვა აზრისაა, მაშინ დაგვისახელოს საქართველოს ჩემპიონატში ცქიტიშვილზე კლასიანი და კარგი ფეხბურთელი. კუპერი ვერ დაგვაჯერებს იმაში, რომ **ლუკა რაზმაძე** და **ლევან ხმალაძე** ცქიტიშვილზე უკეთ ათვინიერებენ ბურთს ან რაიმე სხვა კომპონენტში მასზე ძლიერები არიან, მაგრამ კუპერმა ცქიტიშვილს ნაკრების კარი მიუხურა. არ გვყავს არც **ინიესტა** და არც **დეკუ,** გვყავს ცქიტიშვილი და მასაც არ ათამაშებენ ნაკრებში - რატომ?

კუპერი ვერც იმას დაგვიმტკიცებს, რომ საქართველოს ჩემპიონატში ისეთი ნახევარმცველები გვყავს, **გოგიტა გოგუას** რომ სჯობნიან. კუპერი საქართველოს ჩემპიონატში ვერ დაგვანახებს ისეთ ფეხბურთელს, **დავით მუჯირივით** შეეძლოს პასის შესრულება, კარში დარტყმა თუ ბურთის გაგორება. კუპერი აინუნშიც არ აგდებს **ალექსანდრე ამისულაშვილს, ლევან გვაზავას, გოგა ხოჯავას, დიმიტრი ტატუხაშვილს, კახა ალადაშვილს...**

კუპერის ასეთი ხელწერა გაუგებარი და უშედეგოა. კუპერის გულისთვის საქართველოში ესპანურენოვანი გაზეთისა თუ ტელეარხის შექმნას არავინ დააპირებს, არადა, კრიტიკა და კითხვების დასმა აუცილებელია თავად მწვრთნელისთვის, რადგან... ის მწვრთნელია. კუპერს არ უყვარს ინტერვიუები და ეს მისი უფლებაა, თუმცა არც ის არის ნორმალური, მწვრთნელი მხოლოდ პრესკონფერენციებზე რომ პასუხობს ქართველ ჟურნალისტთა კითხვებს. პრესკონფერენცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მწვრთნელმა ყველა იმ კითხვას გასცეს ამომწურავი პასუხი, რაც აქტუალური და საჭირბოროტოა. ასე ხომ ის ძალიან კარგად იცავს თავს დისკომფორტისგან, აილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას და საუკეთესო სურვილებით დაგვემშვიდობება - ასეთია მწვრთნელის და საქართველოს ხვედრი.

## ისევ თავის ძნევა თუ ქართველი?

ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში **გიორგი ნემსაძემ** თქვა - ხელისუფლება კლაუს ტოპმიოლერის ჯამაგირისთვის რომ გამოდის ფულს, ამით ხალხის მოთხოვნას ასრულებსო. საქართველოს ნაკრებში ცნობილი, გამოცდილი უცხოელი მწვრთნელის მოწვევა მართლაც აქტუალური გახლდათ. ნემსაძემ ჩვენზე კარგად იცის, თუ როგორ სჭირდებოდა მის თაობას ასეთი მწვრთნელი. **ცხადაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, ქეცბაია, არველაძე...** ასეთ ანსამბლს არ ჰყოლია სახელგანთქმული უცხოელი მწვრთნელი. **იოჰან ბოსკამპი** გაელვებას ჰგავდა - უკვე ნაგებულ შესარჩევში მოვიდა და მალევე წავიდა. არ იყო ფული და სახელმწიფოს დახმარება...

სამაგიეროდ, იყო გაუთავებელი ლაპარაკი იმაზეც, რომ „ჩვენი ფეხბურთელები ნაკრებში ფეხებს უფრთხილდებიან" და რომ „ძალიან მაგარი მწვრთნელია **რევაზ ძოძუაშვილი,** ვისაც უსამართლოდ ექცევიან და ნაკრების მთავარ მწვრთნელად არ ნიშნავენ"...

საქართველომ ძალიან ბევრ რამეს გაუძლო, თუმცა ეს ძვირად დაუჯდა. ძვირი დაჯდა ტოპის ხელფასი და არ გვგონია, კუპერის სამსახურიც იაფი იყოს. როცა კარგ მწვრთნელზეა ლაპარაკი, ფულის თვლა ცოტა უხერხულია, მაგრამ უხერხულია ისიც, რომ ფულს ვიხდით და შედეგი მაინც არ არის, როცა ნაკრებში სხვაზე უკეთეს ფეხბურთელებს არ იძახებენ...

რამდენიმე წლის წინათ მართლაც დიდი დეფიციტი იყო საინტერესო ქართველი მწვრთნელი, ახლა კი ასე აღარ არის - **თემურ ქეცბაიამ** დიდ წარმატებებს მიაღწია, კარგ გზას ადგას **შოთა არველაძე,** ვნახოთ, როგორ გაართმევს საქმეს თავს **კახა ცხადაძე,** გვყავს **გია გეგუჩაძეც...**

ახლა ისიც ვიკითხოთ, როგორია დღეს ხალხის მოთხოვნა. ვფიქრობთ, სიტუაცია კარგად მომწიფდა საიმისოდ, რომ ეროვნული ნაკრები ქართველ მწვრთნელს ჩავაბაროთ. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი მწვრთნელებიდან ამ ეტაპზე ყველა ვერ იქნება მზად, ეროვნულ ნაკრებს გაუძლვეს, მაგრამ ისინი ასპარეზზე მძლავრად გამოჩნდნენ. მათი პოზიციებიც უკვე მძლავრია. მათ უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ საქართველოს ნაკრებზე, ქართველ ფეხბურთელებზე, ჩვენს ცუდსა და კარგზე, მათ დაგვანახვეს, რომ საინტერესო მწვრთნელები არიან, აქვთ ამბიცია და ისეთი თვალსაწიერიც, უცხოელ მწვრთნელებს რომ დაეტოლონ.

ტოპმიოლერმა არ გაამართლა, ვერ ამართლებს კუპერიც. პრობლემა ბევრია და თუ ყოველივე ამას ნაკრების მწვრთნელიც ემატება, რაღა უნდა გამოდნეს ქართული ფეხბურთიდან?

ფეხბურთის ფედერაცია ბოლომდე უჭერდა მხარს ტოპმიოლერს, თითქმის ყველაფერში ამართლებდა მას, ყველაფერზე თავს უქნევდა. საინტერესოა, ახლაც **ასეთი დამჯერი იქნება კუპერისადმი?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოურ პრესაში

ექტორ კუპერი

# შვილებს არ სჯეროდათ, რომ საქართველოში მივდიოდი...



საქართველოს ნაკრების თავკაცი კიდევ ერთხელ მოხვდა უცხოური პრესის ყურადღების ცენტრში. პოპულარულმა „გარდიანმა“ ჩვენს ეროვნულ გუნდზე მოზრდილი მასალა გამოაქვეყნა. სტატიაში აქცენტი ექტორ კუპერზეა გაკეთებული. არგენტინელი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებში დანიშვნის პერიპეტიებსა და აგვისტოს ამბებს იხსენებს, თვალის ერთი გადავლებით აფასებს ნაკრების განვლილ (ირლანდიამდე) მატჩებს, არ ივიწყებს მალხაზ ასათიანსაც... წერილის სათაური კი ასეთია - „მკაცრი კუპერი საქართველოს ნაკრებზე სერიოზულ იმედს ამყარებს“.

ვფიქრობთ, ეს ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ...

ჯონათან უილსონი,
GUARDIAN

გასული წლის აგვისტოს დასაწყისში ექტორ კუპერმა საქართველოს ნაკრები ჩაიბარა. არგენტინელი მწვრთნელის დანიშვნიდან 4-5 დღეში საქართველოში მშვიდობა დაირღვა, რუსულმა ავიაციამ ქართული სოფლები და ქალაქები დაბომბა. ეს ყველაფერი ცხინვალის, სამხრეთ ოსეთის პრობლემის გამო მოხდა. მართალია, ცეცხლი რამდენიმე დღეში შეწყდა, მაგრამ დაძაბულობა გაგრძელდა. ეს მძიმე პერიოდი დაემთხვა კუპერის ქართული კარიერის სტარტს. მიუხედავად ამისა, მან უელსში სადებიუტო მატჩი (ამხანაგური) მოიგო - 2:1. იმ თამაშის შემდეგ საქართველომ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა, უფრო უკეთაც წარმოჩნდა, ვიდრე სუონსიში, მაგრამ უელსის მერე აღარ მოუგია.

*„როცა ოჯახის წევრებს განვუცხადე, სამუშაოდ საქართველოში მივდივარ-მეთქი, შვილებმა არ დაიჯერეს. ჩინებულია, იყო „ინტერის“, „ვალენსიას“, „პარმას“ მწვრთნელი, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში მცდარი გადაწყვეტილება რომ არ მიმიღია, ამაში არაერთხელ დავრწმუნდი. ქართველები გულღია, კეთილი და თბილი ხალხია. მიყვარს ეს ქვეყანა და მისი დედაქალაქი, სადაც უმთავრესად მიწევს მუშაობა. საქართველოში ისე ვგრძნობ თავს, როგორც შინ, სამშობლოში. ამ ქვეყანაში უდიდესი საფეხბურთო პოტენციალია... საქართველოზე დასავლეთში არა ერთი მცდარი სტერეოტიპია. თავდაპირველად, მეც მეგონა, რომ ეს სტერეოტიპები რეალობა იყო, მაგრამ ეს წარმოდგენა საქართველოში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში გამიქრა“*, - აცხადებს კუპერი.

არგენტინელი მწვრთნელი საუბარში ნაკრების წინა მატჩებს ეხება: *„ძალიან კარგი იქნებოდა, ირლანდიასთან საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩი თბილისში გვქონოდა. ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, მოვიგებდით... თუმცა მაშინ საქართველოში არ იყო მყარი მშვიდობა და ფიფამ გადაწყვიტა, თბილისის ნაცვლად გერმანიაში გვეთამაშა. მაინცში შეცდომების გამო დავმარცხდით... მაგრამ ეს უკვე წარსულია და ვერაფერს შევცვლით. შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება იოლი არ არის, ამას დრო სჭირდება. „ინტერში“ საამისოდ 5 წელი ვირჯებოდი... მწვრთნელი არასოდესაა კმაყოფილი, როცა მისი გუნდი თამაშს ვერ იგებს. თუმცა მე ნამდვილად კმაყოფილი ვარ იტალიასთან სტუმრად და ბულგარეთთან შინ ჩატარებული შეხვედრებით. აი, კვიპროსთან თამაში კი აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა, თუმცა იმ მატჩშიც შევნიშნე ჩემი გუნდის პოზიტიური მხარეები და ამან ოპტიმიზმი მომიმატა“.*

ფიფას რეიტინგში საქართველოს პოზიცია ნამდვილად არ არის სახარბიელო, 108-ე ადგილზეა, მაგრამ ეს გუნდი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის იბრძვის, თუმცა ჯერ მხოლოდ 2 ქულა აქვს. ამ ბრძოლაში კუპერს თავისი შეგირდების იმედი აქვს:

*„ქართველ ფეხბურთელებთან მუშაობაში რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს არ შევხვედრივარ. გუნდი გულღია, გახსნილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მაღალი კლასის მოთამაშე ბევრი არ არის, მაგრამ ტალანტი მართლაც მრავლადაა. ასეთებს საკუთარ თავზე მუშაობა სჭირდებათ და თუ სწორად განვითარდებიან, მაღალ დონეზეც ითამაშებენ. ქართველებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი საფეხბურთო ნიჭითა და მდიდარი წარსულით. იქ იმდენი ტალანტია, სრულიად შესაძლებელი და რეალურია, ამ ქვეყნის ნაკრებს გაცილებით უკეთესი შედეგები ჰქონდეს“.*

კუპერი ესპანურად და იტალიურად საუბრობს. ქართველებში კი უფრო პოპულარული ინგლისური ენაა. თუმცა არგენტინელისთვის ენობრივი პრობლემა არ არსებობს:

*„ველოდი ამ პრობლემას და სამწვრთნელო შტაბში ორი თარჯიმანიც ამიტომ მოვითხოვე. თუმცა ამჟამად ჩვენი გუნდისთვის ენობრივი პრობლემა არ დგას. ქართველები იმ მხრივაც ნიჭიერები არიან, რომ იტალიურ და ესპანურ საფეხბურთო ტერმინებს იოლად ითვისებენ და მთლიანობაში ისიც ესმით, თუ რას ვითხოვ მათგან. რამდენიმე ქართული სიტყვა მეც ვისწავლე. ფეხბურთელებს ვარჯიშზე უკვე ქართულად მოვუწოდებ - „შეტევა“, „დაცვა“... მათ ძალიან სიამოვნებთ, როცა მშობლიურ ენაზე მივმართავ“.*

როგორც სამხრეთელები, ქართველები ემოციურები არიან. კუპერი კი სიმკაცრითაა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში, ურთიერთგაგების მიღწევა ზოგჯერ იოლი არ არის. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ამ მხრივაც არ აქვს პრობლემა, ხოლო მალხაზ ასათიანი კვლავ მის სათვალავში რჩება.

*„ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად იციან, რომ მათი მტერი არ ვარ. ყველანაირად ვეხმარები მათ, რათა თამაში მოიგონ, ან უკიდურეს შემთხვევაში, არ წააგონ მაინც. ასათიანს რაც შეეხება, მასთან პიროვნული პრობლემა არ მაქვს. ის იმიტომ განაწყენდა, რომ იტალიასთან სასტარტოში თამაში არ მოუწევდა. იმ დროისთვის ასეთი ტაქტიკური ჩანაფიქრი მქონდა და მისი განაწყენების მიზეზი ჩემთვის ნამდვილად გაუგებარი დარჩა. ის იყო და კვლავაც რჩება ნაკრების წევრ-კანდიდატებს შორის“.*

მოამზადა
დავით ცაბაძემ

დინამო

# ჩარასს ევროპაში დაბრუნება სურს

თბილისის „დინამოს“ ახალწვეულებს ჯერ კიდევ გუნდთან ადაპტაციის პერიოდი აქვთ. საქართველოს ჩემპიონი სამართლიანად ამაყობს, რომ ახალგაზრდებს შორის სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის გამარჯვებული მარკოს ჩარასი გადაიბირა. როგორც ჩანს, დროებითი ჩავარდნის დაძლევას ის საქართველოში აპირებს, მერე კი... თუმცა მოდით, ეს თავად ჩარასისგან გავიგოთ. „ლელო“ არგენტინელ ლეგიონერს გაესაუბრა...

## მენეჯერების მსხვერპლი

**- მარკოს, ვიცით, რომ მასკერანოსა და ტევესის თანაგუნდელი იყავით. ასეთები კი ევროპის წამყვან კლუბებში ხვდებიან და არა საქართველოში...**

- ეტყობა, ასეც ხდება ხოლმე. საქართველოში თამაშიც არ არის ცუდი, თუმცა კი მეც შემეძლო რომელიმე ცნობილ კლუბებში მოხვედრა, ხელი შემიშალეს თორემ...

**- ეს მენეჯერმა აკა ტონიამაც გვითხრა...**

- დიახ, იყო მენეჯერებთან დაკავშირებული პრობლემა, რომელმაც კარიერა შემიფერხა. თუმცა ეს უსიამოვნო თემაა და ამაზე ლაპარაკი არ მსურს. არადა, ბულგარეთის შემდეგ მართლა მქონდა რამდენიმე კარგი შანსი, თან არა ერთი... მერე შვილი შემეძინა და ამანაც იმოქმედა. საქართველოში თამაში კი ჩემთვის ევროპაში დაბრუნების ახალი შანსია. „დინამოს“ ევროთასებზე მოუწევს გამოსვლა და მერე ჩემზეა დამოკიდებული, როგორ მოვაწონებ ევროპელებს თავს (იცინის). იქნებ, „დინამოდან“ თავი „მანჩესტერშიც“ ამოვყო?!

**- ასეთი პერსპექტივის მართლა გჯერათ?**

- რა ვიცი, რა ხდება ხვალ?

**- თქვენთვის „დინამო“ კარიერის რა ეტაპია?**

- ყველა გუნდი ამა თუ იმ მოთამაშის კარიერაში რაღაც როლს ასრულებს. არ ვიცი, „დინამოში“ როგორ ამეწყობა საქმეები, მაგრამ იმედებით კი ჩამოვედი. ვერ ვიტყვი, რომ ეს რაიმეთი ნაკლები წინადადება იყო, ვიდრე წინა.

**- ანუ, გგონიათ, რომ სოფიის ცსკაზე არანაკლებ გუნდში აღმოჩნდით?**

- ჩემთვის „დინამო“ ძალიან მნიშვნელოვანი გუნდია, გუნდი, რომელმაც ევროპაში უნდა დამაბრუნოს.

## ლომების პარადი დინამოში

**„დინამოს“ მეორე ახალწვეულს ქართველი გულშემატკივარი უკეთ იცნობს. ზუგდიდის „მგლების“ აწ უკვე ყოფილი მარცხენა ნახევარმცველი შოთა ლომია გვარს ამართლებს - გარეგნულადაც და თამაშითაც. ამიტომაც აიყვანეს საქართველოს ჩემპიონ გუნდში. მან მარცხენა ფლანგზე გუნდის თამაში უნდა გააძლიეროს...**

**- შოთა, დამეთანხმებით, მარტვილის „მერანისა“ და ზუგდიდის „მგლების“ შემდეგ, თბილისის „დინამო“ სულ სხვა ტალღაზე მოხვედრას ნიშნავს...**

- „დინამო“ ნებისმიერი ქართველისთვის ყველაზე სასურველი კლუბია, ადაპტაცია მჭირდება და ნელ-ნელა გუნდს ვეჩვევი. ვცდილობ, მალე გავშინაურდე და ვითამაშო. თუმცა ძნელია, ასე უცებ ამბიციურ კლუბში თამაში.

**- ასეთ კლუბში ახალწვეულებს ერთ შეცდომასაც არ პატიობენ. ალბათ, ამასაც გულისხმობთ?**

- რა თქმა უნდა. რასაც გავაკეთებ, ხუთიანზე უნდა იყოს. ძნელია, ასეთ მოთხოვნებზე სწრაფად გადართვა, მაგრამ რადგან მენდობიან და ამიყვანეს, იმედი უნდა გავამართლო. რაც მთავარია, ბიჭების თანადგომას ვგრძნობ. ახალ გუნდში რომ ხვდები, ეს ბევრს ნიშნავს.

**- ხუთიანზე უნდა აკეთო საქმეო, თქვით. მერე? გამოდის?**

- ყოველდღიურად ვცდილობ, გუშინდელზე უკეთ ვითამაშო ან ვივარჯიშო. იმედია, ეს მცდელობა უშედეგოდ არ დასრულდება.

მერაბ მამულაშვილი

U 17

ინტერვიუ გელა შეყილაძესთან

# ახლა უფრო იმედიანად ვარ

## ჭაბუკთა ნაკრების პლუს-მინუსები და მომავალი

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა უცხოური შეკრება დაასრულა. სლოვენიასა და ხორვატიაში ორ-ორი ამხანაგური მატჩების შემდეგ გელა შეყილაძის გუნდი სამშობლოში დაბრუნდა და ერთი მოგება, ერთი ფრე და ორიც მარცხი „ჩამოიტანა“. საინტერესოა, როგორ აფასებს თავად ჭაბუკთა ნაკრების თავკაცი ამ საკონტროლო შეხვედრებს, რამდენად კმაყოფილია გუნდის მომზადებით, რა აზრისაა ახალ ფეხბურთელებზე... შეყილაძეს ძირითადად ამ თემებზე სასაუბროდ მივმართეთ...**

**- ცხადია, პირველი კითხვა ბალკანური ვოიაჟის საერთო შეფასებას ეხება...**

- შემიძლია ვთქვა, რომ ამ ეტაპისთვის კმაყოფილი ვარ. მანამდე, ორი კვირის განმავლობაში თბილისში ვემზადებოდით. აქ ფიზიკურ მომზადებაზე გავაკეთეთ აქცენტი და ამან შედეგიც გამოიღო. ამაყად შემიძლია აღვნიშნო, რომ სლოვენიელები და ხორვატები ფიზიკურად დავჯაბნეთ. ზედიზედ 4 მატჩი ხელოვნურსაფრიან მოედანზე ჩავატარეთ და არც ერთ ფეხბურთელს ტრავმა არ მიუღია, არადა, მეტოქეები ხისტად და აგრესიულად გვეთამაშებოდნენ. ამასთან, ეს საკონტროლო შეხვედრები დიდი ფიზიკური დატვირთვების ფონზე ჩავატარეთ. მიმაჩნია, რომ გუნდმა ტაქტიკურადაც გამართულად ითამაშა. არ დაგავიწყდეთ, რომ სლოვენიაც და ხორვატიაც ჩვენსავით ელიტრაუნდში არიან გასულები და ამ გუნდებს ტოლი არაფერში დავუდეთ, მთელ რიგ ეპიზოდებში კი თამაშითაც ვაჯობეთ.

**- კი, მაგრამ 4 მატჩიდან 2 წავაგეთ...**

- ამხანაგურ მატჩებში შედეგზე უფრო მეტად ფიზიკურ კონდიციებს, ტაქტიკურად გამართულ თამაშს ვანიჭებ უპირატესობას. ამ კომპონენტებში კარგად გამოვიყურებოდით და ამიტომაც კმაყოფილი ვარ. სხვათა შორის, შეკრების მერე უფრო მეტი იმედი გამიჩნდა. გუნდი ახლა უკეთესია, ვიდრე გასულ შემოდგომაზე, საკვალიფიკაციო ეტაპამდე იყო. თან არც ის გამოგრჩეთ მხედველობიდან, რომ სლოვენიასა და ხორვატიაში ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავდა წაყვანილი.

**- ახალწვეულებით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- გიორგი აზნიაშვილი, კახა მეშველიანი, დავით კუბლაშვილი, ცოტნე ხარაბაძე, მამუკა ლორია, აკაკი სირბილაძე და ბესიკ დეკანოიძე პირველად მივიწვიეთ გუნდში. ამას გარდა, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში კვლავ გამოვიძახეთ ნახევარმცველები - გიორგი ჩელებაძე და გიორგი კუხიანიძე. ფაქტობრივად, გუნდს 9 ფეხბურთელი დაემატა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ნაკრებმა გამართულად ითამაშა. ახალწვეულებზე მკითხეთ... ფეხბურთელების გამორჩევა არ მიყვარს, მით უმეტეს, ამ ასაკში. მოდი, ასე გიპასუხებთ - ამ ეტაპზე ახალწვეულებით უკმაყოფილო არ ვარ. თუმცა ვიცი, მათ მეტი შეუძლიათ და მჯერა კიდეც, რომ მოუმატებენ.

**- ისინი სხვადასხვა პოზიციის გასაძლიერებლად მიიწვიეთ. რამდენად შესაძლებელია იმის თქმა, რომ გუნდში სუსტი წერტილები შემცირდა?**

- ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და შესაბამისად, ყოველთვის უკეთესს ვითხოვ. ასე რომ, დასახვენი და სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. თუმცა წელანაც გითხარით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ახლა უფრო იმედიანად ვარ.

**- კიდევ აპირებთ ახალი ფეხბურთელების მიწვევას თუ სელექცია უკვე დაასრულეთ?**

- 26 და 28 თებერვალს აზერბაიჯანში ორი ამხანაგური მატჩი გველის. ახალწვეულები იქაც გვეყოლებიან. მარტში კი, ელიტრაუნდამდე, ლუქსემბურგს სტუმრად ვეთამაშებით, მერე კი ავსტრიაში გვექნება შეკრება. სელექციას თებერვალშიც გავაგრძელებთ, რადგან გვინდა, უკვე მარტში ოპტიმალური შემადგენლობა გვყავდეს.

**- ამ ეტაპისთვის რა დონეზეა გუნდი დაკომპლექტებული?**

- სადღაც 60-70 პროცენტით. კიდევ უფრო გაძლიერება ნამდვილად არ გვაწყენდა. მინდა, სხვა ახალწვეულებიც ვნახო. საამისოდ, აზერბაიჯანულ სპარინგებს გამოვიყენებ.



**- ტაქტიკაზე რას გვეტყვით?**

- სლოვენიასა და ხორვატიაში 4-1-4-1-ზე ვიმუშავეთ, თამაშის მსვლელობისას კლასიკურ 4-4-2-ზეც გადავაწყვეთ თამაში. ამ მხრივაც გვაქვს პლუსები, მაგრამ ამჟამად სხვა პრობლემას ვაწყდებით...

**- რას გულისხმობთ?**

- საგოლე მომენტების გამოუყენებლობას. სამწუხაროდ, ეს კვლავაც ჩვენი გუნდის დიდ ნაკლად რჩება. ამ მატჩებში არბიტრიც ჩვენი მეტოქე იყო, განსაკუთრებით ხორვატიასთან ბოლო შეხვედრაში, რომელიც 1:4 წავაგეთ. 2 გოლი არ ჩაგვითვალა და მასპინძლების მიერ ოფსაიდიდან გატანილ ბურთზე თვალები დახუჭა. ხორვატიის 17-წლამდელთა ნაკრებს 11-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა. მათ პირველ მატჩში 0:0 ვეთამაშეთ. იმ შეხვედრაში ვაჯობეთ მასპინძლებს და როგორც იქ გვითხრეს, მეორე დღეს პრესამ მათ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს - ელიტრაუნდიდან ასეთი თამაშით ვერ გავალთო და ეტყობა, ამიტომაც იყო, რომ მომდევნო შეხვედრაში არბიტრი ხორვატთა მე-12 მოთამაშედ მოგვევლინა. აშკარად ჩანდა, რომ ხორვატებს ერთადერთი მიზანი ჰქონდათ - როგორმე თამაში უნდა მოეგოთ. არბიტრის უსამართლო გადაწყვეტილებებმა ფსიქოლოგიურად იმოქმედა ჩვენს გუნდზე, მაგრამ ეს მაინც კარგი გამოცდა იყო. მინდა, გუნდი ისე მოვამზადო, რომ მსაჯის სუბიექტურობამ ვერაფერი დაგვაკლოს.

დავით ცაბაძე

სპარტაკი

# ბალაძე გაბელაიასთან

**ასლან ბალაძე**, რომელიც ჭაბუკთა ნაკრებში **გელა შეყილაძის** სამწვრთნელო შტაბის წევრია, პარალელურად კლუბშიც იმუშავებს. ეს კლუბი ცხინვალის „სპარტაკია“, სადაც ის მთავარი მწვრთნელის **სერგო გაბელაიას** მთავარ ასისტენტად დაინიშნა. ეს ინფორმაცია თავად ბალაძემაც დაგვიდასტურა.

*„დიახ, სერგო გაბელაიამ დახმარება მთხოვა და უარი არ მითქვამს. ჩვენ ერთად ჯერ კიდევ „მერანში“ ვმუშაობდით. ასე რომ, ერთმანეთის კარგად გვესმის და მჯერა, ჩვენი ერთობლივი მუშაობა შედეგიანი იქნება“*, - აღნიშნა ბალაძემ „ლელოსთან“ საუბარში.

„სპარტაკი“ ცხრილში ბოლო ადგილზეა, შესაბამისად, გაბელაიასა და მისი შტაბის მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. საინტერესოა, რამდენად შესაძლებლად მიაჩნია ამ ამოცანის რეალიზაცია ასლან ბალაძეს.

*„ჩვენი მიზანი უმაღლესში დარჩენაა. საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებთ. თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს იოლი არ იქნება. „გაგრასა“ და „მესხეთს“ 9-9 ქულით ჩამოვრჩებით. ეს ცოტა არ არის. ახლა მთავარია, ქულები დავაგროვოთ. მაგრამ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მოსამზადებელ პერიოდში გუნდმა ნაყოფიერად იმუშავა, ქობულეთში ჩინებული შეკრება გავიარეთ, ახალი ფეხბურთელები დავიმატეთ და „სპარტაკი“ ახლა გაცილებით უკეთესი გუნდია, ვიდრე ზამთრის პაუზამდე იყო. აკი დამაჯერებლადაც განვაახლეთ სეზონი - ბოლნისში ქულა მოვიპოვეთ, ეს კი ადვილი არ არის... რაც შეეხება შეთავსებას, 17-წლამდელთა ნაკრებშიც ვიქნები. როცა ამ გუნდს დავჭირდები, „სპარტაკი“ უყოყმანოდ გამათავისუფლებს“*, - ამბობს ბალაძე.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

ინტერვიუ სანდრო იაშვილთან

# ქართველები და ოსები თურქეთში შევრიგდით

## ფეხბურთელები თუ არ გყავს, მარტო დიდი ფულით ვერ გაიტან გოლს

**სანდრო იაშვილი ომარ თეთრაძის გუნდში ახალი ქართველია. მიხეილ აშვეთიას წასვლის შემდეგ მახაჩყალის „ანჟის" მთავარი მწვრთნელი 23 წლის ფორვარდის იმედადაა. თავად სანდრო შვეიცარიის „თუნიდან" წამოსვლის შემდეგ ბოლნისის „სიონში" გადავიდა. დასამალი არ არის - თავდაპირველად, ერთ დროს შოთა არველაძის მემკვიდრედ შერაცხულმა იაშვილმა თავი ვერ გამოიჩინა, თუმცა პირველი ეტაპის ბოლოს ისევ ის კონდიციები აღიდგინა, რომლითაც თბილისის „დინამოში" თამაშის პერიოდში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.**

**ზამთარში სანდრო სხვადასხვა წინადადებას განიხილავდა, მაგრამ საბოლოოდ რუსეთის პირველ ლიგაში თამაში ამჯობინა. ის ამ არჩევანით კმაყოფილია და სულაც არ ნანობს, რომ საქართველოდან წავიდა...**

- როგორც იქნა, საქართველოდან წავედი. საკმაოდ ძლიერ კლუბში მოვხვდი და ისე ვარ გახარებული, თავდავიწყებით ვვარჯიშობ. კლუბში ისეთი ვითარება დამხვდა, სერიოზული შანსი გამიჩნდა, რომ მოვუმატო და გამოვჩნდე. სულაც არ ვფიქრობ, ეს ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. შესაძლოა, ვილაცისთვის „ანჟი" საინტერესო კლუბი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, ამბიციურია და, რაც მთავარია, დაფინანსებაც მნიშვნელოვნად გაეზარდა.

**- „ანჟისთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- სამწლიანი. ეს ჩემთვისაც მისაღები იყო და კლუბისთვისაც.

**- კი, მაგრამ „ანჟი" პირველ ლიგაში თამაშობს და პრემიერლიგას რომ ვერ ეღირსოს, ეს რამდენად გაძლევს ხელს?**

- მივედი ამბიციურ კლუბში, რომელსაც პრემიერლიგაში გადასვლა სურს. ეს არის უმთავრესი მიზანი და სწორედ ამ პერსპექტივის გამო გავაფორმე კონტრაქტი. თავდაპირველად, სანამ ფორმას აღვიდგენდი, საკონტროლო შეხვედრებში ცოტას ვთამაშობდი - 10, 15, 20 წუთი... ახლა ნელ-ნელა ფორმაში შევდივარ და ვგრძნობ, რომ ჯანიც მომეტა, გამძლეობაც და 90 წუთსაც უპრობლემოდ გავძლებ... ჰო, მართლა, წონაში დავიკელი და ახლა ოპტიმალურ ნიშნულზე ვარ...

**- „ანჟის" პრემიერლიგაში გადასვლის იმედი ჰქონდა, ისევე, როგორც სხვა ქართველ ფეხბურთელებს, მაგრამ... უკვე 3 წელია, ეს მიზანი მიუღწეველია...**

- ამაზე მეც ვიფიქრე და მერე მივხვდი, რომ წელს გადასვლა რეალურია. ჩემთვის ის ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ „ანჟიში" ბევრი ქართველი თამაშობს. ვიცი, ვის რა შეუძლია. სხვათა შორის, აქ ოსი ბიჭები - ბესტაევი და ბაკაევი გავიცანი. ეს უკანასკნელი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ძალიან ძლიერი ფეხბურთელები და კარგი ადამიანები არიან. შეიძლება ითქვას, ოსები და ქართველები ვმეგობრობთ. სხვათა შორის, ბესტაევს საქართველოში აქვს სოფელი, ქართულიც მშვენივრად იცის... რამდენიმე წლის წინათ ის „ალანიაში" თამაშობდა. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ძლიერი გუნდი შეიკრიბა.

**- ასე გამოდის, რომ ქართველები და ოსები თურქეთში შერიგდით...**

- ასეა და გასაყოფიც არაფერი გვაქვს. კარგი ადამიანები არიან და ბუნებრივია, ვმეგობრობთ.



**- დავიჯერო, პოლიტიკასა და აგვისტოს ომზე სიტყვაც არ დაგიძრავთ?**

- ორივემ ვიცით, რომ ეს უსიამოვნო თემაა და... ასე ვთქვათ, ერთმანეთს ვერიდებით, ვუფრთხილდებით... თანაც, პოლიტიკისგან, სიმართლე გითხრათ, მე საკმაოდ შორს ვარ.

**- რუსებს თქვენი მეგობრობა არ უკვირთ?**

- სხვათა შორის, არა. ბევრი რუსი მეგობარიც მყავს.

**- ისევ გუნდსა და პრემიერლიგაში გადასვლის ამოცანას დავუბრუნდეთ. რუსეთში ყველაფერს ფული წყვეტს. აქვს კი „ანჟის" იმხელა ფინანსური შესაძლებლობა, რომ სხვა ფულიანმა კლუბებმა არ ჩაძირონ?**

- რა თქმა უნდა, ფული ბევრს წყვეტს და არა მარტო რუსეთში, თუმცა მხოლოდ ფულით გუნდი ვერ გაკეთდება. ფეხბურთელები თუ არ გყავს, დიდი ფული გოლს ვერ გაიტანს...

**- „ანჟიში" ამდენ ქართველს ერთად როგორ გიტანენ?**

- აუტანელი არაფერი გვჭირს. ვინც ჩვენ დაგვხვდა, ყველა ის ფეხბურთელი კლუბისთვის მნიშვნელოვანი და პატივსაცემი ფიგურაა. ხოჯავამ, ნავალოვსკიმ და არზიანმა „ანჟის" წარმატებისთვის ძალიან ბევრი გააკეთეს და შეუძლებელია, ასეთებს ვერ იტანდნენ.

**- გულახდილად რომ ვისაუბროთ, შვეიცარიიდან ბოლნისის „სიონში" დაბრუნებამ ფეხბურთზე გული ხომ არ აგიცრუა?**

- უიმედო არასდროს არ ვყოფილვარ, თუნდაც იმ პერიოდში. კარგად ვიცოდი, რისთვის მივდიოდი „სიონში" - ფორმა უნდა აღმედგინა და მერე ისევ უცხოეთში წასვლას ვაპირებდი. შეიძლება, ისე არ გამოვიდა, როგორც თავიდან მსურდა, მაგრამ „სიონში" გატარებული პერიოდი ძალიან გამომადგა.

**- ორი წლის წინათ ნაკრებში შენი გამოძახება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო. ახლა რამდენად რეალურია, ეროვნულ გუნდში რომ გიხილოთ?**

- სანამ ფეხბურთს ვითამაშებ, ნაკრებში მოხვედრაზე მუდამ ვიფიქრებ. თუ მიმიწვევენ, ხომ კარგი, თუ არა და, ჩემი თამაშით მაინც შევეცდები, დავამტკიცო, რომ ნაკრებში თამაშს ვიმსახურებ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ასათიანმა, პირველი გამიჭირდაო...

## ჯაკობიას არსენალი აკვირდება

ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ **მალხაზ ასათიანმა** კიევის „დინამოს" მაისურით პირველად ითამაშა. ესპანურ მარბელიაში „დინამო" დანიურ „ესბიერგს" დაუზავდა - 0:0. ასათიანმა შეუცვლელად ითამაშა. **იური სიომინმა** მას დაცვის ცენტრში **დოპილკა** ამოუყენა მეწყვილედ. ნამატჩევს, „დინამოს" თავკაცმა ასათიანის თამაში შეაფასა:

*„სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ მალხაზი უფრო ცუდ ფიზიკურ ფორმაში იქნებოდა. პირველი მატჩის კვალობაზე მან არცთუ ურიგოდ ითამაშა. ის დაცვაში თავის პოზიციაზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა".*

აზრი თავად ფეხბურთელმაც გამოთქვა: *„წლეულს ჩემი პირველი თამაში იყო და, ბუნებრივია, გამიჭირდა. „დინამოში" ვარჯიში ხომ სულ ერთი დღის დაწყებული მქონდა. ვგრძნობ, რომ კიდევ უნდა მოვუმატო, ამისთვის კი გაორმაგებული ენერგიით უნდა ვივარჯიშო. დანიელები ფიზიკურად ბრწყინვალედ იყვნენ მომზადებულნი, ისინი პრესინგს გვეთამაშებოდნენ და წესით, ფრე დააკმაყოფილებდათ".*

კვიპროსზე მყოფი „დინამოს" მეორე გუნდი ბულგარულ „ვიხრენთან" 0:3 დამარცხდა. **თემურ ფარცვანია** 81-ე წუთზე გამოჩნდა, **ლაშა თოთაძე** კი 88-ეზე.

კიევის „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ ზავაროვმა** უკრაინულ გამოცემა „ფუტბოლს" განუცხადა: *„არსენალის" რიგებში ვარჯიშს იწყებს „მეტალისტის" ფეხბურთელი **ლაშა ჯაკობია**, რომელიც ადრე ჩვენს გუნდში გამოდიოდა. თუკი ლაშა მოგვეწონება, დავიტოვებთ და ამით „არსენალის" დაკომპლექტებაც დასრულდება".*

წინა დღით „არსენალმა" სპარინგში რუმინული „ბრანშეტი" დაამარცხა - 2:0. ჯაკობია ახალი ჩასული იყო თურქეთში და გასაკვირი არ არის, რომ არ უთამაშია.

ნალჩიკის „სპარტაკმა" 2:1 დაამარცხა რუმინული „ვასლუი". ამ შეხვედრაში გამარჯვების გოლი პენალტით **ალექსანდრე ამისულაშვილმა** გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მალხაზ ასათიანი



**კახა ალადაშვილმა და ოთარ მარცვალაძემ რთული გადაწყვეტილება მიიღეს - კიევის „დინამოს" ძირითადში მოხვედრის იმედი დაკარგეს და გადაწყვიტეს, კარიერა რუსეთში გაეგრძელებინათ. ისინი ახლა მახაჩყალის „ანჟიში" არიან. გუშინ კახა ალადაშვილს თურქეთში დავუკავშირდით...**

ინტერვიუ კახა ალადაშვილთან

# ანჟიში სკამზე დასაჯდომად არ მივსულვარ

**- კახა, სახელოვანი კლუბიდან რუსეთის პროვინციულ გუნდში გადასვლა, არ მგონია, სასიამოვნო იყოს...**

- რატომაც არა?! კიევში არ ვთამაშობდი და იქ ყოფნას „ანჟიში" თამაში არ მერჩივნა?!

**- რუსეთში ქართველებს ვიზის პრობლემა არ შეგექმნებათ?**

- სპორტსმენებს ამის გამო პრობლემა არ გვექმნება, ვიზას კლუბი გვიკეთებს.

**- ნუთუ, „ანჟი" იყო კიეველებისგან თავის დაღწევის ერთადერთი შანსი?**

- შეთავაზებები კიდევ იყო... მაგალითად, ხარკოვის „მეტალისტი" მიწვევდა, უნგრეთში ორი გუნდი მთავაზობდა კონტრაქტს, მაგრამ „ანჟიში" თამაში ვამჯობინე. აქ მეტი პერსპექტივა და უკეთესი პირობებია. რუსეთში ფეხბურთი უმაღლეს დონეზე აიყვანეს. თავად „ანჟიც" ამბიციური კლუბია, პრემიერლიგაში გადასვლა სურს. აქედან, რუსეთის უფრო ძლიერ გუნდში მოხვედრის მეტი შანსია, ვიდრე უკრაინული კლუბიდან. მოსკოვის „დინამო" და „ლოკომოტივი" თავის წარმომადგენელს მახაჩყალაში უფრო გზავნის, ვიდრე უკრაინის ქალაქებში. დავრწმუნდი, რომ რუსებმა უკრაინელებს ბევრად გაუსწრეს. „ანჟის" დონის კლუბი უკრაინის უმაღლეს ლიგაში ბევრი არ მეგულება.

**- მაგრამ მაინც რუსეთია... უნგრეთზე რატომ თქვი უარი?**

- ხომ გითხარით, რუსეთის პრემიერლიგაში მოხვედრის პერსპექტივა ჩემთვის ბევრს ნიშნავს. თანაც, უნგრული შეთავაზება რომ მივიღე, „ანჟისთან" კონტრაქტი უკვე გაფორმებული მქონდა.

**- სულ გული გწყდებოდა, ნაკრებში რომ არ გიწვევდნენ. ვითომ, რუსეთის პირველი ლიგაში მოგაქცევენ ყურადღებას?**

- თუ საქართველოს ჩემპიონატიდან შეიძლება ნაკრებში კაცის აყვანა, ჩვენ რა დავაშავეთ? რუსეთის პირველი ლიგა მაინც არ არის ჩვენს პირველობაზე უკეთესი? ვნახოთ... საერთოდ, მთავარია, კლუბში ძირითად შემადგენლობაში თამაშობდე. მე პირადად, „ანჟიში" სკამზე დასაჯდომად არ ჩამოვსულვარ.

**- გუნდთან ერთად საკონტროლო შეხვედრებიც ჩაატარე. შეეწყვე სხვა სტილსა და ახალ თანაგუნდელებს?**

- უპრობლემოდ. აქ მოთამაშეების ნახევარი ჩემი ნაცნობია. გოლიც გავიტანე და საგოლე პასებიც გავაკეთე... საწყენია, რომ ჩემი არსებობა აღარ ახსოვთ...

**- კუპერი თურქეთში იმყოფებოდა და „ანჟის" თამაშს არ დაესწრო?**

- ჩამოვიდა, მაგრამ ჩვენით არც დაინტერესდა. არადა, „ანჟიში" 6 ქართველი ვართ. საფრანგეთის ნაკრებთან თბილისური მატჩის შემდეგ თავის გამოჩენის ერთი შანსიც არ მქონია.

**- ...თან კარიერაც ვერ აგეწყო?**

- ეს მეც მესმის, მაგრამ „ზაკარპატიეში" მართლა კარგად ვიყავი და ინტერესის ნასახიც არ გამოუვლენიათ. გული როგორ არ დამწყდებოდა?! თუმცა ჯერ 25 წლის ვარ და სულაც არ ვაპირებ ცხვირის ჩამოშვებას. ეს არის მოთამაშისთვის საუკეთესო ასაკი. როგორც ვიცი, კუპერი მარჯვენა ფლანგზე ოპტიმალურ ვარიანტს კიდევ ეძებს და ვნახოთ...

**- „ანჟიში" მცველად გათამაშებენ?**

- მცველი კიევის „დინამოში" ვიყავი, ნახევარდაცვაში დამაბრუნეს და ეს პოზიცია ბევრად მომწონს. სხვათა შორის, კუპერი კიევშიც აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ ეტყობა, გადაიფიქრა.

**- კიევის დინამოში" უთამაშებლობა ლამის ყველა ქართველს სტანჯავდა. შენზეც მოახდინა ამან უარყოფითი გავლენა?**

- რა თქმა უნდა, მოახდინა, მაგრამ ახლა კარგად ვარ. მთავარია, კიევს თავი დავაღწიე. თუ რეჟიმს მკაცრად იცავ და პროფესიონალის ცხოვრებით ცხოვრობ, შანსს ყოველთვის დაელოდები. მერე პრობლემებს როგორმე მოევლება...

**მერაბ მამულაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

მოსალოდნელი დანიშვნა

# ერიქსონი ინგლისში ბრუნდება?

## თუ მას მექსიკელები კარისაკენ მიუთითებენ, პორტსმუთი სარფიან კონტრაქტს შესთავაზებს...


ეროვნული ბიბლიოთეკა
სვენ გორან ერიქსონი

"დეილი მეილის" ცნობით, **სვენ გორან ერიქსონს** მექსიკის ნაკრებიდან დათხოვნა ემუქრება. ოთხშაბათს, მექსიკამ მორიგი შესარჩევი მატჩი გამართა. მისი მეტოქე ამერიკის ნაკრები იყო. ამერიკელებმა **მაიკლ ბრედლის** დუბლით მეტოქე 2:0 დაამარცხეს. მექსიკა ჯგუფში მესამე ადგილამდე დაქვეითდა. ერიქსონის მისვლის შემდეგ გუნდმა შვიდი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი მოიგო. გულშემატკივარი შვედი სპეციალისტის გაგდებას ითხოვს. თუმცა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია რადიკალური გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. სპეკულაციები მისი მოსალოდნელი აბარგების თაობაზე, ჯერჯერობით მხოლოდ ინგლისური და მექსიკური პრესის მეშვეობით ვრცელდება.

და აი, "დეილი მეილის" კიდევ ერთი ინფორმაცია. ინგლისურ ტაბლოიდს თუ დავუჯერებთ, ერიქსონს "პორტსმუთი" ეპატიჟება. **ტონი ადამსის** დათხოვნის შემდეგ გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ადამსი "პორტსმუთში" 2008 წლის ოქტომბრის მიწურულს დაინიშნა. მან "ტოტენჰემში" წასული **ჰარი რედნაპი** შეცვალა. ადამსის ხელმძღვანელობით გუნდმა 16 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 10 ქულა მიამატა აქტივს. 9 თებერვალს 42 წლის სპეციალისტს კარისაკენ მიუთითეს. გუნდის გაძღოლა დროებით **პოლ ჰარტმა** ითავა.

"დეილი მეილის" მიმომხილველი ამტკიცებს, რომ "პორტსმუთის" ხელმძღვანელობას ერიქსონის დანიშვნაში ეჭვი არ ეპარება, არადა, მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელის დათხოვნას არ ჩქარობს. "დეილი მეილი" ვარაუდობს, რომ ფედერაციის პოზიცია პრაგმატული მოსაზრებითაა ნაკარნახევი. თუ ერიქსონს დაითხოვენ, მექსიკელებს კომპენსაციის სახით, 3 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. მაგრამ თუ მწვრთნელი ინგლისელთა შეთავაზებას დათანხმდება და საკუთარი სურვილით დატოვებს სამსახურს, ფედერაცია ზემოხსენებულ 3 მილიონს შეინარჩუნებს.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ მექსიკელებს ერიქსონის შემცვლელი უკვე მოძებნილი ჰყავთ. მოგეხსენებათ, ერთი კვრის წინ მადრიდის "ატლეტიკომ" **ხავიერ აგირე** დაითხოვა. აგირე მექსიკის ნაკრების ყოფილი დამრიგებელია. მან გუნდი 2002 წლის მუნდიალზე გაიყვანა. 2002 წლის ზაფხულის სენიორ ხავიერი ესპანეთში მოღვაწეობს. ოთხი წელი "ოსასუნაში" გაატარა, მომდევნო ორწელიწადნახევარი კი "ატლეტიკოში" და ახლა, როგორც ჩანს, სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

ერიქსონის "პორტსმუთში" შესაძლო დანიშვნაზე რამდენიმე გარემოება მიუთითებს. გუნდის მეორე მწვრთნელად ის **ბრაიან კიდი** დანიშნა, რომელიც ინგლისის ნაკრებში სვენის ერთ-ერთი თანაშემწე იყო. "პორტსმუთი" სვენს ასტრონომიულ ხელფასს ვერ შეჰპირდება. სამაგიეროდ, თუ ის გუნდს პრემიერლიგაში დატოვებს, მრავალმილიონიან პრემიას გამოუწერენ. ამ ინფორმაციაში მოხსენიებულ მხარეებს მოსალოდნელ დანიშვნებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაუკეთებიათ.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ სვენ გორან ერიქსონმა ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხუთი სეზონი გაატარა (2001-06). მართალია, ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ხუთი ოფიციალური მატჩი წააგო, მაგრამ გუნდს დიდი ვერაფერი შედეგი მოუტანა, 2002 და 2006 წლების მუნდიალებზე, აგრეთვე 2004 წლის ევროპის პირველობაზე 1/4 ფინალებიდან გავარდა. მან სამჯერვე **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდებთან დათმო (2002-ში ბრაზილიასთან, 2004 და 2006 წლებში კი პორტუგალიასთან).

2007 წლის ზაფხულში ის "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, მაგრამ ინგლისის საკლუბო ფეხბურთშიც ხელი მოეცარა. მისმა გუნდმა სეზონი მე-9 ადგილზე დაასრულა. თანაც ჩემპიონატის ბოლო ტურში "მიდლსბროსთან" 1:8 წააგო. ერიქსონს სამწვრთნელო კარიერაში ასეთი სირცხვილი არასოდეს უჭამია. კლუბის ხელმძღვანელობამ მას ჩემპიონატს დასრულებისთანავე გაუწყვიტა კონტრაქტი და მრავალმილიონიანი კომპენსაცია მიუთვალა. ვნახოთ, შედგება თუ არა სვენის მეორედ მოსვლა პრემიერლიგაში.

ნიუკასლი

# ვენეიბლზი თუ პოიეტი?

## დენის უაიზმა მთავარი მწვრთნელის პოსტი ძველ მეგობარს შესთავაზა

ვინ გახდება "ნიუკასლის" ახალი მწვრთნელი? ეს საკითხი ინგლისელი ჟურნალისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. ახალი დამრიგებლის საჭიროება მას შემდეგ წარმოიშვა, რაც მოქმედ თავკაცს, **ჯო კინეარს** გულის შეტევა მოუვიდა და საავადმყოფოში მოათავსეს. გულის მკვებავი ძირითადი სისხლძარღვი შევიწროებულია. მწვრთნელს სასწრაფოდ ესაჭიროება შუნტირება. კინეარის რეაბილიტაციას ორი თვე დასჭირდება. ჯორდებს კი ამდენხანს მოცდა არ შეუძლიათ. დირექტორატმა კინეარის შემცვლელზე დაიწყო ფიქრი.

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ ინტენსიურად განიხილება ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცის, **ტერი ვენეიბლზის** კანდიდატურა. მისტერ ვენეიბლზის უკანასკნელი სამსახური ინგლისის ნაკრების მეორე მწვრთნელის პოსტი იყო, საიდანაც ის 2007 წლის შემოდგომაზე, **სტივ მაკლარენის** დათხოვნის შემდეგ წავიდა, რაკილა ამ დუეტმა ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა.

და აი, კიდევ ერთი კანდიდატი. "დეილი მეილი" იუწყება, რომ "ნიუკასლმა" მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა **გუსტავო პოიეტს**. 41 წლის ურუგვაელ სპეციალისტს დამოუკიდებლად არასოდეს უმუშავია. მან სამწვრთნელო კარიერა 2006 წლის ივლისში, კარიერის დასრულებისთანავე, პირველი ლიგის კლუბ "სუინდონში" დაიწყო. გუსტავო მთავარი მწვრთნელის, **დენის უაიზის** ასისტენტი იყო. იმავე წლის ოქტომბერში უაიზმა და პოიეტმა "ლიდსს" მიაშურეს. 2007 წლის ზაფხულში გუსტავომ "ტოტენჰემთან" გააფორმა კონტრაქტი და **ხუანდე რამოსის** შტაბში მეორე კაცი გახდა. პოიეტი "ტოტენჰემს" სენიორ რამოსთან ერთად, 2008 წლის ოქტომბერში გამოეთხოვა. ის ამჟამად უმუშევარია.

საინტერესო დეტალი: ალბათ შენიშნავდით, რომ პოიეტს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს "ჩელსის" ლეგენდარულ ნახევარმცველ დენის უაიზთან. ისინი ერთმანეთს "სტემფორდ ბრიჯიდან" იცნობენ. ამ ფეხბურთელებმა "ჩელსი" ერთსა და იმავე დროს, 2001 წლის ზაფხულში, დატოვეს. **კლაუდიო რანიერიმ** გუნდის გაახალგაზრდავების მოტივით, ორივე ვეტერანი ზედმეტად მიიჩნია. დღეს უაიზი "ნიუკასლის" სპორტულ დირექტორად მოღვაწეობს. ახალი მწვრთნელის დანიშვნა მისი უშუალო მოვალეობაა. დენისს, როგორც ჩანს, ბევრი არ უფიქრია და ძველი მეგობრის დასაქმება გადაწყვიტა. ძნელი სათქმელია, როგორ მიიღებს "ნიუკასლის" გულშემატკივარი მის ამ გადაწყვეტილებას. უაიზი, ისევე როგორც გუნდის მფლობელის, **მაიკ ეშლის** მთელი ადმინისტრაცია ფანებს შორის დიდი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის.


გუსტავო პოიეტი შეიძლება ნიუკასლში ვიხილოთ

სკანდალი

# ხუთი არგენტინელი ყალბი იტალიური პასპორტით

## კუფრემ თავს გერმანიაში ტრანსფერით უშველა, რა ეშველებათ კავენაგის, პლასენტეს, სეტოსა და ჩიველის?

ფრანგულ ფეხბურთში სკანდალი მძვინვარებს. უმაღლესი დივიზიონის ხუთ ფეხბურთელს ყალბი პასპორტების ქონა ედება ბრალად. ცნობისათვის, ხუთივე მათგანი არგენტინელია. ევროკავშირის მოქალაქის გაყალბებული პასპორტი პირველად "მონაკოს" მცველ **ლეანდრო კუფრეს** აღმოუჩინეს. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ კუფრე იტალიის მოქალაქის რანგში დაარეგისტრირა. მოგვიანებით, როდესაც მისი პასპორტის წარმომავლობა გაირკვა, ფეხბურთელს იტალიური რეგისტრაცია გაუუქმეს. კუფრე "მონაკოს" მეოთხე არაევროკავშირელი ფეხბურთელი აღმოჩნდა. გუნდში მისი ადგილი აღარ იყო. ამიტომ სასწრაფო წესით, იანვრის ტრანსფერებისას, ის ბერლინის "ჰერტაში" მიავლინეს. კუფრე გერმანიის დედაქალაქში ივნისამდე დარჩება.

ხმაური მიწყნარებული არ იყო, რომ ანალოგიური პრობლემა კიდევ ოთხ ფეხბურთელს შეექმნა. სკანდალი ყველაზე მეტად ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს, "ბორდოს" დააზარალებს. ამ კლუბის შემადგენლობაში თამაშობს ორი არგენტინელი, რომელსაც საეჭვო წარმომავლობის იტალიური პასპორტი აქვს. საუბარია "ბორდოს" საუკეთესო ბომბარდირ **ფერნანდო კავენაგიზე** (ის ამავე დროს, საფრანგეთის ჩემპიონატის მესამე საუკეთესო ბომბარდირია), რომელმაც მიმდინარე სეზონში 12 გოლს მოუყარა თავი. აგრეთვე, გუნდის სათადარიგო მარცხენა მცველ **დიეგო პლასენტეზე**.

სკანდალში გაეხვა "ტულუზიც". პასპორტის გაყალბებაშია ეჭვმიტანილი კლუბის ცენტრალური მცველი **მაურო სეტო**. ტულუზელთა დირექტორატი თავს იმართლებს. მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა გაზეთ "ეკიპს" განუცხადა, რომ სეტოს დედისა და მამის მშობლები იტალიელები არიან, რომ ფეხბურთელმა იტალიური პასპორტი ყველა წესის დაცვით აიღო და რომ იტალიის კანონმდებლობა მას ამ ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ აღიარებს.

და ბოლოს, სკანდალის მეხუთე გმირია მარსელის "ოლიმპიკის" ნახევარმცველი **რენატო ჩიველი**, რომელიც, როგორც წესი, თადარიგშია, ან საერთოდ ვერ ხვდება განაცხადში. ჩიველიმ ბოლო 18 თვის განმავლობაში მარსელელმა შემადგენლობაში მხოლოდ რამდენიმე წუთი ითამაშა. ამდენად, "ოლიმპიკს" მისი დისკვალიფიკაცია ოდნავადაც არ დაეტყობა.

ამ ფაქტებმა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია იმდენად შეაშფოთა, რომ მან დახმარებისათვის იტალიის ხელისუფლებას მიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ ფეხბურთელებს არავინ ადანაშაულებს. მათთვის იტალიური პასპორტების აღება უფრო იმ ადამიანების ინტერესებში იყო, რომელთაც არგენტინელთა ფრანგულ კლუბებში მოწყობა სურდათ. იტალიის ხელისუფლებამ, თავის მხრივ, არგენტინელ სამართალდამცავებს მიმართა. საქმე ისაა, რომ პლასენტესა და კავენაგის იტალიური პასპორტები ჯერ კიდევ არგენტინულ კლუბებში – "სან ლორენსოსა" და "რივერ პლეიტში" ყოფნისას გაუკეთეს.


ფერნანდო კავენაგი

ვარსკვლავი

# რონალდო ბრუნდება


რონალდო კორინთიანსში ახალ ცხოვრებას იწყებს

**რონალდომ** მუხლის ქრონიკული ტრავმა მოიშუშა და მინდორზე დასაბრუნებლად მზადაა. ამის შესახებ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ზუსტა ერთი წლის წინ, როდესაც რონალდო "მილანის" ღირსებას იცავდა, მან მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. მიმომხილველთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ რონის კარიერა დასრულდა და რომ ის ველარასოდეს მოახერხებდა მინდორზე დაბრუნებას. ეს არ გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც მუხლის ტრამამ რონალდო ხანგრძლივი ვადით ჩამოაშორა მინდორს.

თავდამსხმელმა პირველი მძიმე ტრავმა 1999 წლის ნოემბერში ("ლეჩესთან" კალენდარული შეხვედრისას) მიიღო. მეორედ ის 2000 წლის აპრილში ("ლაციოსთან" სათასო მატჩისას) დაშავდა. ცნობისათვის, 12 აპრილის ის მატჩი რონალდოსათვის პირველი იყო ტრავმის მოშუშების შემდეგ. მან მინდორზე შვიდი წუთი გაატარა და კვლავ საოპერაციო შეიქნა. ორი ოპერაციისა და საერთო ჯამში, 36-თვიანი რეაბილიტაციის შემდეგ, რონალდო გამოჯანმრთელდა და 2002 წლის მუნდიალი საუცხოოდ ჩაატარა. იმავე წელს მას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მიანიჭეს.

შემდეგ იყო "რეალში" გატარებული ხუთი სეზონი. 2007 წლის იანვარში მან „მილანს" მიაშურა. 2008 წლის თებერვალში კი მორიგი უმძიმესი ტრავმა მიიღო, რომელიც გასული წლის მიწურულს მოიშუშა. სარეაბილიტაციო პერიოდისას, რონალდომ "კორინთიანსში" ვარჯიში დაიწყო. კლუბის ხელმძღვანელობამ მას იმთავითვე შესთავაზა თანამშრომლობა. რონალდომ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, დეკემბერში ერთწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ბრაზილიელი ფეხბურთელები ახალი სეზონისათვის ემზადებიან. მათ შორისაა რონალდოც:

*"რეაბილიტაცია ადვილი არ იყო. ის ფაქტი, რომ მსგავსი ტრავმები ადრეც მქონია, ძალიან დამეხმარა. როდესაც პირველად დავშავდი, დავიბენი. არ ვიცოდი, რა უნდა მელონა. არც ის ვიცოდი, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება მომავალში. ამჯერად ტრავმა გაცილებით მშვიდად გადავიტანე."*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ესპანეთი. ლიგა BBVA. XXIII ტურის წინ

# დაღლილი ვარსკვლავები ზანტად ემზადებიან

## თითქმის ყველა გრანდს ერთი პრობლემა აქვს: ფეხბურთელები გამოფიტულები არიან



| დღეს | |
|---|---|
| დეპორტივო-ოსასუნა | 23:00 |
| ვალენსია-მალაგა | 00:00 |
| ბეტისი-ბარსელონა | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ალმერია-ვალიადოლიდი | 20:00 |
| ბილბაო-რეკრეატივო | 20:00 |
| სპორტინგი-რეალი | 20:00 |
| რასინგი-ვილიარეალი | 20:00 |
| ნუმანსია-მალიორკა | 20:00 |
| ესპანიოლი-სევილია | 22:00 |
| ატლეტიკო-ხეტაფე | 00:00 |

სანაკრებო პაუზის შემდეგ პრიმერადივიზიონურმა გუნდებმა ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურისთვის მზადება ზანტად, მაგრამ მაინც გეგმის მიხედვით განაახლეს. წინასამატჩო მიმოხილვას „ატლეტიკოში" შექმნილი სიტუაციის აღწერით დავიწყებთ. არგენტინელები, **სერხიო აგუერო** და **მაქსი როდრიგესი**, ჰოლანდიელი **ჯონ ჰეიტინგა** და ბერძენი **იურკას სეიტარიდისი** სანაკრებო ბატალიების შემდეგ კლუბს დაუბრუნდნენ. „როხიბლანკოს" ახალმა მწვრთნელმა **აბელ რესინომ** გადაღლილი ფეხბურთელები ხუთშაბათს მსუბუქად ავარჯიშა. ისინი კი, ვინც ნაკრებებში არ გამოიძახეს, ჩვეული რეჟიმით ემზადებოდნენ. ზემოხსენებული ოთხი მოთამაშე კი განცალკევებით, ფიზიკური მომზადების სპეციალისტის საგულდაგულო მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა. „ატლეტიკოს" მცირე პრობლემაც შეექმნა. ტომას უიფალუშმა, მანიშემ და ლუის პერეამ თავიანთი ნაკრებებიდან დაბრუნება დააგვიანეს და ხუთშაბათის ვარჯიში გამოტოვეს. აბელ რესინოს **დიეგო ფორლანთან** სრულფასოვანი მუშაობის საშუალებაც არ მიეცა. გეცოდინებათ, რომ ურუგვაელმა ფორვარდმა „რეკრეატივოსთან" მატჩის მეორე ტაიმში ტრავმა მიიღო და სამკურნალო შეიქნა. ექიმები შიშობდნენ, რომ მის რეაბილიტაციას რამდენიმე კვირა დასჭირდებოდა, თუმცა სამხრეთამერიკელი თავდამსხმელი ნავარაუდევზე ადრე გამოჯანმრთელდა და პარასკევს ვარჯიში განაახლა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ფორლანმა მსუბუქად ივარჯიშა. ექიმებმა მას სრული დატვირთვით მუშაობა აუკრძალეს. ამის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, დიეგო მადრიდულ დერბიში ვერ ითამაშებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ხეტაფეს" ფორლანის მსგავსად **ლუის გარსიაც** ვერ დაუპირისპირდება. ესპანელ ფორვარდს მარჯვენა ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. ლუის გარსიას რამდენიმე დღეა ერთი წუთითაც არ უვარჯიშია. ბუნებრივია, მოუმზადებელი ფეხბურთელის მოედანზე შეშვება სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. სავარაუდოა, რომ „როხიბლანკოს" დამრიგებელი ამ რისკზე წასვლას არ ისურვებს. პარასკევს ესპანელმა ჟურნალისტებმა ერთი საინტერესო ფაქტიც შენიშნეს. ვარჯიშის ჩატარებაში სენიორ რესინოს „ატლეტიკოს" ყოფილი ფეხბურთელი **ხუან საბასი** ეხმარებოდა. ის ამიერიდან მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობაზე იმუშავებს.

ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები **პეპ გვარდიოლასაც** დაუბრუნდნენ. „ბარსელონამ" სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდში უამრავი ფეხბურთელი მიავლინა. ეს ფაქტი კატალონიელებს, რა თქმა უნდა, სერიოზულ პრობლემას უქმნის, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა გვარდიოლა ვერაფერს გააწყობს. ფიფას წესებს ყველამ პატივი უნდა სცეს. არადა, როგორია, კატალონიური გრანდის თითქმის მთელი ძირითადი შემადგენლობა ცხრა მთას იქით იყო გადახვეწილი. ყველაზე შორი მოგზაურობა **რაფა მარკესს** ჰქონდა. „ბარსას" ცენტრალურმა მცველმა ოჰაიოში მექსიკის ნაკრებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გუნდის წინააღმდეგ იასპარეზა. სხვათა შორის, ის შეხვედრა მექსიკელებმა 0:2 დათმეს. მარკესი კი მოედნიდან გააძევეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნაკრებებიდან პრაქტიკულად ყველა ფეხბურთელი არაქათგამოცლილი დაბრუნდა, თუმცა ყველაზე მეტად **კარლეს პუიოლს** არ გაუმართლა. მას ის ტრავმა გაუმიზეზდა, რომლის გამოც ერთი კვირა გაუცდა. ექიმებისა და გვარდიოლას კონსულტაციის შემდეგ კარლესს განცალკევებით ვარჯიში დაევალა. კომპანიონობას მას **დიეგო მილიტო** უწევდა. გემახსოვრებათ, რომ არგენტინელმა მცველმა ჯერ კიდევ გასულ სეზონში მუხლის ჯვარედინი მყესების უმძიმესი ტრავმა მიიღო და ნახევარ წელიწადზე მეტი გაუცდა. მილიტომ ვარჯიში მხოლოდ ახლა განაახლა. ფორმის აღსადგენად სამხრეთამერიკელს, ალბათ, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

კატალონიელებს „მანუელ რუის დე ლოპერაზე" ძალიან რთული მატჩის გამართვა მოუწევთ. „ბეტისმა" გასულ ტურში „სანჩეს პისხუანზე" უპირველესი მტრის, „სევილიის" დამარცხებით არაჩვეულებრივი განწყობა შეიქმნა. ანდალუსიელები ისე გათავხედდნენ, რომ ახლა „ბარსას" დამარცხებაზე ოცნებობენ. ამ თვალსაზრისით, ყველაზე დიდი სითამამით **რიკარდუ ოლივეირა** გამოირჩევა. შეგახსენებთ, ბრაზილიელი ფორვარდი „ბეტისმა" იანვარში დაიბრუნა. ოლივეირამ სადებიუტო შეხვედრა სწორედ სევილიურ დერბიში ჩაატარა და გოლიც გაიტანა. ოლივეირას კატალონიელთა ძლევამოსილება სულაც არ აშინებს და მიაჩნია, რომ „ბარსელონის" ერთ შეხვედრაში დამარცხება ყოველთვის შეიძლება. ვნახოთ, ყველაფერს დრო გამოაჩენს. ერთი რამ კი ფაქტია, გვარდიოლას ბიჭები რამდენად გადაღლილიც არ უნდა იყვნენ, იოლად არაფერს დათმობენ. კატალონიელები ფანტასტიკურ ფორმაში იმყოფებიან და რეკორდების დამსხვრევაზე არიან ორიენტირებული. მართალია, მათ ზედიზედ ათი შეხვედრა მოიგეს და უახლოეს მდევარს 12 ქულით უსწრებენ, მაგრამ კიდევ ერთი გამარჯვება ზედმეტი სულაც არ არის. ასეა თუ ისე, გვარდიოლა გულშემატკივრებს პირობას აძლევს, რომ მისი გუნდი „მანუელ რუის დე ლოპერაზე" მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. „ბარსელონა" უპირატესობის შემცირებას არ დაუშვებს, პირიქით, მისი ფეხბურთელები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ კიდევ უფრო დიდი სხვაობით გაიჭრან წინ.

„რეალმა" პრიმერა დივიზიონში ზედიზედ შვიდი შეხვედრა მოიგო, მაგრამ ეს შთამბეჭდავი სერია მადრიდელებს სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებაში ჯერ ვერ ეხმარება. ამის მიზეზი ისევ და ისევ „ბარსას" ფანტასტიკური თამაშია. ალბათ, ძალიან მომაბეზრებლად ჟღერს, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ სანაკრებო შეხვედრებმა სამეფო კლუბიც მნიშვნელოვნად დააზარალა. ძნელი სათქმელია, **ხუანდე რამოსი** რამ შეაშფოთა, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ ანალოგიური პრობლემების მქონე კოლეგებისგან განსხვავებით, დედაქალაქური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა ხუთშაბათს ფეხბურთელები მოედანზე არ ავარჯიშა და სრული შემადგენლობა სპორტულ კომპლექსში დაიბარა. მოთამაშეების ნაწილი ტრენაჟორებზე ვარჯიშობდა, ნაწილი კი სპა თერაპიას გადიოდა. როგორც ჩანს, სენიორ რამოსი სანაკრებო ბატალიებგამოვლილი ბიჭების დატვირთვას შეუშინდა. სხვათა შორის, ფეხბურთელები ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილნი დარჩნენ, რადგან ეროვნულ გუნდში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მეორე დღესვე ვარჯიში მხოლოდ რობოტს თუ არ შეუქმნის პრობლემას. მოკლედ, ხუთშაბათს „სიუდად რელ მადრიდის" საწვრთნელ მოედანზე სამარისებური სიჩუმე სუფევდა. სამაგიეროდ, დარბაზში გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა. ხუანდე რამოსმა განსაკუთრებული ყურადღება **კრისტოფ მეტცელდერისა** და **მიჩელ სალგადოს** სარეაბილიტაციო კურსს დაუთმო. გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად, ისინი, სავარაუდოდ, ვერ ითამაშებენ. საეჭვოა **ხოსე მარია გუტიერესის** თამაშიც. სამეფო კლუბის ნახევარმცველი კვლავ ტერფის ტრავმას ებრძვის. მართალია, ის უკვე რამდენიმე დღეა ინდივიდუალურად ემზადება, მაგრამ სულსწრაფობას სიკეთე არავისთვის მოუტანია. გუტის შემთხვევაში, გადამწყვეტი ექიმების ვერდიქტი იქნება. გუშინდელი მონაცემებით, ხოსე მარიას თამაში რისკთან იყო დაკავშირებული. ძნელად წარმოსადგენია, რომ ერთ დღეში სიტუაცია რადიკალურად შეცვლილიყო.

„სევილია" ანდალუსიურ დერბიში განცდილი მარცხით მიღებული შოკისგან ნელ-ნელა თავისუფლდებოდა. სიმართლე ითქვას, ასეთი დამამცირებელი წარუმატებლობის ერთ კვირაში დავიწყება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ **მანოლო ხიმენესსა** და მის ბიჭებს სხვა გზა არ აქვთ. ისინი ვალდებული არიან, ყველაფერი დაივიწყონ და „მონჯუიკზე" შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნონ. ანდალუსიელებს მცირე საკადრო პრობლემები აქვთ. ესკუდე ტრავმას უჩივის. ის, ალბათ, ვერ ითამაშებს. ალდო დუშერს კი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, ფრედერიკ კანუტეს მიკროტრავმა აწუხებს, თუმცა „სევილიის" ექიმები დარწმუნებულნი არიან, რომ აფრიკელი ფორვარდი დროულად გამოჯანმრთელდება და საკვირაო შეხვედრას არ გამოტოვებს.

მიმოხილვის დასასრულს, „ვალენსიაში" არსებულ მდგომარეობაზე მოკლედ მოგახსენებთ. „მალაგასთან" მატჩში უნაი ემერის გუნდი ფავორიტად არის მიჩნეული, მაგრამ სპეციალისტების მიერ მინიჭებული სტატუსი ხშირ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავს. მით უმეტეს ახლა, როცა „ვალენსიას" ერთ-ერთი წამყვანი მცველი **მიგელი** პორტუგალიის ნაკრებიდან ტრავმირებული დაუბრუნდა. თუ ის თამაშს ვერ შეძლებს, დიდი შანსია, რომ „ღამურებს" უკანა ხაზში პრობლემები შეექმნათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 22 | 19 | 2 | 1 | 68-16 | 59 |
| 2. რეალი | 22 | 15 | 2 | 5 | 45-27 | 47 |
| 3. სევილია | 22 | 11 | 5 | 6 | 29-21 | 38 |
| 4. ვალენსია | 22 | 11 | 4 | 7 | 42-33 | 37 |
| 5. ვილიარეალი | 22 | 10 | 7 | 5 | 35-30 | 37 |
| 6. ატლეტიკო | 22 | 10 | 5 | 7 | 47-33 | 35 |
| 7. მალაგა | 22 | 10 | 5 | 7 | 37-33 | 35 |
| 8. დეპორტივო | 22 | 10 | 4 | 8 | 27-29 | 34 |
| 9. ვალიადოლიდი | 22 | 9 | 3 | 10 | 32-33 | 30 |
| 10. ბილბაო | 22 | 8 | 5 | 9 | 32-35 | 29 |
| 11. რასინგი | 22 | 7 | 7 | 8 | 24-26 | 28 |
| 12. სპორტინგი | 22 | 9 | 0 | 13 | 29-47 | 27 |
| 13. ხეტაფე | 22 | 6 | 8 | 8 | 32-34 | 26 |
| 14. ბეტისი | 22 | 7 | 4 | 11 | 29-30 | 25 |
| 15. ალმერია | 22 | 6 | 6 | 10 | 26-35 | 24 |
| 16. რეკრეატივო | 22 | 6 | 6 | 10 | 19-32 | 24 |
| 17. ოსასუნა | 22 | 4 | 8 | 10 | 23-30 | 20 |
| 18. ნუმანსია | 22 | 6 | 2 | 14 | 26-45 | 20 |
| 19. მალიორკა | 22 | 4 | 6 | 12 | 22-40 | 18 |
| 20. ესპანიოლი | 22 | 3 | 9 | 10 | 20-35 | 18 |



ბარსელონა

# ეტოო ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე თანახმაა

## თუმცა კამერუნელი ფორვარდი ლეო მესისთან გათანაბრებას ითხოვს

**სამუელ ეტოომ** დიდი ხანია იცის, რომ „ბარსელონის" ხელმძღვანელობას მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივება სურს. **ჟოან ლაპორტა** კამერუნელი ფორვარდით აღფრთოვანებას მაშინაც კი გამოხატავდა, როცა გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი, **პეპ გვარდიოლა** სამუელის გაშვებას ითხოვდა. მას შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. მიმდინარე სეზონში ეტოომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ის არა მარტო საკუთარი კლუბის, არამედ პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირიცაა. გვარდიოლა ამას ხმამაღლა არ ლაპარაკობს, მაგრამ კატალონიურ კლუბთან დაახლოებული ჟურნალისტები ამბობენ, რომ მთავარი მწვრთნელი სეზონის დაწყებამდე გამოვლენილ რადიკალიზმს ძალიან ნანობს და აფრიკელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას პირველ რიგში ახლა ის ითხოვს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიურ გრანდს სამუელ ეტოოსთან თანამშრომლობის რამდენიმე წლით გახანგრძლივება სურს. ამჟამად მოქმედ ხელშეკრულებას 2010 წლის 30 ივნისს ეწურება ვადა. ეტოო სულ რაღაც 27 წლისაა და ბუნებრივია, რომ ჟოან ლაპორტასა და მის თანაგუნდელებს ასეთი ძლიერი ახალგაზრდა ფორვარდი ერთ წელიწადში დასაკარგად არ ემეტება. ლაპორტას დავალებით, ამ საქმეზე კლუბის გენერალური დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** მუშაობს. მან ისეთი საკონტრაქტო პირობები უნდა წარადგინოს, რომელიც ეტოოსაც მოხიბლავს და გუნდსაც არ გააკოტრებს. რამდენადაც ცნობილია, სამუ, მოქმედი კონტრაქტის თანახმად, წელიწადში ხელფასის სახით 7.5 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. ეს რა თქმა უნდა, კოლოსალური თანხაა, მაგრამ ადამიანის ხარბი ბუნება ხომ იცით, მით უმეტეს, კამერუნელმა მშვენივრად იცის, რომ მისი მეგობარი და თანაგუნდელი **ლიონელ მესი** 8.4 მილიონ ევროს იღებს. ხელფასო ფონდის არათანაფარდობაში მარტივად მისახვედრი ლოგიკაა. ლეო ლეოა და ის ყველაზე მაღალ ხელფასს იმსახურებს, თუმცა ეტოოსთვის ეს არგუმენტი ანგარიშგასაწევი არასოდეს იქნება. მას მიაჩნია, რომ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი მესიზე ნაკლებს არ უნდა იღებდეს. ჩიკი ბეგირისტაინი ახლა სწორედ ამ საკითხზე მუშაობს. „ბარსელონისთვის" 900 ათასი ევრო პრობლემა არ არის, მაგრამ გენერალურ დირექტორს ობიექტური რეალობით განპირობებული სუბორდინაციის დარღვევა არ უნდა.

სანამ სენიორ ჩიკი ახალი კონტრაქტის დეტალებზე ფიქრობს, ეტოომ თავისუფალი დრო გამონახა და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა: *„არაერთხელ მითქვამს, რომ „ბარსელონაში" თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ, თუმცა განვლილი წლების განმავლობაში „კამპ ნოუდან" შესაძლო წასვლის შესახებაც არაერთხელ მისაუბრია. ჩემს მოსაზრებებს მყარი არგუმენტებით ვასაბუთებდი. აქამდე უკმაყოფილებას კლუბის არადამაჯერებელი თამაში და ტიტულების განიავება განაპირობებდა, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა, „ბარსა" შეუდარებელია და ამით უზომოდ ბედნიერი ვარ... თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, გულწრფელად ვიტყვი, რომ „ბარსელონაში" ნებისმიერ ფასად არ დავრჩები. კონტრაქტს დიდი სიამოვნებით გავახანგრძლივებ, მაგრამ ამისათვის ხელმძღვანელობამ შემხვედრი ნაბიჯი უნდა გადმოდგას. თუ უნდათ, რომ პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი 2010 წლის შემდეგაც „კამპ ნოუზე" დარჩეს, ხელფასი უნდა გამიზარდონ. ეს ჩემი ერთადერთი მოთხოვნაა. მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონტრაქტს იმავე დღეს მოვაწერ ხელს. ასე რომ, ახლა ყველაფერი „ბარსელონის" ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული".*

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**

გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის წინ

# ჰიონესი ჰიონესის წინააღმდეგ

## ულის და დიტერს ჰოფენჰაიმის დახმარება სურთ

| გუშინ | |
|---|---|
| ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი | 1:4 |
| **დღეს** | |
| ბოხუმი-შალკე | 18:30 |
| კიოლნი-კარლსრუე | 18:30 |
| ჰანოვერი-შტუტგარტი | 18:30 |
| ჰერტა-ბაიერნი | 18:30 |
| ვერდერი-ბორუსია (მ) | 18:30 |
| აინტრახტი-ვოლფსბურგი | 18:30 |
| **ხვალ** | |
| ბორუსია (დ)-კოტბუსი | 20:00 |
| ჰამბურგი-არმინია | 20:00 |

ტურის ცენტრალური შეხვედრა გუშინ ზინსჰაიმში გაიმართა, სადაც „ჰოფენჰაიმმა“ „ლევერკუზენს“ უმასპინძლა. დღეს კი საქმეში „ჰოფეს“ მდევრები ერთვებიან. მეორე ადგილზე მყოფი „ბაიერნი“ ბერლინში ჩადის და „ჰერტას“ ეთამაშება, რომელიც მესამე ადგილზეა. ბერლინელთა მთავარ მწვრთნელ **ლუსიენ ფავრს** ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩის წინ საკადრო პრობლემები აქვს. შვეიცარიელი სპეციალისტი დღეს ვერც **სისეროს** (დისკვალიფიკაცია) დაიხმარს და დიდი შანსია, რომ **მარკო პანტელიჩი** და **პალ დარდაიც** დააკლდეს. ბოლო 19 მატჩიდან „ჰერტამ“ „ბაიერნს“ მხოლოდ ერთი მოუგო (2:1) და მაშინ რეკორდმაისტერის კარში გამარჯვების გოლი სწორედ დარდაიმ გაიტანა. „ბაიერნის“ დამრიგებელი **იურგენ კლინსმანი** კი ძირითად შემადგენლობას, სავარაუდოდ, არ შეცვლის და მოედანზე იმ ფეხბურთელებს გაიყვანს, რომლებმაც წინა ტურში დორტმუნდის „ბორუსია“ 3:1 დაამარცხეს.

„ჰანოვერმა“ ერთი კვირის წინ „კოტბუსთან“ 1:3 წააგო და ზოგადად „წითლებს“ არც ისე კარგად აქვთ საქმე - მეცამეტე ადგილზე არიან და გასავარდნ ზონას მხოლოდ 4 ქულა აშორებთ. **დიტერ ჰეკინგის** სამწყსოს აქვს იმის შანსი, რომ „შტუტგარტთან“ ვითარება გამოისწოროს, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გუნდს შვაბებთან წარმატების მიღწევა ბოლო დროს ძალიან უჭირს. თვითონ განსაჯეთ: ბოლო 6 სტუმრობიდან „შტუტგარტს“ „ჰანოვერში“ ერთი თამაშიც კი არ წაუგია (3/3/0). ამასთან, შტუტგარტელები პროგრესის გზას ადგანან. მას მერე, რაც გუნდის მთავარ მწვრთნელად **მარკუს ბაბელი** დაინიშნა, შვაბებმა 5 მატჩში 13 ქულა მოიპოვეს (4 მოგება, 1 ფრე).

ბოხუმში რურის მცირე დერბი შედგება. „ბოხუმსაც“ და „შალკესაც“ დაცვაში საკადრო პრობლემები აქვთ. ამ მხრივ განსაკუთრებით მასპინძლებს უჭირთ. **მარსელ კოლერი** 6 კვირის განმავლობაში ველარ დაიხმარს **იაიას** და **მალტრიტცს**, რომლებიც დაცვის ცენტრში თამაშობენ ხოლმე. არადა, „ბოხუმი“ ბოლოსწინა ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ძალიან სერიოზულად ემუქრება. „შალკეს“ კი კაპიტანი **მარსელო ბორდონი** აკლია, რომელსაც **მლადენ კრსტაიჩი** შეცვლის. გელზენკირხენული კლუბის რიგებში ვერც **ჯერმეინ ჯონსს** ვიხილავთ, რომელმაც წინა ტურში მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაცია გამოიწერა. დიდი შანსია, რომ **ფრედ რუტენმა** ამჯერად სასტარტოში ათამაშოს **კევინ კურანი**, რომელმაც ბოლო დროს არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მხოლოდ შეცვლაზე ათამაშებენ.

ფრანკფურტის „აინტრახტი“ „ვოლფსბურგს“ მასპინძლობს და ფაქტია, რომ მასპინძლებს დაცვის ბურჯი **კრისი** არ ეყოლებათ, რომელიც დისკვალიფიცირებულია. დიდი შანსია, რომ „აინტრახტს“ **ფენინის** გარეშეც მოუწიოს თამაში - ამ უკანასკნელს გრიპი აქვს. ჰესენელების „მგლებთან“ ნეგატიური სერია აქვთ და თუ მოიგებენ, ამ სერიას შეწყვეტენ, თანაც, გასავარდნ ზონას კარგად მოშორდებიან. მაგრამ „ვოლფსბურგის“ დამარცხება ძალიან ძნელია. **ფელიქს მაგათს** ლაზარეთიდან ბრაზილიელი გოლეადორი **გრაფიტე** უბრუნდება, რის გამოც „ვოლფების“ თავკაცი ძალიან გახარებულია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მყარი სტაბილურობისა, „ვოლფსბურგს“ ამ სეზონში სტუმრად არც ერთი თამაში არ აქვს მოგებული...

„კიოლნმა“ მეორე წრე ორი ფრით დაიწყო, რაზეც ვერც იმას ვიტყვით, რომ ცუდი შედეგია და ვერც პირიქით. „კარლსრუესთან“ მატჩში **კრისტოფ დაუმის** შეგირდები ყველანაირად შეეცდებიან სამი ქულის მოპოვებას, რათა გასავარდნ ზონას კიდევ უფრო მოშორდნენ. თუმცა არც ბადენელები დანებდებიან იოლად. მით უმეტეს, რომ **ედმუნდ ბეკერის** გუნდმა წინა ტურში „ჰამბურგს“ 0:2 3:2-ზე შემოუტრიალა და ამრიგად, **ალექსანდრე იაშვილის** გუნდში ჩინებული განწყობაა. „კარლსრუეს“ **მარკო ენგელჰარდტი** ჰყავს დისკვალიფიცირებული, რომელსაც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე **გოდფრიდ ადუბე** შეცვლის.

დროა, „ვერდერმა“ მოიგოს, რადგან კიდევ ერთი წარუმატებლობა კალაპოტიდან ისედაც ამოვარდნილ ბრემენულ კლუბს სულ წაახდენს. დღეს „მუსიკოსების“ მეტოქე ბოლოადგილოსანი მიონხენგლადბახის „ბორუსიაა“. ერთი სიტყვით, ორივე გუნდს მძიმე დროება უდგას. თუმცა **ჰანს მაიერის** შეგირდებმა წინა ტურში „ჰოფენჰაიმთან“ ფრე გაახერხეს და არც ისე ცუდ ხასიათზე არიან. „ვერდერს“ გოლეადორი **კლაუდიო პისარო** უბრუნდება, რაც **თომას შაფისთვის** დიდი შვებაა. სამაგიეროდ, თავისი გოლეადორი არ ეყოლება „გლადბახს“ - **რობ ფრენდი** ტრავმირებულია და მას, სავარაუდოდ, **კოლაუტი** შეცვლის.

კვირას დორტმუნდის „ბორუსია“ და „ჰამბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის ქვეშ მყოფ მეტოქეებს უმასპინძლებენ. „ბორუსიამ“ წინა ტურში ამ სეზონში მესამე მარცხი განიცადა („ბაიერნთან“), თუმცა **იურგენ კლოპის** შეგირდები იმავე რეკორდმაისტერთან ერთად, რომელსაც ასევე სამი მარცხი აქვს, კვლავ რჩებიან ისეთ გუნდად, რომელსაც ყველაზე ცოტა მარცხი აქვს. დორტმუნდმა ამ სეზონში საშინაო მატჩებში მეტოქეებს ქულები უკვე შვიდჯერ გაუყო და „კოტბუსთან“ კლოპის თითოეული შეგირდი ვალდებულია, მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქროს. თუკი ვესტფალიელებს უეფას თასის საგზურის მოპოვება უნდათ, „კოტბუსის“ დამარცხება აუცილებელია. მაგრამ კლოპმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ „კოტბუსი“ კერკეტი კაკალია - „ენერგიმ“ ამ სეზონში სტუმრად 9 ქულის მოპოვება შეძლო.

„ჰამბურგში“ „კარლსრუესთან“ წაგების შემდეგ განგაშის ზარებს შემოჰკრეს. მით უმეტეს, რომ **მარტინ იოლის** შეგირდები 2:0-ს იგებდნენ. ამ მატჩის შემდეგ განრისხებულმა იოლმა თქვა, ჩვენ არ ვართ სუპერგუნდიო. „არმინიასთან“ მატჩისთვის ჰოლანდიელ სპეციალისტს **ივიცა ოლიჩი** უბრუნდება. სამაგიეროდ, იოლი ბომბარდირ **მლადენ პეტრიჩს** ვერ გამოიყენებს, რომელიც წინა ტურში მოედნიდან გააძევეს. „არმინიამ“ მეორე წრე ჩინებულად დაიწყო - ბილეფელდელებმა „ვერდერთან“ და „ჰერტასთან“ მატჩებში 4 ქულას მოუყარეს თავი.

**გოტფრიდ ლენცი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 20 | 12 | 3 | 5 | 46-28 | 39 |
| 2. ბაიერნი | 19 | 11 | 5 | 3 | 42-26 | 38 |
| 3. ჰერტა | 19 | 11 | 4 | 4 | 30-22 | 37 |
| 4. ლევერკუზენი | 20 | 11 | 3 | 6 | 43-27 | 36 |
| 5. ჰამბურგი | 19 | 11 | 3 | 5 | 29-27 | 36 |
| 6. შტუტგარტი | 19 | 9 | 4 | 6 | 32-25 | 31 |
| 7. ვოლფსბურგი | 19 | 8 | 6 | 5 | 38-26 | 30 |
| 8. შალკე | 19 | 8 | 6 | 5 | 25-17 | 30 |
| 9. ბორუსია (დ) | 19 | 7 | 9 | 3 | 29-23 | 30 |
| 10. ვერდერი | 19 | 7 | 5 | 7 | 40-31 | 26 |
| 11. კიოლნი | 19 | 7 | 3 | 9 | 22-28 | 24 |
| 12. აინტრახტი | 19 | 5 | 5 | 9 | 26-33 | 20 |
| 13. ჰანოვერი | 19 | 5 | 5 | 9 | 22-35 | 20 |
| 14. არმინია | 19 | 3 | 9 | 7 | 18-29 | 18 |
| 15. კოტბუსი | 19 | 4 | 4 | 11 | 15-32 | 16 |
| 16. კარლსრუე | 19 | 5 | 1 | 13 | 18-36 | 16 |
| 17. ბოხუმი | 19 | 2 | 8 | 9 | 21-32 | 14 |
| 18. ბორუსია (მ) | 19 | 3 | 3 | 13 | 19-38 | 12 |






ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXIV ტურის წინ

# მილანურ დერბიში... იუვენტუსი მოიგებს

**დღეს**

| | |
|---|---|
| ლაციო-ტორინო | 21:00 |
| ნაპოლი-ბოლონია | 23:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ატალანტა-რომა | 18:00 |
| კალიარი-ლეჩე | 18:00 |
| კიევო-კატანია | 18:00 |
| ჯენოა-ფიორენტინა | 18:00 |
| იუვენტუსი-სამპდორია | 18:00 |
| რეჯინა-პალერმო | 18:00 |
| სიენა-უდინეზე | 18:00 |
| ინტერი-მილანი | 23:30 |



იტალიის სერია A-ს 24-ე ტურში მილანური დერბი გაიმართება და ამით ყველაფერია ნათქვამი. მადონინა ისეთი მოვლენაა, რომელიც ყველას და ყველაფერს ჩრდილავს. მილანური დერბი დამატებით ინტრიგებს ნამდვილად არ საჭიროებს, თუმცა სატურნირო ცხრილში არსებულ მდგომარეობას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „ინტერი" და „მილანი" სკუდეტოს მოპოვების მთავარი პრეტენდენტები არიან და ეს მოახლოებულ პაექრობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. აღნიშნული დერბი უკანასკნელი იქნება **პაოლო მალდინისთვის** და იტალიაში ამ ფაქტზეც საკმაოდ ბევრს საუბრობენ. „როსონერის" კაპიტანს კარიერის დასრულება აქვს გადაწყვეტილი და თუ რაიმე არ შეიცვალა, კვირის პაექრობა მისთვის ბოლო მადონინა იქნება. ნომინალური მასპინძელი „ინტერია" და ჩვენც ამ გუნდით დავიწყოთ.

**ჟოზე მოურინიო** სამ ფეხბურთელს მოისაკლისებს, დისკვალიფიცირებულ **მარიო ბალოტელის** და ტრავმირებულებს, **ნიკოლას ბურდისოს** და **კრისტიან კივუს**. დანაკლისი სერიოზულია, თუმცა არა იმდენად, რომ პორტუგალიელ სპეციალისტს საქმეები დიდად გაურთულდეს. ვფიქრობთ, უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა **ადრიანოს** დაბრუნებაა, ვინაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და მოედანზე დაბრუნების ნებაც დართეს. ბრაზილიელი სასტარტოში იასპარეზებს და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** შეუწყვილდება. ტანდემის აღდგენით ძალიან კმაყოფილია მოურინიო და ამას არც პრესასთან მალავს:

*„დერბის მოგება ჩვენთვის პრინციპის საკითხია. პირველ წრეში „მილანმა" გაიმარჯვა და ეს დღე ძალიან ცუდად მახსენდება. არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ ეს გრძნობა კიდევ ერთხელ გამოვცადო. რევანში აუცილებლად უნდა ავიღოთ და სატურნირო ცხრილში პოზიციები გავიმყაროთ. „მილანი" ძალიან ძლიერია და ეს კარგად მოგვეხსენება. „როსონერის" ფეხბურთელები ბურთს დიდებულად ფლობენ და ცდილობენ მატჩი ბოლომდე გააკონტროლონ. ჩვენი მიზანია ინიციატივის აღება და მეტოქისთვის საკუთარი თამაშის კარნახი. იმედი მაქვს, ამას მოვახერხებთ და აქტივში მორიგ სამ ქულას ჩავიწერთ. ვის დავაყენებ სასტარტოში? - ამას თამაშის დღეს შეიტყობთ და ჯობია ნუ გავასწრებთ წინ მოვლენებს".*

ჟურნალისტები რისი ჟურნალისტები არიან მოვლენებს წინ რომ არ გაუსწრონ. აბსოლუტურად ყველა ჟურნალი და გაზეთი სავარაუდო შემადგენლობის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს. ჩვენ, ტრადიციულად, „გაძეტა დელო სპორტს" დავეყრდნოთ. იტალიის ნაკრებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მცირე ტრავმა მიიღო **ჟულიო სეზარმა** და იყო ვარაუდი, რომ „ინტერის" კიპერს დერბის გამოტოვება მოუწევდა. თუმცა, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სეზარი სრულ მზადყოფნაშია და „მილანს" აუცილებლად დაუპირისპირდება. დაცვაში სიახლეებია. სასტარტოში ბრუნდება **მარკო მატერაცი**, ვინაც თავის ჩვეულ პოზიციაზე, დაცვის ცენტრში ითამაშებს. მარკო ოპტიმალურ ფორმაში არ არის, თუმცა მოურინიოს სხვა გამოსავალი არ აქვს. ბურდისო და კივუ ხომ ტრავმირებულნი არიან. რუმინელი განაცხადში იქნება, თუმცა საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ერთ ტაიმს ითამაშებს. მატერაცის მეწყვილე **ვალტერ სამუელი** იქნება, მარცხნივ **სანტონი** გაირჯება, მარჯვნივ კი **მაიკონი**. მთლად ჯანმრთელად ვერც მაიკონია, თუმცა ჟოზე მას ალბათ მაინც პირველივე წუთებიდან ათამაშებს. ბრაზილიელი გუნდისთვის შეუცვლელი ფიგურაა და ეს პორტუგალიელ სპეციალისტს არაერთხელ აღუნიშნავს.

საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს **ესტებან კამბიასო** შეასრულებს, არგენტინელი შეუცვლელია თავის პოზიციაზე და **პატრიკ ვიეირა** ღრმა თადარიგში ჰყავს გადასროლილი. მარცხნიდან **სალი მუნტარი** გაირჯება, მარჯვნიდან კი ხავიერ ძანეტი. ეს ის სამეულია, რომელსაც ჟოზე მოურინიო ბოლომდე ენდობა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ცვლილებას არ მიმართავს. ნახევარმცველებს და თავდამსხმელებს შორის **დეიან სტანკოვიჩი** იმოქმედებს და შეეცდება რგოლებს შორის კავშირი გაამყაროს. სერბი გამთამაშებლად იასპარეზებს, თუმცა მისგან ფილიგრანულ პასს ყველაზე ნაკლებად ელიან. დაცვიდან ამოტანილ ბურთზე თამაში და კარში დარტყმა, როცა კი ამის საშუალება ექნება. სწორედ ამას ითხოვენ დეიანისგან და ვნახოთ, რამდენად მოახერხებს საუკეთესო თვისებების წარმოჩენას. თავდასხმაში ძველი ტანდემი აღდგება: იბრაჰიმოვიჩი-ადრიანო. ბრაზილიელს სამი კვირა გაუცდა, ძალები მოზღვავებული აქვს და როგორც თვითონ აღნიშნა, შეხვედრის დაწყებას მოუთმენლად ელის.

საბრძოლო განწყობაა „მილანის" ბანაკშიც და ამაზე **კარლო ანჩელოტის** სიტყვებიც მოწმობს: *„არ ვეთანხმები იმათ, ვინც თვლის, რომ სკუდეტოს ბედი ამ შეხვედრაში წყდება. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა და კარგად უნდა გვესმოდეს, რომ წინ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი გველის. თუმცა, „ინტერთან" შეხვედრა რომ რიგითი არაა, ცხადზე ცხადია. გუნდი მობილიზებულია და გამარჯვებისთვის ემზადება. დიახ, გამარჯვებისთვის, რადგან ჩვენი ერთადერთი მიზანი სამი ქულის მოპოვებაა. „ინტერს" მთელი რვა ქულით ჩამოვრჩით და გვსურს ეს ფორა რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ. დაშავებული ბევრი გვყავს, მარტო კაკას მოსაკლისება რად ღირს, მაგრამ საგანგაშოს მაინც ვერაფერს ვხედავ, გამარჯვება ნამდვილად ხელგვეწიფება".*

კარლეტომ დაშავებულები ახსენა და „მილანის" დანაკლისზე მართლაც ღირს ყურადღების გამახვილება. ლაზარეთი მართლაც არ განიცდის ფეხბურთელთა ნაკლებობას და ამაში ახლავე დაგარწმუნებთ, „ინტერს" ვერ შეეტოქებიან: **გატუზო, ბორიელო, ფავალი, კალაჩი, ვიუდესი, ემერსონი** და რაც მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კაკა.

იტალიელი ჟურნალისტების ვარაუდით, ანჩელოტი ტაქტიკას არც დერბისთვის შეცვლის და „ინტერს" 4-3-2-1-ით დაუპირისპირდება. ცენტრფორვარდად **ალეშანდრე პატო** გაირჯება, მის უკან კი **რონალდინიო** და **კლარენს ზეედორფი** იმოქმედებენ. საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ანდრეა პირლო ითამაშებს და შეეცდება, ჟურნალისტების კრიტიკას კარგი თამაშით უპასუხოს. საქმე იმაშია, რომ ბრაზილიის ნაკრებთან ანდრეა ერთობ სუსტად გამოიყურებოდა და პრესის კრიტიკაც დაიმსახურა. ბევრმა ისიც კი თქვა, რომ პირლო ეროვნულ ნაკრებში აღარ უნდა გამოიძახონ. მარჯვნიდან **დევიდ ბექჰემი** შეუტევს, მარცხნიდან კი **მასიმო ამბროზინი**. თუმცა მისი ფუნქცია შეტევაზე მეტად პარტნიორების დაზღვევა და მოედნის ცენტრის გამაგრება იქნება. ცვლილებებია დაცვით ხაზში. სასტარტოში ბრუნდება **კახა კალაძე**, ქართველი უკანახაზელი ტრავმირებული გახლდათ და კარგა ხანს მოუწია უქმად ყოფნამ. ანჩელოტი მას პაოლო მალდინის შეუწყვილებს, ვინაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავის უკანასკნელ დერბის ითამაშებს. მარჯვნიდან **ძამბროტა** გაირჯება, მარცხნიდან კი - **იანკულოვსკი**.

იტალიურ პრესაში, „მილანის" ფეხბურთელთა წინასამატჩო კომენტარები უხვად გამოქვეყნდა. ჩვენ ორს გამოვარჩევთ, კახა კალაძის და პაოლო მალდინის ნააზრევს. ჯერ ქართველ ფეხბურთელს მივუსმინოთ:

*„ყველაზე მთავარი სამი ქულაა და ჩვენც სწორედ მოგებისთვის ვიბრძოლებთ. პირველ დერბიში დიდებული გამარჯვება მოვიპოვეთ, რომელიც არასდროს დამავიწყდება. თუმცა შემდეგ რაღაც აირია და დაუგეგმავი ქულები დავკარგეთ. შედეგად, უკან დასახევი გზა მოვიჭერით და ახლა მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ. „ინტერი" შესანიშნავ ფორმაშია და უმაღლესი კლასის ფეხბურთს აჩვენებს. თუმცა ნაკლებნი არც ჩვენ ვართ და შევეცდებით, ეს კვირა საღამოს დავამტკიცოთ. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები ულამაზეს სანახაობას იხილავენ".*

დროა სიტყვა პაოლოს გადავცეთ, კაპიტანმა 50-ზე მეტ დერბიში მიიღო მონაწილეობა და ბუნებრივია, მისთვის ეს მატჩი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს:

*„სეზონის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სევდა ხშირად მიპყრობს, რადგან თითოეულ გუნდს ბოლოჯერ ვეთამაშები. დერბი განსაკუთრებული მოვლენაა და ის უდიდეს ემოციასთან ასოცირდება. ეს იქნება ჩემი ბოლო მადონინა და ძალიან მინდა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩეს. თანაც, სამი ქულის მოპოვებით სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვნად გავიუმჯობესებთ მდგომარეობას და სკუდეტოსკენ ნაბიჯს გადავდგამთ. დერბის მოგება იქით იყოს და, ჩემი ოცნებაა, კარიერა იტალიის ჩემპიონის რანგში დავასრულო".*

კონკურენტების ჯახის ფონზე, მხოლოდ სამ ქულაზე ფიქრობს **კლაუდიო რანიერი** და „იუვენტუსის" თითოეული ფეხბურთელი. „ვეკია სენიორა" საკუთარ მოედანზე გენუის „სამპდორიას" მიიღებს. საკმაოდ საინტერესო წინასამატჩო კომენტარი გააკეთა „იუვეს" თავკაცმა და ტურის წინათქმასაც მისი სიტყვებით დავასრულებთ: *„ვინ მოიგებს დერბის? - „იუვენტუსი", ეს ჩვენი ტური იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 23 | 16 | 5 | 2 | 40-16 | 53 |
| 2. იუვენტუსი | 23 | 14 | 4 | 5 | 38-20 | 46 |
| 3. მილანი | 23 | 13 | 6 | 4 | 40-23 | 45 |
| 4. ფიორენტინა | 23 | 13 | 2 | 8 | 32-20 | 41 |
| 5. ჯენოა | 23 | 10 | 7 | 5 | 32-22 | 40 |
| 6. რომა | 23 | 12 | 4 | 7 | 36-28 | 40 |
| 7. პალერმო | 23 | 11 | 2 | 10 | 32-29 | 35 |
| 8. ნაპოლი | 23 | 10 | 4 | 9 | 31-27 | 34 |
| 9. კალიარი | 23 | 10 | 4 | 9 | 30-26 | 34 |
| 10. ატალანტა | 23 | 10 | 3 | 10 | 28-25 | 33 |
| 11. ლაციო | 23 | 9 | 4 | 10 | 32-36 | 31 |
| 12. უდინეზე | 23 | 8 | 6 | 9 | 33-35 | 30 |
| 13. სიენა | 23 | 7 | 5 | 11 | 18-24 | 26 |
| 14. კატანია | 23 | 7 | 5 | 11 | 21-29 | 26 |
| 15. სამპდორია | 23 | 6 | 7 | 10 | 22-28 | 25 |
| 16. ბოლონია | 23 | 5 | 7 | 11 | 25-37 | 22 |
| 17. ლეჩე | 23 | 4 | 10 | 9 | 22-36 | 22 |
| 18. ტორინო | 23 | 4 | 7 | 12 | 23-38 | 19 |
| 19. კიევო | 23 | 4 | 7 | 12 | 16-31 | 19 |
| 20. რეჯინა | 23 | 3 | 7 | 13 | 20-41 | 16 |



არსენალი

# გაკეთდება თუ არა აქცენტი არშავინზე

## ...და დატოვებს თუ არა ემირიტსს შესანიშნავი სამეული?

„არსენალის" ვარსკვლავურმა სამეულმა - **ფრანსესკ ფაბრეგასმა, ემანუელ ადებაიორმა** და **რობინ ვან პერსიმ** შეიძლება გუნდი დატოვონ, იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩება, - ამტკიცებს „ნიუს ოფ ზე ვორლდი". გამოცემის ცნობით, ინიციატივა თავად ფეხბურთელთა მხრიდან წამოვა.

ფაბრეგასის სახელი ხშირად ხდება ხოლმე სპეკულაციების ობიექტი. ესპანური და ინგლისური პრესის მტკიცებით, მისით „ბარსელონა" გახლავთ დაინტერესებული. მოგეხსენებათ, სესკი სულ რაღაც 16 წლისა იყო, როცა კატალონიური გრანდის აკადემიაში თამაშისას **არსენ ვენგერმა** შეამჩნია. ფრანგმა სპეციალისტმა ხელთ ხარისხიანი მასალა ჩაიგდო და მისგან შესანიშნავი ფეხბურთელი გამოძერწა. ამჟამად ესპანელი ტრავმირებულია, თუმცა მინდორს ძალიან მალე უნდა დაუბრუნდეს. ფეხბურთელი ხმებს მისი კონტინენტზე შესაძლო გადაბარგების შესახებ, კატეგორიულად უარყოფს. პირიქით, ის მუდმივად ნერვიულობს იმის გამო, რომ ლიდერების გარეშე დარჩენილი "არსენალი" ქულას ქულაზე კარგავს და აგრერიგად სასურველ მეოთხე ადგილს თანდათან შორდება. სატრანსფერო ბაზარზე ძალზე პოპულარულია ადებაიორიც. ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის დაწყებამდე „მილანი" ტოგოელ ფეხბურთელში 40 მილიონს იხდიდა. დაინტერესებას ადასტურებდა „ბარსელონაც", თუმცა მას შემდეგ, რაც „არსენალმა" ლიდერს ანაზღაურება კვირაში 80 ათას გირვანქამდე გაუზარდა, ემანუელმა "ემირიტსზე" დარჩენა საბოლოოდ გადაწყვიტა.

გუნდში ეჭვქვეშ დადგა მესამე ლიდერის დარჩენის საკითხიც. საქმე ის არის, რომ მოლაპარაკება ფეხბურთელსა და „არსენალს" შორის კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. ვერ ვიტყვით, რომ ის ჩიხშია შესული, მაგრამ საკითხზე წერტილის დასმა დღემდე რომ ვერ ხერხდება, ესეც ფაქტია. ვან პერსის მსურველ კლუბებს შორის სახელდებიან ისევ და ისევ „ბარსელონა", „მილანი", „იუვენტუსი" და... რა თქმა უნდა, „რეალი". თუკი ზემოხსენებული სამეულიდან რომელიმე მართლა დატოვებს გუნდს, ამაში გასაკვირი არაფერი იქნება. ვარსკვლავები მუდმივად უმაღლეს დონეზე უნდა თამაშობდნენ. ეს ყოველი კონკრეტული მოთამაშის თავისუფალი ნების საკითხია, მისცემს თუ არა საკუთარ თავს ფუფუნების უფლებას, მთელი წელიწადი ჩემპიონთა ლიგის გარეშე გაატაროს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია "არსენალზე". "შესანიშნავი სამეულის" წასვლა გუნდს ულაპარაკოდ წელში გაწყვეტს და ეს ყველამ კარგად იცის. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ვენგერი ადვილად ახერხებს ხოლმე ახალგაზრდა მოთამაშეების გუნდურ სქემებთან მორგებას, ტოგოელი, ჰოლანდიელი და ესპანელი ვარსკვლავების უმოკლეს დროში შეცვლა, წარმოუდგენელი იქნება. არადა, ბოროტი ხმები ამტკიცებენ, გუნდს არჩევანის საშუალება აღარ ექნება და იძულებული გახდება, ფეხბურთელებს გამოეთხოვოსო. აშკარაა, რომ რამდენიმეწლიანი უტიტულო სეზონი მოთამაშეებს სამომავლო პერსპექტივის განცდას ნაკლებად ულვივებს. თუმცა ჯერჯერობით დაკარგული არაფერია და არც „მეთოფეებს" ჩაუქნევიათ ხელი. „არსენალს" მეოთხეადგილოსანი „ჩელსისგან" ოთხი ქულა აშორებს.

საქმეს ერთი დელიკატური საკითხიც ამწვავებს. ვენგერმა **ანდრეი არშავინში** დიდი ფული გადაიხადა და ალბათ აქცენტს მასზე გადაიტანს, რაც ფაბრეგასს ნაკლებად, მაგრამ ადებაიორსა და ვან პერსის კი უქმნის (ან მომავალში შეუქმნის) გარკვეულ დისკომფორტს. შესაბამისად, ხსენებული მიზეზის გამო რომელიმე მათგანმა შეიძლება მართლა მოისურვოს გუნდის დატოვება. მით უფრო ინფორმაციის ფონზე, რასაც აქვე გაგაცნობთ: „ინდეპენდენტის" ცნობით, არსენ ვენგერი კიდევ ერთ თავდამსხმელს ეძებს. ლაპარაკია „რეალის" ჰოლანდიელ ლეგიონერ **კლაას იან ჰუნტელაარზე**. "რეალის" თავს გადამხდარი ცნობილი გაუგებრობის შემდეგ ის ჩემპიონთა ლიგის განაცხადს მიღმა დარჩა, რის გამოც უკიდურესად უკმაყოფილოა. ის ხელმძღვანელობაზე გახლავთ ალრენილი. კლაას იანს წელსვე სურდა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება. ფეხბურთელი შესანიშნავად ხვდება, რომ **რუუდ ვან ნისტელროის** გამოჯანმრთელების შემდეგ ის შეიძლება სათადარიგოთა სკამზეც კი ვერ მოხვდეს. სამეფო გუნდის ხელმძღვანელობამ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

2008 წლის 23 თებერვალს „ბირმინგემთან" შეხვედრაში **ედუარდო და სილვამ** ფეხის ღია მოტეხილობა მიიღო. მას შემდეგ. თავდამსხმელი მინდორს აღარ გაჰკარებია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მისი დაბრუნება დიდ ფეხბურთში შედგა არა „მეთოფეთა", არამედ ხორვატიის ნაკრების რიგებში (ხორვატია-რუმინეთი 2:1. ამხანაგური მატჩი). *„ერთადერთი სურვილილა მაქვს, რაც შეიძლება მალე ვითამაშო „არსენალის" შემადგენლობაში. თავს კარგად ვგრძნობ. ვფიქრობ, ყველას დავუმტკიცე, რომ თამაში არ დამვიწყებია. მოხარული ვარ, რომ იმედები გავამართლე. დიდი მადლობა ჩემს პარტნიორებს დღევანდელი საღამოსთვის, მაგრამ იმისთვის, რომ ძველი ედუარდო გავხდე, კიდევ რამდენიმე თვე დამჭირდება. თამაშამდე ყველა ერთსა და იმავეს მეკითხებოდა, სადღაც გულის კუნჭულში შიში ხომ არ მქონდა. გამოგიტყდებით, ცოტა კი... მაგრამ მხოლოდ იმ მომენტში, როცა მინდორზე შევდიოდი. ბურთთან პირველივე შეხების შემდეგ შიში სადღაც გაქრა"*. მოგახსენებთ, რომ ედუარდომ მინდორზე 29 წუთი გაატარა და ამ დროში **ნიკო კრანჩარს** საგოლე პასი მისცა. მასპინძლებმა შეხვედრა სწორედ პორტსმუთელი შუახაზელის გოლით მოიგეს.




ჩელსი

# ჩელსის სტილი ძალზე ბიუროკრატიულია

## ლემპარდი: ფეხბურთელებს ურჩევნიათ, საკუთარ პრობლემებს მიხედონ

ოთხშაბათს, ლონდონში, „კობემის" ბაზაზე **გუუს ჰიდინკი** პირველად გამოცხადდა. **რომან აბრამოვიჩმა** მისი გუნდის ახალ მწვრთნელს პატივი დასდო და ბაზაზე მისულს ადგილზე დახვდა. ადვოკაატმა გუნდთან ერთად რამდენიმე ვარჯიში უკვე ჩაატარა და გთავაზობთ მის პირველ შთაბეჭდილებებს. *„ფეხბურთელები ძალზე მოტივირებულნი ჩანან. მუშაობენ თავაუღებლად. იმისთვის, რომ გუნდისგან მაქსიმალური შედეგი მივიღოთ, ვფიქრობ, საკმარისი იქნება მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელთან მიდგომის შეცვლა. სწორედ ამაშია ჩემი დავალება. ყველას ძალისხმევა ერთი მიზნისკენ უნდა წარიმართოს. დარწმუნებული ვარ, თითოეული მოთამაშისგან შეიძლება იმაზე მეტი ეფექტის მიღება, ვიდრე აქამდე ხდებოდა. მინდა, ყველა გავაფრხილო: დრო არც თქვენ და, არც პირადად მე აღარ დაგვრჩა. მოქმედება საჭიროა დაუყოვნებლივ. შედეგი უმოკლეს დროში უნდა ვაჩვენოთ"*.

საინტერესოა, რომ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** დროს რუსი ოლიგარქი თავისი ყურადღებით არავის ანებივრებდა. მეტიც, მას მთელი ექვსი თვის განმავლობაში ბრაზილიელ სპეციალისტთან სატელეფონო კავშირი სულ რამდენჯერმე ჰქონდა. რაც შეეხება პირად შეხვედრებს, ასეთი რამ სულ ოთხჯერ მოხდა. ამ დღეებში „ფრანს ფუტბოლმა" გამოაქვეყნა „დიდი ფილის" ინტერვიუ, რომელიც მის დათხოვნამდე ხუთი დღით ადრეა აღებული. გთავაზობთ ციტატებს ამ ინტერვიუდან. *„გუნდში საერთოდ არ მყავს ფეხბურთელი, რომელიც შეძლებს თამაშის თავის თავზე აღებას მაშინ, როცა გუნდური სქემა უძლურია, მეტოქის კარებს გასაღები მოარგოს. მოურინიოს დროს იყო ასეთი ვინმე - არიენ რობენი. მე კი არ მყავს. რატომ მოხდა ასე? ვერაფერს გეტყვით. რობინიოს შეეძლო ეს ფუნქცია თავის თავზე აელო. მას სულაც არ ანაღვლებს მცველების რაოდენობა. თუკი სხვა გზა არ არის, ინიციატივას არასოდეს გაურბის. ჩემს თანამემამულეს უყვარს რისკი. ახლა კი "ჩელსიში" ისეთი შემადგენლობა შეიკრიბა, გეგონებათ, ბიუროკრატები არიან. მხოლოდ სქემების ჩარჩოში მოქცეული თამაში ჩემი "ჩელსის" სტილია. აი, რატომ მჭირდებოდა რობინიო"*.

ფრანგი ჟურნალისტი ჩაეძია, როცა საქმე ინდივიდუალურ ოსტატობაზე მიდგება, ნუთუ ასეთ დროს **ფლორან მალუდა** გამოუსადეგარიოა. *„ჩელსი ეს არ არის "ლიონი" და არც ლიონელი მალუდაა ჩელსელის მსგავსი. ფლორანი სამშობლოში გაცილებით საინტერესოდ თამაშობდა. გარწმუნებთ, გადამწყვეტ შეხვედრებში ის ვერასდროს პოულობს საჭირო ფერებს თამაშის გასალამაზებლად. თქვენ ალბათ ისიც დაგაინტერესებთ, კლასიკურ 4-4-2 სქემას რატომ არ ვიყენებ და ანელკა-დროგბას დუეტზე უარს რატომ ვამბობ... იმ შემადგენლობით, რაც ხელთ მყავს, ამის გაკეთება შეუძლებელია. როცა თავდასხმაში ორი მძიმეწონოსანი ფორვარდი გყავს, მაშინ ორივე ფლანგი ძალზე ძლიერი და მობილური უნდა იყოს. სალომონ კალუს ფლანგზე თამაში მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა 4-3-3 სქემაშია მოქცეული. სხვა შემთხვევაში, ის დაცვით ფუნქციებს თავს ვერ ართმევს და დამატებით პრობლემებს ქმნის. დროგბა-ანელკა თუკი ერთად ისპარეზებენ, მაშინ ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგს ველარაფერს მოვუხერხებ. კიდევ ვიმეორებ, კლასიკური 4-4-2 განლაგების შემთხვევაში შუა ხაზი უკიდურესად დასუსტდება და მოედნის ცენტრს ყოველ თამაშში წავაგებთ. არჩევანი მარტივი მაქვს: უნდა ითამაშოს ერთმა ან მეორემ"*.

კორესპონდენტის თხოვნაზე გარკვეული ახსნა მაინც მოეძებნა გუნდის სუსტი თამაშისთვის, ბრაზილიელს ადეკვატური პასუხი არ აღმოაჩნდა. *„ვერაფერს ვხვდები... რატომ არ ვთამაშობთ ისევე კარგად, როგორც სეზონის დასაწყისში? ფაქტი ერთია: ფეხბურთელები უფრო ხშირად აგებენ პოზიციურ თამაშს; უაზროდ კარგავენ ბურთს; არის ასევე ინდივიდუალური შეცდომებიც. ამას გარდა, წარუმატებლობის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ტრავმებიც. რომან აბრამოვიჩმა ახალი მოთამაშეების შესაძენად თანხა აღარ გამოყო. გასაგებია... მაგრამ იცით, რა? ამის თავის გასამართლებლად გამოყენებას არ ვაპირებ. როცა მოვედი, შემადგენლობა ისედაც ძლიერი დამხვდა და სიმართლე ითქვას, არც არავინ შემპირებია, ყველას ვისაც თითს დაადებ, გიყიდითო. ვფიქრობ, ის დრო, რასაც კონკრეტული მეტოქის წინაალმდეგ ტაქტიკის არჩევას ვუთმობ, საკმარისი არ არის. რატომ? ამ ქვეყანაში სეზონის განმავლობაში ძალიან ბევრ შეხვედრას ატარებენ. ამის მიუხედავად, მუდმივად ვმუშაობ დაცვითი და შეტევის სქემების დახვეწაზე. რაც შეეხება ნახევარდაცვას, მისთვის დრო არასოდეს მყოფნის..."*

„დეილი მეილის" ინფორმაციით, „ჩელსის" ახალმა დამრიგებელმა გუუს ჰიდინკმა გადაწყვიტა, კონსულტაციებისთვის ლუიშ ფელიპე სკოლარისთვის მიემართა. მას სურს, გაარკვიოს, თუ რითი იყვნენ უკმაყოფილონი მისი გუნდის ვარსკვლავები ან რის საფუძველზე გამოაქვეყნა იმავე გაზეთმა შემდეგი ინფორმაცია: მას შემდეგ, რაც სკოლარი გაათავისუფლეს, მოთამაშეთა ჯგუფი, ასე ვთქვათ, რომან აბრამოვიჩთან ფელიპაოზე საჩივლელად მივიდა და მწვრთნელს ათასგვარი ბრალი წაუყენა. დასახელდა გვარებიც: **დიდიე დროგბა, პეტრ ჩეხი** და **მიხაელ ბალაკი**. მას შემდეგ, რაც გერმანიის ნაკრების კაპიტანმა თავისი თავი ამ სიაში აღმოაჩინა, აღშფოთება ვერ დამალა და გაზეთს უმორჩილესად სთხოვა, ცნობა უარეყო. მიუხედავად იმისა, რომ „დეილი მეილს" დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია, ჰიდინკი მაინც ჩაფიქრდა და სკოლარისთან შეხვედრა მტკიცედ გადაწყვიტა. თანაგუნდელთა ულირსმა საქციელმა „ჩელსის" ლიდერ **ფრენკ ლემპარდის** გაღიზიანება გამოიწვია. მისი თქმით, ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს, საქციელს გამართლება არ აქვს.

*„ყოველ ფეხბურთელს სხვის კრიტიკას ის ურჩევნია, საკუთარ თავს მიხედოს და იმაზე იზრუნოს, რომ ხვალინდელ დღეს უკეთეს ფორმაში შეხვდეს, რათა გუნდს უფრო მეტად გამოადგეს. პრობლემებს კიდევ ყველა აღმოაჩენს საკუთარ თავში, მთლიანად გუნდშიც, ოღონდ ამისთვის მონდომებაა საჭირო. თუკი საქმე ისე არ მიდის, როგორც საჭიროა, პრობლემას ჯერ შენს თავში უნდა გაუმკლავდე. ამისთვის ყოფილი მწვრთნელისა თუ თანაგუნდელთა კრიტიკა საკმარისი არ არის. ყველას გვესმის, რომ ჰიდინკი უდიდესი მწვრთნელია. ვიცით, რომ მისი გუნდები შედეგს ყოველთვის აღწევენ. ცუდი იქნება, თუკი ასეთი კალიბრის სპეციალისტთან მუშაობის საშუალება, მინიმუმ, რამდენიმე სეზონის განმავლობაში მაინც არ გვექნება. თუმცა ჩვენ იმითიც ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ გუნდს ისეთი მესაკუთრე ჰყავს, რომელმაც საშუალება მოგვცა, ყოველი "არისტოკრატის" ოცნებისთვის ფრთები შეგვესხა. ახლა წუწუნის კი არა მუშაობის დროა. აქამდე ფანტასტიკური გუნდი გვყავდა და შეუძლებელია, ასე, თვალისდახამხამებაში ცუდი გამხდარიყო. სიტუაცია ახლა შემდეგნაირია. ცხრილში მეოთხე ადგილზე ვართ და შესანიშნავი შანსი გვაქვს, მომავალი სეზონიდან ისევ ვითამაშოთ ჩემპიონთა ლიგაში. თუკი ძალებს არ მოვიკრებთ და წინსვლას არ შევუდგებით, ჩვენს ადგილს სხვები დაიკავებენ,"* - განუცხადა „ტელეგრაფს" გუნდის ვიცე-კაპიტანმა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

რაგბი

ერთა თასი. საქართველო-პორტუგალია

# რაგბიმ და ნატახტარმა ხელი ხელს დაჰკრეს

## ახლა პორტუგალიასაც უნდა დავკრათ



ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ

ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს რაგბის კავშირმა და კომპანია „ნატახტარმა" სპონსორობის სამწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. კონტრაქტის მიხედვით „ნატახტარი" ეროვნული ნაკრებისთვის 270 ათას ამერიკულ დოლარს გამოყოფს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბორჯღალოსნები 2011 წლის მსოფლიო თასის საგზურს მოიპოვებენ, სპონსორი ეროვნულ გუნდს დამატებით კიდევ 50 ათას ლარით დაეხმარება.

**მეჰმედ კოჩაკი**, კომპანია „ნატახტარის" გენერალური დირექტორი:

„ჩვენი კომპანია დიდი ენთუზიაზმით ახორციელებს ინვესტიციებს საქართველოში. ახლახან კი მივიღეთ გადაწყვეტილება, ქართული საზოგადოების ნაწილი გავხდეთ, სპორტის განვითარებაში შევიტანოთ წვლილი. რამდენიმე დღეა, ხელშეკრულება გავაფორმეთ ფეხბურთის ფედერაციასთან. ახლა კი თანამშრომლობის მემორანდუმს ვაწერთ ხელს საქართველოს რაგბის კავშირთან.

ეს პარტნიორობა საშუალებას მოგვცემს დავეხმაროთ რაგბის კავშირს სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებაში. მოხარულები ვართ, რომ ამ რთულ ეკონომოკურ პერიოდში საშუალება გვაქვს საქართველოს გვერდში დავუდგეთ. რაგბის წარმატებებით კი, „ნატახტარის" პროდუქციის მომხმარებლები გავახაროთ."

**გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„რაგბიში წარმატებები იოლად არ მოდის. ის მრავალი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების ერთობლივი მუშაობის შედეგია. მათ შორის არიან სპონსორებიც. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც ქართული რაგბის არსებობის განმავლობაში უშურველად გვეხმარებოდა. ძალიან კარგია, რომ სპონსორებიდან ერთ-ერთი სახელმწიფოა რაგბის განვითარების შესახებ თავისი პროგრამით.

იმედი მაქვს, ჩვენი სპონსორები „კვარციტი" და „ლიბო" დროებით წარმოქმნილ პრობლემებს მალე გადალახავენ და ისევ ქართული რაგბის სამსახურში ჩადგებიან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „ნატახტარს", რომელიც ამ უმძიმეს პერიოდში საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სახეობას გვერდში დაუდგა. ასე რომ, დალიეთ „ნატახტარი" და უქომაგეთ ქართულ რაგბის."

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** და პორტუგალიის ეროვნული გუნდის მენეჯერმა **ფრანსისკო მარტინშმა** პრესკონფერენცია გამართეს.

**ტიმ ლეინი:**

„ერთა თასის პირველი შეხვედრა ერთი კვირის წინათ გერმანიაში საკმაოდ რთულ პირობებში წარიმართა. მთელი ორი ტაიმის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, რაც თამაშში სირთულეებს გვიქმნიდა, ცხადია, მეტოქეებსაც. ბუნებრივია, მდგომარეობას არც გერმანელები გვიმსუბუქებდნენ. ისინი თავდადებით იბრძოდნენ. პირველ ტაიმში ასპარეზობა ძალიან მარტივად დავიწყეთ. მეტოქისთვის რაიმე განსაკუთრებული არაფერი შეგითავაზებია. ბევრი შეცდომები დავუშვით, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მატჩის არბიტრმა ორი ლელო არ ჩაგვითვალა. მეორე ტაიმში სადავეების ხელში აღება შევძელით და მასპინძლები ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ.

ჩვენს განკარგულებაში ორი კვირის განმავლობაში 24 მორაგბეა. სადღეისოდ ნაკრებში საუკეთესო მორაგბეები არიან თავმოყრილი. ვფიქრობთ, თამაშიდან თამაშამდე როტაცია აუცილებელია. აქვსენტი **გიორგაძე, დავით ხინჩაგიშვილი** და **თედო ლაბაძე**, გერმანიის წინაალმდეგ თამაშამდე საქმეში არ მენახა. ისინი შეცვლაზე შემოვიდნენ და თამაშში ბრწყინვალედ ჩაერთნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად მათი ძირითად შემადგენლობაში დაყენება, პორტუგალიის წინაალმდეგ შეხვედრაში, დამსახურებული ჯილდოა.

პორტუგალიის ნაკრები ძლიერი გუნდია. ლობუშებს საკმაოდ ბევრი პლუსი აქვთ. სწრაფები არიან, ხშირად იღებენ სარისკო გადაწყვეტილებებს, რაკში და დერეფანშიც კარგად ირჯებიან. ჩვენ ვნახეთ და გავაანალიზეთ პორტუგალია-რუსეთის შეხვედრა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საშიში გუნდია. პირველი ტაიმი -15:0 წააგეს, მეორეში კი ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეძლეს. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ პორტუგალიასთან თამაშის ბოლო წამამდე მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყო. მისადმი იდეფერენტულ დამოკიდებულებას ეს გუნდი არ გაპატიებს"

**ფრანსისკო მარტინში:** „ჩვენმა ნაკრებმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო. რუსებთან შეხვედრა პირველი ოფიციალური თამაში იყო და ბიჭები ზედმეტად ნერვიულობდნენ. პირველ ტაიმში კატასტროფულად ცუდად ვითამაშეთ. მეორეში კი მობილიზება შევძელით და ვაჩვენეთ, როგორი რაგბის თამაში შეუძლია სინამდვილეში პორტუგალიის ნაკრებს. იმედი მაქვს იმავეს ქართველ მაყურებელსაც ვუჩვენებთ."

### საქართველოს ნაკრები

**15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე.**

**1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. გოდერძი შველიძე, 4. ილია ზედგინიძე, 5. კახაბერ უჩავა, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. მამუკა გორგოძე.**

**16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. რატი ურუშაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ირაკლი გიორგაძე, 22. ოთარ ბარკალაია.**

### პორტუგალიის ნაკრები

**15. პედრო ლეალი, 14. დავიდ მატეუში, 13. პედრო სილვა, 12. დიოგო მატეუში, 11. გონსალო ფორო, 10. პედრო კაბრალი, 9. ჟოზე პინტუ.**

**1. ჟერუე სეგურადო, 2. ჟოაო კორეია, 3. კრიასტიან სპაშუკი, 4. დავიდ პენალვა 5. გონსალო უვა, 6. ტიაგო გირაო, 7. ვასკო უვა, 8. ედუარდო აკოსტა.**

**16. ჟუან მურე, 17. ბენარდო დუარტე, 18. ჟუან სევერინო, 19. ვალტერ ჟორჟე, 20. სალვადორ პალა, 21. დუარტე პინტო, 22. დიოგო გამა.**

### ერთა თასი

**14 თებერვალი**

გერმანია-რუმინეთი

ბესიკ ჯანგავაძე



მკითხველის წერილი

# დააბრუნეთ კალათბურთი...

ქართული კალათბურთის დიდება მრავალი წლის განმავლობაში იჭედებოდა. მის ისტორიაში ნათელი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღზრდილმა სპორტსმენებმა.

დღეს, სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ამ ძირძველ უმაღლეს სასწავლებელში კალათბურთი — ყველასთვის საყვარელი სპორტის ეს სახეობა აღარ არსებობს...

მინდა შევახსენო ყველას, რომ ქართული კალათბურთის აკვანი დაირწა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, უშანგი ჩხეიძის ქუჩის მე-8 ნომერის ეზოში, სადაც დოცენტ **ალექსანდრე ჭელიძის** ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი საკალათბურთო მოედანი 1923 წელს.

1925 წ. ამავე მოედანზე ჩატარდა თბილისის პირველობა.

სტუ-ს მართლაც რომ უმდიდრესი სპორტული და, კერძოდ, საკალათბურთო ტრადიციები გააჩნია. აქ აღიზარდნენ: **გურამ მინაშვილი, მიხეილ ქორქია, ზურაბ საკანდელიძე, ანზორ ლეჟავა, სერგო კოვალენკო, გურამ აბაშიძე, სანდრო გლურჯიძე, ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი...**

ტრადიცია აღორძინების მოლოდინშია, ნუღარ დააყოვნებთ!

გიზო ცინცაძე



ანზორ ლეჟავა

ხსოვნა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობით, ნუგზარ!

კიდევ ერთი დიდი ტკივილი, კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი - გარდაიცვალა ვეტერანი ლელოელი, ცნობილი მწერალი ნუგზარ შატაიძე.

ნუგზარი უკვე ჩამოყალიბებული მწერალი მოვიდა „ლელოში" და უპირველესად სპორტის ეროვნული სახეობების, განსაკუთრებით კი ქართული ჭიდაობის სიყვარულმა გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. სპორტულ ჟურნალისტიკაში მწერლურ-პუბლიცისტური სურნელი მისმა კალამმა შემოიტანა და ამით ახალ სიმაღლეზე აიყვანა სპორტი ჟურნალისტიკაში და ჟურნალისტიკა სპორტში. მისი ყველა პუბლიკაცია ეროვნული სულისკვეთებით იყო აღსავსე, თანაც ისე ბრძნულად და ლაღად, როგორიც ჩვენი ფოლკლორია.

„ლელოსთან" ურთიერთობა არასდროს გაუწყვეტია. მაღალი რანგის პროფესიონალი ყველა გამოცემის სასურველი სტუმარი იყო. სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდა ხალხის წიაღიდან წამოსული სიბრძნით გაჯერებული მისი, როგორც მწერლის ბრწყინვალე ნაწარმოებები. ამით ყველაფერია ნათქვამი.

ჩუმი, უპრეტენზიო, საქმის თავდადრეკით მკეთებელი, სულიერი სიკასკასით გამოირჩეოდა, მოყვასის სიყვარულით და თანადგომით იცხოვრა, რაც იცხოვრა. ნუგზარი ყველას დაგვაკლდა.

დღეს უსაზღვრო სევდითა და ტკივილით გავაცილებთ უკანასკნელ გზაზე. იმედად ისღა გვრჩება, რომ კურთხევით მოსახსენებელი სახელი დატოვა ამქვეყნად.

მშვიდობით, ნუგზარ!

ლელოელები

გამოიწერეთ ლელო

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. სტატისტიკა და წინასამატჩო პრესკონფერენცია

## სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**
დავით იმნაძე (ბათუმი) – 34
ორქულიანი: 12/18; სამქულიანი: 0/6; საჯარიმო: 10/12
24.11.08 სასოფლო – ბათუმი

**მოხსნა**
დავით იმნაძე (ბათუმი) – 19
(მეტოქის ფარზე: 5; საკუთარზე: 14)
31.10.08 ბათუმი – მაკაბი

**პასი**
დავით ბერიშვილი (თსუ) – 11
19.10.08 თსუ – დინამო

**დაფარება**
ვასილ ბერუაშვილი (შსს) – 4
31.10.08 ენერჯი – შსს

**ჩაჭრა**
გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ) – 8
14.12.08 ნტდ - თსუ

**შეცდომა**
მამუკა ბოლქვაძე (ბათუმი) - 9
ბათუმი - ენერჯი

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქულ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 163 | 20.38 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 9 | 168 | 18.67 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 9 | 155 | 17.22 |
| 4. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 9 | 144 | 16 |
| 5. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 9 | 142 | 15.78 |
| 6. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 10 | 155 | 15.5 |
| 7. კოტე ტუღუში | ენერჯი | 8 | 123 | 15.38 |
| 8. გიორგი ჯანგველაძე | მაკაბი | 8 | 119 | 14.88 |
| 9. გიორგი მარკოიშვილი | თსუ | 10 | 141 | 14.1 |
| 10. გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 8 | 108 | 13.5 |
| 11. დავით ბერიშვილი | თსუ | 9 | 121 | 13.44 |
| 12. გიორგი გამყრელიძე | ენერჯი | 8 | 105 | 13.13 |
| 13. ლუკა შანიძე | თსუ | 10 | 127 | 12.7 |
| 14. ზაურ ფაშაევი | ნტდ | 10 | 124 | 12.4 |
| 15. ზვიად ანთაძე | მაკაბი | 8 | 99 | 12.38 |
| 16. დავით ბარბაქაძე | თსუ | 10 | 123 | 12.3 |
| 17. ბექა გოლეთიანი | შსს | 10 | 122 | 12.2 |
| 18. დავით უგრეხელიძე | ენერჯი | 9 | 107 | 11.89 |
| 19. ბესიკ ლეჟავა | ენერჯი | 9 | 106 | 11.78 |
| 20. ანარ სარიევი | ნტდ | 9 | 104 | 11.56 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | მფ | სკ | ჯ | საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 33 | 86 | 119 | 14.88 |
| 2. რევაზ ათანელიშვილი | სასოფლო | 10 | 31 | 56 | 87 | 8.7 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 9 | 18 | 56 | 74 | 8.22 |
| 4. ილია ლონდარიძე | მაკაბი | 10 | 43 | 38 | 81 | 8.1 |
| 5. რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 9 | 28 | 43 | 71 | 7.89 |
| 6. ზურაბ ბიბილური | მაკაბი | 10 | 32 | 41 | 73 | 7.3 |
| 7. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 9 | 15 | 49 | 64 | 7.11 |
| 8. დავით ბარბაქაძე | თსუ | 10 | 20 | 50 | 70 | 7 |
| 9. მამუკა ბოლქვაძე | ბათუმი | 9 | 29 | 34 | 63 | 7 |
| 10. ანატოლი ბოისა | ავიამშენი | 10 | 13 | 55 | 68 | 6.8 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | პას | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 10 | 63 | 6.3 |
| 2. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 9 | 45 | 5 |
| 3. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 10 | 50 | 5 |
| 4. გიორგი გამყრელიძე | ენერჯი | 8 | 39 | 4.88 |
| 5. კოტე ტუღუში | ენერჯი | 8 | 32 | 4 |
| 6. დავით ბერიშვილი | თსუ | 9 | 35 | 3.89 |
| 7. გიორგი ნიკოლაძე | ავიამშენი | 8 | 30 | 3.75 |
| 8. ზაურ ფაშაევი | ნტდ | 10 | 37 | 3.7 |
| 9. შიო ხეცურიანი | თსუ | 8 | 29 | 3.63 |
| 10. მიხეილ ჩიტაშვილი | ნტდ | 10 | 36 | 3.6 |
| 11. ფუად ნიფთალიევი | ნტდ | 10 | 36 | 3.6 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩაჭ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 9 | 26 | 2.89 |
| 2. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 10 | 28 | 2.8 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 9 | 23 | 2.56 |
| 4. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 9 | 22 | 2.44 |
| 5. ვასილ ბერუაშვილი | შსს | 7 | 17 | 2.43 |
| 6. ზაურ ფაშაევი | ნტდ | 10 | 24 | 2.4 |
| 7. შიო ხეცურიანი | თსუ | 8 | 17 | 2.13 |
| 8. მიხეილ ჩიტაშვილი | ნტდ | 10 | 18 | 1.8 |
| 9. დავით ბარბაქაძე | თსუ | 10 | 18 | 1.8 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ | დაფ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. პლასიდე როდუმტა | ნტდ | 8 | 11 | 1.38 |
| 2. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 9 | 1.13 |
| 3. ვახტანგ ნაცვლიშვილი | ავიამშენი | 9 | 10 | 1.11 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | ავიამშენი | 9 | 9 | 1 |
| 5. შიო ხეცურიანი | თსუ | 8 | 8 | 1 |
| 6. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 9 | 9 | 1 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. რომა აკპედიანი | მაკაბი | 8 | 33 | 4.13 |
| 2. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 9 | 37 | 4.11 |
| 3. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 9 | 36 | 4 |
| 4. ილია ლონდარიძე | მაკაბი | 10 | 38 | 3.8 |
| 5. მიხეილ ჩიტაშვილი | ნტდ | 10 | 36 | 3.6 |
| 6. გიორგი ჯანგველაძე | მაკაბი | 8 | 28 | 3.5 |
| 7. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 28 | 3.5 |
| 8. დავით იოსელიანი | მაკაბი | 8 | 25 | 3.13 |
| 9. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 9 | 28 | 3.11 |

**ფოლი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჯარ | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 27 | 3.38 |
| 2. შიო ხეცურიანი | თსუ | 8 | 27 | 3.38 |
| 3. დავით იოსელიანი | მაკაბი | 8 | 26 | 3.25 |
| 4. მამუკა ბოლქვაძე | ბათუმი | 9 | 29 | 3.22 |
| 5. ანარ სარიევი | ნტდ | 9 | 28 | 3.11 |
| 6. დავით უგრეხელიძე | ენერჯი | 9 | 28 | 3.11 |
| 7. ილია ლონდარიძე | მაკაბი | 10 | 31 | 3.1 |
| 8. ზურაბ ბიბილური | მაკაბი | 10 | 31 | 3.1 |
| 9. ირაკლი ბაქრაძე | შსს | 10 | 30 | 3 |

**წუთი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | წუთ. | საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით იმნაძე | ბათუმი | 8 | 292 | 36.5 |
| 2. ბექა წივწივაძე | სასოფლო | 9 | 292 | 32.44 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი | სასოფლო | 9 | 287 | 31.89 |
| 4. დავით იოსელიანი | მაკაბი | 8 | 254 | 31.75 |
| 5. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 9 | 277 | 30.78 |
| 6. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 10 | 304 | 30.4 |
| 7. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 9 | 268 | 29.78 |
| 8. ანატოლი ბოისა | ავიამშენი | 10 | 293 | 29.3 |
| 9. გიორგი გამყრელიძე | ენერჯი | 8 | 229 | 28.63 |
| 10. გიორგი ჯანგველაძე | მაკაბი | 8 | 229 | 28.63 |

# ავიამშენი გამარჯვებისთვის ემზადება, რას აპირებს თსუ?



ტოტალიზატორ „აჭარაბეთში“ გაიმართა წინასამატჩო პრესკონფერენცია, რომელიც მე-12 ტურის ცენტრალურ შეხვედრას მიეძღვნა. კვირას, 16:15 საათზე ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან შარშანდელი ჩემპიონატის ნახევარფინალისტები, „ავიამშენი“ და თსუ.

თუკი გასულ სეზონში „ავიატორებსა“ და თსუ-ს თანაბარი გუნდები ჰყავდათ, სადღეისოდ სიტუაცია შეიცვალა - სტუდენტური გუნდი უხელფასოდ თამაშობს და შემადგენლობაც ოთხი წამყვანი კალათბურთელით შესუსტდა. ამის გათვალისწინებით პრესკონფერენციაზე ითქვა: „ავიას“ გამარჯვების გაცილებით მეტი შანსი აქვსო. „აჭარაბეთში“ კიდევ რაზე ისაუბრეს, მწვრთნელ-მოთამაშეების ნათქვამიდან შეიტყობთ.

შეხვედრა თსუ-ს თავკაცმა, **ნუგზარ ჭეიშვილმა** გახსნა:

*- ჩვენს გუნდში ბევრი არაფერი შეცვლილა. ისევ უხელფასოდ ვართ, თუმცა ვარჯიში არ შეგვიწყვეტია და ყოველ მატჩს მობილიზებით ვხვდებით. თუმცა თამაშებისას ერთგვარ პრობლემებს ვაწყდებით: ვვარჯიშობთ მცირე ზომის დარბაზში და თამაში დიდ სპორტის სასახლეში გვიწევს. ორი ტურის წინ „დინამო“ დავამარცხეთ და სწორედ მაშინ გადაწყდა ჩვენი საპლეიოფო რვაეულში შესვლის საკითხი. ასე რომ, ამიერიდან პლეი ოფზე ვფიქრობთ და მისთვის ვემზადებით. რაც შეეხება კვირის მატჩს, ახლა მაგიდასთან ვზივარ და შემიძლია ვთქვა, რომ გამარჯვების შანსი ორივე გუნდს თანაბარი აქვს. მოედანზე რომ გავალთ, მერე „ავიას“ უფრო მეტი შანსი ექნება, რადგან მეტოქეს ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს. მაგალითად, მოედნიდან რიჩარდ მათიაშვილი გავა, მის ნაცვლად ვატო ნაცვლიშვილი შემოვა, ვატო გავა - ნინიაშვილი შევა...*

„ავიამშენის“ მწვრთნელმა **ვაჟა მხეიძემ** საუბარი სწორედ **ვახტანგ ნაცვლიშვილით** დაიწყო:

*- ვატოს ტრავმა აქვს. მუხლი აწუხებს და თსუ-სთან მატჩში ვერ დაგვეხმარება. ასევე ვერ ითამაშებს ვახტანგ მინაშვილი. იგი ავადაა. ირაკლი ხოშტარია სეზონის დაწყებიდან რომ ვერ თამაშობს, ამის შეხსენება არ დაგჭირდებათ. ყველა სხვა კალათბურთელი ჯანმრთელადაა და თსუ-სთან მატჩისთვის ემზადება. ნუგზარ ჭეიშვილს მეგობრული, შეკრული გუნდი ჰყავს და მისი დამარცხება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. გამარჯვების შანსებს პროცენტულად თუ გამოვსახავთ, „ავიას“ სასარგებლოდ 70\30-ზე დავაფიქსირებდი.*

გამარჯვების იმედი აქვს „ავიამშენის“ ცენტრს **რიჩარდ მათიაშვილს**:

*- საინტერესო თამაში უნდა გამოვიდეს. თსუ-სგან სერიოზულ წინააღმდეგობას ველით, თუმცა ვეცდებით, გამარჯვება მეტოქეს არ დავუთმოთ. სატურნირო თვალსაზრისით ჩვენთვის თითოეულ მოგებას ოქროს ფასი აქვს.*

თსუ-ს გამთამაშებელმა **გიორგი გაფრინდაშვილმა** მეტოქე თანაამპლუელებზე გაამახვილა ყურადღება:

*- პირადად მე გამიჭირდება, რადგან „ავიაში“ გამოცდილი უკანახაზელები თამაშობენ. ამის მიუხედავად, არაფრის დათმობას არ ვაპირებ და ვის რა შანსი აქვს, უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.*

**ვაჟა სიმონიშვილი**




ჩოგბურთი

# ამერიკაში კანადელის წინააღმდეგ

ამერიკაში, ტენესის შტატის ქალაქ მემფისში იწყება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. ტურნირი ქერქვეშ, ჰარდის საფარის კორტებზე იმართება. მემფისში ძალებს ჩვენი პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (152) ცდის. კენჭისყრამ ანას ნაკლებად გაუმართლა, მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო ბადეში მე-2 ნომრად განთესილი, 23 წლის კანადელი **სტეფანი დუბუაა** (114). ანა დუბუას აქამდე ორჯერ შეხვედრია, სამი წლის წინათ პიტსბურგში, ორი წლის წინათ კი - ლოურენსვილში. ჩვენებურმა ორივე მატჩი დათმო, ასე რომ, ხვალ ის კორტზე რევანშისთვის გავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შაფათავა შვედეთის დაემშვიდობა



შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი „რექსონა სალკ ლეიდისი“, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. ამ შეჯიბრების ერთეულთა თანრიგს სტარტზევე გამოეთიშა ჩვენი თანამემამულე **სოფიო შაფათავა** (238), რომელიც მე-2 ნომრად განთესილ ავსტრიელ **მოიზბურგერთან** დამარცხდა. აი, წყვილთა თანრიგში კი 20 წლის ჩოგბურთელმა ნახევარფინალს ისე უწია, ჩოგანი არ მოუქნევია. შაფათავას და რუს **მაია გავეროვას** (424) ზედიზედ ორ წრეში არ გამოუცხადნენ მეტოქეები. ნახევარფინალის დროც მოვიდა და ამჯერად, შაფათავა-გავეროვას გუნდს მე-3 ნომრად განთესილები, ბელარუსი **ქსენია მილევსკაია** (256) და ავსტრიელი **მელანი კლაფნერი** (266) დაუპირისპირდნენ. ქართველმა და რუსმა სამი სეტი იბრძოლეს, თუმცა საბოლოოდ მატჩი მაინც დათმეს - 6:3, 2:6, 6:10.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთო-თხილამურები

# სლალომის იმედად

## იასონ ხელი მოეცარა

გუშინ ფრანგულ ვალ დ'იზერში სამთო-მეთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვაჟთა გიგანტ სლალომის გამართვის ჯერი იყო. ტიტული შვეიცარიელმა **კარლო იანკამ** მოიპოვა, თუმცა ამის შესახებ უფრო ვრცლად ჩვენი გაზეთის მე-16 გვერდზე წაიკითხავთ. აქ კი ჩვენებურების ასპარეზობის შესახებ მოგითხრობთ: გახსოვთ ალბათ, რომ წინა დღით ქართული კვარტეტიდან კვალიფიკაცია ორმა გაიარა, 20 წლის **იასონ აბრამაშვილმა** და 17 წლის **კოტე ვახტანგიშვილმა**. **ვახტანგ თედიაშვილი** და **ალექსი ბენიანიძე** კი საკვალიფიკაციო ეტაპზევე გამოეთიშნენ შეჯიბრებას. გუშინ ხელი მოეცარა ჩვენს ლიდერს - იასონ აბრამაშვილმა პირველ ცდაზე ტრასა ვერ ჩაამთავრა. ამით მისთვის გიგანტ სლალომი დასრულდა. ტრასის ბოლომდე გაიარა კოტე ვახტანგიშვილმა - მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტმა საბოლოოდ 58-ე შედეგი აჩვენა. ბუნებრივია, ამ შედეგით მან ფინალური ჩამოსრიალების უფლება ვერ მიიღო.

ჩვენი ოთხეული დღეს სლალომის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვა და ხვალინდელი ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვებას შეეცდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო — ფედერაციის ყრილობა



მარცხნიდან: დავით ბერძენიშვილი, ზაზა დეკანოიძე, დილარ ხაბულიანი, თამაზ ნავერიანი

# ქვემო ქართლში ძიუდოისტების ფედერაცია შეიქმნა

სრულიად ახალგაზრდა გახლდათ მულახელი **თენგიზ ნავერიანი**, მესტიის სასპორტო სკოლაში ძიუდოს მწვრთნელად რომ დანიშნეს. ეს იყო გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში. თავდადებული გარჯით პირველი შედეგები მოიმკო და უფრო ლაღად აპირებდა ფრთების გაშლას, რომ მთელი საქართველო შეძრა სვანეთის მთებში დატრიალებულმა ტრაგედიამ. ბუნების სტიქიამ განსაკუთრებით ნავერიანები დააზარალა. მულახიდან აყრილი თენგიზი ოჯახის წევრებთან ერთად მარნეულის რაიონში დამკვიდრდა. ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით კომპლექსური სასპორტო სკოლა გახსნა და ძიუდოსაც ჩაუყარა საფუძველი. მისი გაზრდილები არიან **ლომერ ყორყოლიანი, ზვიად ბეჟანიშვილი, თამაზ ნავერიანი, შერმან დადვანი, დავით ხერგიანი** და სხვები. ალმოსავლური ორთაბრძოლა მეზობელი რაიონების ახალგაზრდებსაც შეაყვარა — ძიუდომ ფესვები გაიდგა ბოლნისში, წალკასა და დმანისში. სპორტის ამ სახეობაში წარმატებები ქვემოქართლელებს არც უწინ აკლდათ, მაგრამ თენგიზ ნავერიანის თავკაცობით უფრო გაითქვეს სახელი — ბოლო სამი წელიწადი საქართველოში პირველობა არ დაუთმიათ. მეტის გაკეთებაც სურდა თენგიზ ნავერიანს, მაგრამ შარშან ოქტომბერში ტრაგიკულად დაიღუპა...

ყველაფერი ეს გუშინ ითქვა რუსთავში ქვემო ქართლის ძიუდოს ფედერაციის ყრილობაზე, რომელმაც სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა აირჩია. ფედერაციის პრეზიდენტად მხარი დაუჭირეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის **ზაზა დეკანოიძის** კანდიდატურას. პირველი ვიცე-პრეზიდენტი გახდა **კობა კობიაშვილი,** ვიცე-პრეზიდენტებად **თამაზ ნავერიანი, გიორგი ფეიქრიშვილი, ამირან ტოტიკაშვილი,** ხოლო გენერალურ მდივნად — **მამუკა ნავერიანი** აირჩიეს.

**დავით კირკიტაძე,** ქვემო ქართლში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული: — ძალიან მიყვარს ძიუდო და ახლო ურთიერთობა მაქვს როგორც ეროვნული ფედერაციის მესვეურებთან, ისე მოჭიდავეებთან. ხშირად ვესწრები დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს და ქართველ ფალავნებს აქტიურად ვქომაგობ. ნიშანდობლივია, რომ ქვემო ქართლის ძიუდოისტები სამი წელიწადია, პირველობას არ თმობენ ეროვნულ ჩემპიონატებში, წარმატებით ასპარეზობენ საზღვარგარეთ. რეგიონული ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ზაზა დეკანოიძის ხელმძღვანელობით ვეცდებით, პოზიციები არ დავთმოთ და წარმატებები ვამრავლოთ. ძიუდოისტებს ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან საამისოდ სათანადო მხარდაჭერა ექნებათ.

**დილარ ხაბულიანი,** საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: — სამხარეო ორგანიზაციის თავკაცად ავირჩიეთ ახალგაზრდა, ენერგიული პიროვნება, რომელმაც ჭიდაობის ყადრი იცის. იმედია, ქვემოქართლებები მომავალშიც შეეცდებიან ძიუდოს პოპულარიზაციას. რეგიონში არ არის რაიონული ცენტრი თუ მჭიდროდ დასახლებული პუნქტი, სადაც სპორტული დარბაზი არ გაგვეხსნას, ტატამები და კიმონოები არ დაგვერიგებინოს. აქაურებს ჩვენი ყურადღება არც მომავალში მოაკლდებათ.

**დავით ბერძენიშვილი,** ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: — ბოლო დროს რეგიონულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელებად ისეთი ადამიანები მოდიან, რომლებსაც მართლაც შესტკივათ გული ძიუდოზე. ადგილობრივი თვითმმართველობებიც მეტ ყურადღებას აქცევენ სპორტსმენებს. ქვემო ქართლის მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა. ექვსი-შვიდი წლის წინათ აქ მხოლოდ მარტყოფელები და რუსთაველები გამოირჩეოდნენ. ახლა კი სხვა რაიონებსაც გაუჩნდათ ამბიციები. რეგიონში ბოლო დროს 8 დარბაზი გაიხსნა და თექვსმეტი ტატამი დაიგო. თენგიზ ნავერიანის აქტიურობით სექციებში ჩაბმული მოზარდების რაოდენობა ხუთასამდე გაიზარდა. ეს საგრძნობი წინსვლაა და ქვემოქართლელები სასურველ შედეგებსაც აღწევენ.

**ზაზა დეკანოიძე:** — მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ძიუდოს ეროვნული ფედერაციისა და ქვემო ქართლის რეგიონის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისთვის. ყველაფერს გავაკეთებ იმედების გასამართლებლად.

თენგიზ ნავერიანი გახლდათ ის პიროვნება, რომლის სახელსაც უკავშირდება ქვემოქართლელთა ბოლოდროინდელი წარმატებები. ბევრ რაიონში სწორედ მან დანერგა და განავითარა ძიუდო. ახლოს ვიცნობდი და ვიცი, რა მიზნებიც ჰქონდა. ყველაფერს გავაკეთებ, მისი დაწყებული საქმეები ბოლომდე მივიყვანო. რაც მთავარია, ვეცდები, ჩვენმა ძიუდოისტებმა პოზიციები არ დათმონ და ახალგაზრდები აქტიურად ჩავაბათ ძიუდოში. წლეულსვე რამდენიმე ტურნირს მოვაწყობთ, მათ შორის უმნიშვნელოვანესი თენგიზ ნავერიანის საერთაშორისო მემორიალი იქნება. ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლებს უკვე ველაპარაკეთ და თანხმობაც მივიღეთ. ვეცდებით, ღირსეული მასპინძლობა გავწიოთ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ბუდაპეშტში რეზერვისტებით

დღეს-ხვალ უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი წლის მეორე მსოფლიოს თასს (თბილისის შემდეგ) უმასპინძლებს ძიუდოში. საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი პარიზშია, სადაც „დიდ სლემზე" ასპარეზობის შემდეგ **შოთა ხაბარელის** გუნდმა ერთკვირიანი შეკრება გაიარა. ჩვენები დღეს ჩამოვლენ თბილისში, ბუნებრივია, უნგრეთში სულ სხვა შემადგენლობა მიდის. ხაბარელის ნაცვლად ბუდაპეშტში გუნდს მწვრთნელები **გია გუგავა** და **სულიკო ფეიქრიშვილი** გაუძღვებიან.

გაგაცნობთ ჩვენების შემადგენლობასაც: **სოსო ნიჟარაძე** (60 კგ), **გიორგი ფერსაშვილი, სანდრო იაკობაშვილი, გიორგი გუჯეჯიანი** (66), **მიხეილ ხომიზური, ლაშა გუმბერიძე, ამბაკო ავალიანი** (73), **გრიგოლ შინჯიკაშვილი, ხვიჩა ხუციშვილი** (81), **გრიგოლ მამრიკიშვილი, ზვიად გოგოჭური** (90), **დავით ლორიაშვილი, ლევან რაზმაძე** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (მძიმე).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მწვრთნელი — ინტერვიუ ოთარ ტატიშვილთან

# სპორტის რაინდი ჩემპიონებს ზრდის

თბილისის ფალავანთა კლუბში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ვარჯიშს დავესწარი - გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ბიჭები წლევანდელი მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის ემზადებიან. უახლოეს ასპარეზობას უნგრეთი უმასპინძლებს. ფალავნები თავს არ ზოგავენ ნაკრებში მოსახვედრად. ოსტატებს ესმით მათი და შეგირდებს უშურველად უზიარებენ მდიდარ გამოცდილებას. აქტიურობითა და ემოციებით საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფილა-ს ოქროს ორდენოსანი, „სპორტის რაინდი" **ოთარ ტატიშვილი** გამოირჩევა. ამაგდარი მოძღვრის თვალს იშვიათად, რომ რამე გამოეპაროს: 20 წელიწადი მიილია, რაც ეროვნულ ნაკრებში მუშაობს **პეტრე იორდანიშვილის** ხელში წრთობაგამოვლილი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკობისას კარგ მოჭიდავედ ითვლებოდა. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა მრავალ შეჯიბრებაში ისახელა თავი: ხალხთა მე-5 სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, რკინიგზელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო; შეიარაღებული ძალების ჩემპიონმა და თასის მფლობელმა პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადაზე ორჯერ გაიმარჯვა, 1969 წელს ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და ადრიატიკის თასიც დაისაკუთრა, რის გამოც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა მიანიჭეს. 1976 წლიდან მწვრთნელად მუშაობს, ბევრ ახალგაზრდას გაუკვალა გზა მედლებისკენ. 1993 წელს პირველად მისმა შეგირდმა **გელა პაპაშვილმა** მოიპოვა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედლები. ამაგდარ მწვრთნელს შედეგებით სხვადასხვა წლებში გარჯა დაუფასეს ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა **რამაზ ნოზაძემ,** სიდნეის ოლიმპიადის მესამეადგილოსანმა, ევროპის ჩემპიონატების მეორე და მესამე პრიზიორმა **აკაკი ჩაჩუამ,** მსოფლიოს ჩემპიონმა **გოჩა ციციაშვილმა,** რომელიც ამჟამად ისრაელში ცხოვრობს, ასევე, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა - **ილია ლეჟავამ, გიორგი ჯობავამ, ლევან ოდიშარიამ, ვლადიმერ გეგეშიძემ, რევაზ ლაშხმა, ზვიად ძიმისტარიშვილმა, რამაზ გადაბაძემ, ვასილ იმერლიშვილმა, სერგო ნინუამ** და სხვებმა.

საგულისხმოა ისიც, რომ ორი წლის წინათ ოთარ ტატიშვილმა ჩამოაყალიბა სასპორტო კლუბი „თბილისი-2007", რომელშიც 130-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ბატონი ოთარი მათთან ინდივიდუალურად მეცადინეობს. შეჯიბრებებსა და შეკრებებზე გამგზავრებისას ნორჩ აღსაზრდელებს ანდობს უკვე მოჭიდავეებად ჩამოყალიბებულ შეგირდებს - სპორტის აკადემიის მე-4 კურსის სტუდენტებს, რითაც ხელს უწყობს მომავალ მწვრთნელებად მათს ჩამოყალიბებას.

ორი ათეული წლის განმავლობაში ბატონი ოთარი მრავალ შეჯიბრებაზეა ნამყოფი, მათ შორის - სამჯერ ოლიმპიურ თამაშებზე. ამიტომ მოსათხრობს რა გამოულევს. ვარჯიშის შემდეგ ვკითხე, სპორტულ კარიერაში ყველაზე მეტად რამ გაგახარათ-მეთქი.

- შეგირდების თითოეული წარმატებისას თავს ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ, - მითხრა მან. - განსაკუთრებით გამორჩეული და უხვმოსავლიანი გამოდგა 2007 წელი: რამაზ ნოზაძემ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები მოიგო, ვასილ იმერლიშვილმა ჭაბუკებში ევროპის პირველობასა და შავი ზღვის თამაშებში გაიმარჯვა; სერგო ნინუას ახალგაზრდებში ევროპული „ვერცხლი" და მსოფლიოს პირველობის „ბრინჯაო" ერგო. წარმატებები ორმაგად სასიამოვნო იყო ჩემთვის, რადგან სწორედ შარშანწინ დაბადებიდან 60 წელი



ოთარ ტატიშვილი და რამაზ ნოზაძე

შემისრულდა და საიუბილეოდ ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა მრგებოდა.

**- არაფერი გითქვამთ ნოზაძის ოლიმპიურ ვერცხლის მედალზე...**

- ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა და ცალკე აღნიშვნის საგანიც. ოლიმპიადაზე „ვერცხლის" მოპოვება ბევრი ძლიერი ქვეყნისთვისაც კი საოცნებოა. რამაზმა იოლად მიაღწია კვარცხლბეკის მეორე საფეხურამდე, არადა, ჩემპიონობისთვისაც მზად იყო. ათენის ოლიმპიადის ფინალში მას ეგვიპტელი ქარამის დამარცხებაც შეეძლო, მით უმეტეს, რომ თავიდან დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მსაჯთა შეცდომებმა და ზოგიერთი პიროვნების ზედმეტმა აქტიურობამ ჩემს შეგირდს შესაძლებლობების მთლიანად რეალიზების საშუალება არ მისცა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ეგვიპტელმა ფენომენმაც კი აღნიშნა პრესკონფერენციაზე, როცა რამაზს მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი და სავსე დარბაზს მიმართა - აი, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონიო.

**- ჩინეთის დედაქალაქში მისი ვარაუდი რატომ არ გამართლდა?**

- ალბათ, იცით, რომ ათენის ოლიმპიადის შემდეგ რამაზმა მძიმე ტრავმა მიიღო და წელიწად-ნახევარი ხალიჩაზე არ გასულა, თუმცა ფიზიკური ვარჯიშები არასდროს შეუწყვეტია. აქტიურ სპორტში დაბრუნება 2006 წელს გუანჯოუს მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-5 ადგილით აღნიშნა. მის შარშანწინდელ წარმატებებზე უკვე გითხარით, თუმცა აქვე მინდა დავძინო, რომ 2007 წელს ნოზაძემ მკერდის კუნთები გაიწყვიტა. სერიოზული ტრავმების მიუხედავად, პეკინის ოლიმპიადისთვის უოპერაციოდ ინტენსიურად ემზადებოდა. პირველი გამაფრთხილებელი გზავნილი ჩვენთვის შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი გამოდგა, სადაც ქართველი ფალავანი მხოლოდ მე-3 ადგილს დასჯერდა. ოლიმპიადამდე მინსკში საწვრთნელ შეკრებაზე ფეხის კუნთი დაიზიანა. ყველაფერმა ამან ერთაბაშად თამაშებზე იჩინა თავი. რამაზმა მე-2 წრის შეხვედრა დათმო ჩეხ მარეკ შვეცთან, რომელიც რამდენჯერმე ჰყავს სუფთად დამარცხებული, ერთ-ერთი პაექრობა კი სულ რაღაც 12 წამში მოუგო.

რას იზამ, ბედს ვერსად გაექცევი. რაც მთავარია, ჩემმა შეგირდმა შეძლო დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსვლა, კიევში ორი ოპერაცია გაიკეთა. ახლა სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. არ ვჩქარობთ ფორსირებულად სპორტულ ფორმაში შესვლას. დარწმუნებული ვარ, რომ რამაზს ბოლო სიტყვა ჯერ არ უთქვამს - იგი კიდევ მრავალჯერ გვასახელებს.

**- თქვენ პეკინში ბრძანდებოდით. რით დაგამახსოვრდათ 2008 წლის ოლიმპიადა?**

- მასპინძლები სპორტის დიდი ფორუმისთვის შესანიშნავად მომზადებულან. ჩვენც მაჟორულ ნოტზე ვცდილობდით თამაშებში ჩაბმას, მაგრამ რუსეთის აგრესიამ ყველაფერი ჩაგვაშხამა. კიდევ კარგი, რომ იმ ძნელბედობისას ჩვენს სპორტსმენებს ნებისყოფა ეყოთ, ომით გამოწვეული ფსიქოლოგიური ბარიერი დაეძლიათ. ნინო სალუქვაძემ პირველმა გვიჩვენა მამაცობის მაგალითი. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების ვაჟკაცობაზე ალარაფერს ვამბობ. გიორგი გოგშელიძემ და ოთარ თუშიშვილმა გამაოცეს - მათს მშობლიურ ქალაქ გორს რუსები ბომბავდნენ, არ იცოდნენ, ახლობლები რა დღეში იყვნენ და ამგვარ სიტუაციაში კვარცხლბეკზე ავიდნენ. ეს ხომ ნამდვილი გმირობაა.

და მაინც, მანუჩარ კვირკველიას ჭიდაობასაც მინდა შევეხო - იგი მთელი ათი თავით სჯობდა მეტოქეებს, ამიტომ მწვრთნელებმაც და სპორტსმენებმაც ოლიმპიადის საუკეთესო მოჭიდავედ აღიარეს. მართალი გითხრათ, მანუჩარის ასეთი ეფექტური გამოსვლა მანამდე არც ერთ შეჯიბრებაზე არ მახსოვს, მათ შორის - არც 2003 წელს, როცა იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ყველამ ერთად გავიხარეთ, პეკინიდან გამომგზავრებისას მისი ქალიშვილის დაბადების ამბავი რომ შევიტყვეთ.

ერთსაც დავძენ: რუსული აგრესიის დღეებში ჩვენთან სხვადასხვა ქვეყნის უამრავი წარმომადგენელი მოდიოდა და თანაგვიგრძნობდა. ჩინელმა კომერსანტმა ვახშამიც კი გაგვიმართა. ცხადია, არც გვშიოდა და არც გვწყუროდა, მაგრამ მასპინძელმა ამ ჟესტით ჩინელი ხალხის თანადგომა და სოლიდარობა გვაგრძნობინა.

**- ევროპის ჩემპიონატამდე თვე-ნახევარიღა დარჩა. ულიდერებოდ შეძლებთ უწინდელი ტრადიციების შენარჩუნებას?**

- გეთანხმებით, რომ ვილნიუსში დავით ბედინაძე, მანუჩარ კვირკველია, ბადრი ხასაია და რამაზ ნოზაძე არ გვეყოლება, მაგრამ ვამზადებთ იმედისმომცემ, ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელსაც საქართველოს სპორტული პრესტიჟის დაცვა ძალუძთ. საევროპოდ ჩემს ოთხ შეგირდსაც ვავარჯიშებ. ესენი არიან - რევაზ ლაშხი, ვლადიმერ გეგეშიძე, ანტონ მამაგეიშვილი და ალექსანდრე ბურდილაძე. ვნახოთ, ეროვნულ ნაკრებში ადგილს ვინ დაიმკვიდრებს. საწვრთნელი შეკრება თბილისში თვის ბოლომდე გასტანს. მარტის პირველ რიცხვებში ბიჭებს ბუდაპეშტის ოქროს გრანპრიზე გამოვცდით. უნგრეთიდან დაბრუნებისთანავე ბათუმს მივაშურებთ შეკრების ჩასატარებლად და ამის შემდეგ გამოვლინდება ის შემადგენლობა, რომელიც ბალტიისპირეთში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-მაიამი 93:95**

24:23, 15:27, 26:26, 28:19

ჩ: ბ. გორდონი (34), დ. როუზი (18+6 პასი), ტ. ტომასი (15+8 მოხსნა), ნოა (5+11 მოხსნა).

მ: უეიდი (24+7 პასი), ბისლი (21+7 მოხსნა), დ. კუკი (14), მერიონი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰასლემი (10+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დალასი-ბოსტონი 92:99**

21:17, 30:23, 24:29, 17:30

დ: ნოვიცკი (37+8 მოხსნა), ჯ. ჰოვარდი (17), ა. რაიტი (10), კიდი (3+10 პასი).

ბ: პირსი (31), რ. ალენი (20), რონდო (19+15 მოხსნა+14 პასი), გარნეტი (16).

**გ. სტეიტი-პორტლენდი 105:98**

32:20, 25:26, 23:16, 25:36

გ-ს: მაგეტი (24), ს. ჯექსონი (20+6 პასი), ელისი (20+3 ჩაჭრა), ტურიაფი (14+11 მოხსნა), კროუფორდი (12), ე. რენდოლფი (9+10 მოხსნა).

პ: როი (37), ოლდრიჯი (20), როდრიგესი (10+7 პასი+3 ჩაჭრა), ოდენი (8+11 მოხსნა), აუთლო (8+12 მოხსნა).

### ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. III ტური

**E ჯგუფი**

**პროკომი-ოლიმპიაკოსი 68:93**

19:23, 13:27, 22:21, 14:22

პ: ლოგანი (18), კ. ვუდსი (12), ბარელი (10).

ო: ვუიჩიჩი (21+7 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), ბურუსისი (12), პრინტეცისი (12), ლ. გრირი (10).

**ტაუგრესი-მილანი 108:90**

26:27, 29:19, 31:17, 22:27

ტ: ვიდალი (26), ტელეტოვიჩი (19), რაკოჩევიჩი (17+5 პასი), მიკელი (14+9 მოხსნა), უ. მაკდონალდი (14).

მ: სოუ (25), ჯ. ტომასი (18), ჰოუკინსი (14), ვიტალი (12).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუგრესი | 2/1 | 37 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 2/1 | 26 |
| 3. მილანი | 2/1 | -14 |
| 4. პროკომი | 0/3 | -49 |

**F ჯგუფი**

**ბარსელონა-ალბა 85:69**

19:17, 18:21, 23:7, 25:24

ბ: ილიასოვა (30+11 მოხსნა), ბაზილე (14), ნავარო (13), დ. ანდერსენი (10).

ა: ჯენკინსი (12), ნაჯფეჯი (11), ჰაბი (10).

**რეალი-მაკაბი 98:79**

18:20, 24:16, 28:25, 28:18

რ: ბალოკი (24), იული (13), მუმბრუ (13), რეიესი (12+3 პასი+3 ჩაჭრა), ვან დენ შპიგელი (10).

მ: აროიო (21+5 პასი), ელიაჰუ (20), ფიშერი (12).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 3/0 | 24 |
| 2. ბარსელონა | 2/1 | 34 |
| 3. მაკაბი | 1/2 | -8 |
| 4. ალბა | 0/3 | -50 |

**G ჯგუფი**

**პარტიზანი-უნიკახა 60:59**

10:11, 16:15, 18:15, 16:18

პ: ველიჩკოვიჩი (12+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტრიპკოვიჩი (12), ლასმე (9+9 მოხსნა+4 დაფარება).

უ: კუკი (12), უელში (12), ჰაისლიპი (10+7 მოხსნა).

**პანათინაიკოსი-რომა 92:67**

22:25, 22:14, 22:8, 26:20

პ: ნიკოლასი (11+4 ჩაჭრა), სპანულისი (11), ბატისტი (10), ფოცისი (9+6 მოხსნა), იასიკიავიჩუსი (9+5 პასი).

რ: ჰათსონი (11), ჯენინგსი (11), დე ლა ფუენტე (11), ჯააბერი (10).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 3/0 | 55 |
| 2. პარტიზანი | 2/1 | -9 |
| 3. უნიკახა | 1/2 | 0 |
| 4. რომა | 0/3 | -46 |

**H ჯგუფი**

**მონტეპასკი-ცსკა 74:56**

11:10, 16:12, 26:15, 21:19

მ: მაკინტაირი (21), კაუკენასი (18), ეზე (15+3 ჩაჭრა), კ. ლავრინოვიჩი (4+8 მოხსნა+4 ჩაჭრა).

ც: მორისი (10+8 მოხსნა), სმოდიში (10), ლორბეკი (10).

**ციბონა-ფენერბაჰჩე 55:65**

12:9, 15:13, 16:19, 12:24

ც: პრკაჩინი (12), ა. ანდერსონი (12), კელოუეი (11), ვუკუშიჩი (10).

ფ: თუოქჯანი (20+13 მოხსნა+2 დაფარება), გირიჩეკი (12), მ. გრინი (10).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 2/1 | 26 |
| 2. მონტეპასკი | 2/1 | 19 |
| 3. ფენერბაჰჩე | 1/2 | -16 |
| 4. ციბონა | 1/2 | -29 |

**ტურის მოთამაშე**

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის საუკეთესო მოთამაშე ესპანეთის "ბარსელონას" ფორვარდი **ერსან ილიასოვა** გახდა. "ალბასთან" შეხვედრაში კატალონიურმა კლუბმა 85:69 გაიმარჯვა. თურქეთის ნაკრების კალათბურთელმა 25 წუთში 30 ქულა (თამაშიდან 17-ში 10 ზუსტი ტყორცნა, 7-დან 6 ზუსტი სამქულიანი), 11 მოხსნა, 2 შედეგიანი პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება დააგროვა. ამან ილიასოვას 39 ჩასათვლელი ქულა მოუტანა.

ამ ტურში MVP-ის ტიტულზე კიდევ ოთხი კალათბურთელი აცხადებდა პრეტენზიას: **სერხი ვიდალი** ("ტაუგრესი"), **ნიკოლა ვუიჩიჩი** ("ოლიმპიაკოსი"), **ლუის ბალოკი** ("რეალი") და **მირსად თურქჩანი** ("ფენერბაჰჩე").

TOP16-ის ეტაპზე მარგი ქმედების კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებლით "ფენერბაჰჩეს" ფორვარდი მირსად თურქჩანი ლიდერობს – მისი საშუალო მონაგარი 31 ქულას შეადგენს. ორი ეტაპის ჯამში ლიდერი კი თელ-ავივის "მაკაბის" ცენტრი **დ'ორ ფიშერი** გახლავთ – 21.7 ქულა.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია-ოტავა 2:5**

0:1, 0:2, 2:2

**გოლები**: 0:1 ჰიტლი-23 (ალფრედსონი-33, ლი-6), 0:2 სპეცა-21 (ბელი-7, კუბა-26), 0:3 ფოლინო-9 (შენონი-2, ფილიპსი-7), 1:3 პოუ-3 (აშოლი-12, ჟირუ-5), 1:4 ჰიტლი-24 (სპეცა-23, ვერმეტი-13), 2:4 მ. რიჩარდსი-19 (ნუბლი-16), 2:5 ვერმეტი-8.

**ნეშვილი-სენტ ლუისი 4:3 (ბ)**

1:2, 0:1, 2:0, 0:0

**გოლები**: 0:1 ბეკსი-18 (ბოიესი-24, ვინჩესტერი-4), 0:2 პერონი-7 (მაკლემანი-10), 1:2 ჰამჰუისი-3 (ლეგუანდი-16, რ. ჯონსი-8), 1:3 ვინჩესტერი-9 (ბოიესი-25, ბეკსი-14), 2:3 კლეინი-4 (სუტერი-25, შ. უებერი-19), 3:3 არნოტი-21 (ლეგუანდი-17, სალივანი-5).

**ბულიტები გაიტანეს**: სალივანი (ნეშვილი).

**კაროლინა-ფლორიდა 0:5**

0:2, 0:3, 0:0

**გოლები**: 0:1 ჰორტონი-15 (ბალარდი-18, ბუტი-15), 0:2 ზედნიკი-11 (ჰორტონი-19), 0:3 ე. სტიუარტი-2 (კრეპსი-11), 0:4 გ. კემპბელი-12 (დვორაკი-16, ბოუმისტერი-18), 0:5 ფროლიკი-12 (კრეპსი-12, სტილმანი-21).

**ტამპა ბეი-ტორონტო 6:4**

4:1, 0:2, 2:1

**გოლები**: 0:1 სტემპნიაკი-9, 1:1 მელოუნი-17 (კრაიჩეკი-9, სენტ ლუისი-32), 2:1 მელოუნი-18 (სენტ ლუისი-33, სმები-3), 3:1 რეკი-12 (ლეკავალიე-26, სენტ ლუისი-34). 4:1 სენტ ლუისი-20 (რეკი-25, მაკენა-1), 4:2 სტემპნიაკი-10 (კუბინა-19, ჰაგმანი-16), 4:3 ჰაგმანი-17 (გრაბოვსკი-14, ფინგერი-10), 5:3 სტემკოსი-7 (პროსპალი-21, ემინგერი-18), 6:3 ლეკავალიე-25 (მელიხარი-5, მერფი-6), 6:4 კულემინი-9 (მეიერსი-6, ფროგრენი-5).

**დეტროიტი-მინესოტა 4:2**

1:1, 3:0, 0:1

**გოლები**: 1:0 სამუელსონი-15 (ლებდა-8, კრონვალი-31), 1:1 ბერნსი-8 (მიეტინენი-24, ჟიდლიცკი-20), 2:1 ჰუდლერი-18 (მარიან ჰოსა-26, ლილია-11), 3:1 დრეიპერი-4 (მარიან ჰოსა-27, ფილპულა-21), 4:1 ლეინო-3 (კოპეცკი-8, რაფალსკი-36), 4:2 მ. კოივუ-16 (მიეტინენი-25, სკოულა-6).

**ფინიქსი-ვანკუვერი 3:4**

2:0, 1:1, 0:3

**გოლები**: 1:0 ლისინი-10, 2:0 რაინპრეხტი-10 (კარჩილო-4, პერო-1), 2:1 ოლუნდი-4 (ბიეკსა-23, დ. სედინი-29), 3:1 მორისი-5 (ო. იოკინენი-18, ჟოვანოვსკი-22), 3:2 დემიტრა-15 (ო'ბრაიენი-8, სალო-10), 3:3 ედლერი-6 (ბიეკსა-24, უელვუდი-6), 3:4 ჰ. სედინი-10 (დ. სედინი-30, სალო-11).

**ლოს ანჯელესი-კალგარი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები**: 0:1 კამალერი-29 (ბერტუცი-23, იგინლა-39), 0:2 რ. ბურკი-19 (გლენკროსი-17, კონროი-23).

# მარტოხელა გმირი ბილ რასელი



12 თებერვალს 75 წელი შეუსრულდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე ტიტულოვან კალათბურთელს, "ბოსტონ სელტიქსის" ლეგენდარულ ცენტრს **ბილ რასელს**.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ყველაფერი სხვანაირად იყო. კალათბურთელები, რომლებსაც დღეს აფროამერიკელებს ეძახიან და რომლებიც ლიგის წამყვან ძალას წარმოადგენენ, მაშინ, საუკეთესო შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი როლებით კმაყოფილდებოდნენ. ასე იყო იქამდე, სანამ ლიგაში ბილ რასელი არ გამოჩნდა.

ასეთი მასშტაბის ფიგურები სპორტში იშვიათად გვხვდებიან. რასელი ერთდროულად სუპერგმირია, სიტყვაძუნწი ბრძენი, წარუმატებელი ბიზნესმენი... ხალხთან ურთიერთობა არასოდეს ჰყვარებია. 1966 წელს, როცა დიადმა **რედ აუერბახმა** ვარსკვლავური "ბოსტონის" მოთამაშე მწვრთნელის პოსტი შესთავაზა, რასელმა გუნდის პირველივე კრებაზე გამოაცხადა, რომ წყვეტს პარტნიორებთან და შეგირდებთან ყველანაირ პირად ურთიერთობას. ხოლო სამი წლის თავზე, "ლეიკერსთან" 7-მატჩიან დრამატულ სერიაში მე-11 საჩემპიონო ბეჭდის მოპოვების შემდეგ, მან თითქმის უჩუმრად ჩაალაგა ბარგი და დატოვა ქალაქი, რომელმაც არნახული დიდება მოუტანა.

11 საჩემპიონო ტიტული - ეს არა მხოლოდ NBA-ის, არამედ ნებისმიერი ამერიკული პროფესიული ლიგის აბსოლუტური რეკორდი გახლავთ. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ეს ფენომენალური კოლექცია რასელმა სულ რაღაც 13 წელიწადში შეაგროვა, ანუ მის კარიერაში "ბოსტონმა" მხოლოდ ორჯერ წააგო საპლეიოფო სერია. როცა დაპირისპირება მაქსიმალურად შესაძლებელ ციფრამდე გაიწელებოდა, ბილის მეტოქეებს არანაირი შანსი არ რჩებოდათ: "კელტებმა" რასელთან ერთად 11-დან 11 გადამწყვეტი მატჩი მოიგეს.

რასელზე საუბრისას გაუთავებლად შეიძლება მისი სტატისტიკური რეკორდების ჩამოთვლა. სხვათა შორის, შეუძლებელია ბილის მიერ შესრულებული ბლოკ-შოტების ზუსტი რაოდენობის დადგენა: იმ დროს ამ სათამაშო ელემენტს არ ითვლიდნენ. სამაგიეროდ, ზუსტად არის ცნობილი სხვა მიღწევები. მაგალითად, ზედიზედ 10 სეზონის განმავლობაში, რასელი საშუალოდ მატჩში ოცზე ნაკლებ მოხსნას არ აკეთებდა. პლეი ოფის 165 მატჩში მან საშუალოდ 24.9 მოხსნა დააგროვა. ორ ფინალურ მატჩში კი 40-40 (!) მოხსნა მიითვალა. **ის ხუთჯერ დაასახელეს რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად** – ამდენივე ჯილდო აქვს **მაიკლ ჯორდანს**, ერთით მეტი მხოლოდ **ქარიმ აბდულ ჯაბარს**.

მაგრამ რასელის ნამდვილი დიდება მხოლოდ ამ ციფრებით არ გამოიხატება. შეიძლება რიცხვები თავიდან ამოგივარდეს, მაგრამ სხვა რამის დავიწყება არ შეიძლება: მისი მოსვლით სპორტის ეს სახეობა სულ სხვანაირი გახდა – როგორც მოედანზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ძლიერი ცენტრები NBA-ში რასელამდეც თამაშობდნენ, მაგრამ ისინი, პირველ რიგში, შეტევაზე იყვნენ დაგეშილები. რასელმა კი სამყაროს ახალი ტიპის ცენტრი მოუვლინა, რომელმაც ნამდვილ ხელოვნებამდე აიყვანა დაცვაში თამაში. ისევე როგორც ნებისმიერი ნოვატორი, თავიდან ისიც ვერ გაექცა დაცინვასა და ირონიას. კოლეჯის მატჩებში ბურთის დაფარებისთვის შესრულებულ ნახტომებს საერთო საკალათბურთო ნორმებიდან კომიკურ გადახვევად აღიქვამდნენ. მაგრამ მალე სიცილი ყველამ შეწყვიტა. რასელი, რომელიც იუნიორის ასაკში წარმატებით მისდევდა მძლეოსნობას, მისი სიმაღლისთვის შეუფერებელი სისწრაფით გადაადგილდებოდა დაცვის მთელ ფრონტზე და აგრესიული ბლოკ-შოტის შესაძლებლობას ეძებდა. ცბიერმა და მოხერხებულმა რედ აუერბახმა 1956 წლის დრაფტზე შავკანიანი გიგანტის ხელში ჩასაგდებად რისკიანი გაცვლა განახორციელა და შემდეგ კმაყოფილი იფშვნეტდა ხელებს. ფარქვეშ ასეთი ცენტრის ყოფნა ბილის პარტნიორებს დაცვაში უფრო აქტიური მეთოდების გამოყენების საშუალებას აძლევდა. მათ აღარ ეშინოდათ დრიბლინგით მოტყუების, რადგან ასეთ შემთხვევაში, დიდი ბილი თავისი გრძელი ხელებით ყოველთვის დასახმარებლად მოიჩქაროდა.

დაცვაში თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირობა რასელმა 1962 წლის ფინალური სერიის მეშვიდე მატჩში, "ლეიკერსის" წინააღმდეგ ჩაიდინა. ოვერტაიმში "სელტიქსის" ლიდერთა უმეტესობამ ზედმეტი პერსონალურების გამო სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა, რასელმა კი პრაქტიკულად მარტო დარჩენილმა შეაჩერა კალიფორნიელთა შეტევა. სწორედ იმ მატჩში, კარიერაში მეორედ მიითვალა 40 მოხსნა.

დიად გმირს დიადი მოწინააღმდეგე სჭირდებოდა. დაცვის გენიოს რასელის შეტევის ასეთივე გენიოსად **უილტ ჩემბერლენი** მოევლინა. ჩემბერლენს ერთ რამეში გაუმართლა: ის NBA-ში რასელზე გვიან მოხვდა და დიდი კალათბურთი ბილის წასვლის შემდეგაც ითამაშა. აი, "ცოცხალი" რასელის დამარცხება პლეი ოფში მხოლოდ ერთხელ შეძლო – 1967 წელს. "ფილადელფიას" ან "ლეიკერსის" მაისურით "ბოსტონის" დამხობის ყველა სხვა მცდელობა კრახით დასრულდა. ამერიკის ორი მთავარი ცენტრის დაპირისპირებამ პიკს 1968 წელს მიაღწია. მარტინ ლუთერ კინგის ტრაგიკული დაღუპვის ფონზე, "სიქსერზმა" და "ლეიკერსმა" აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში საკუთარი დრამა გაითამაშეს. "ბოსტონი" 1:3 აგებდა სერიას და საბოლოოდ, დამარცხებული უნდა გამოსულიყო: ასეთი მდგომარეობიდან მანამდე არც ერთი გუნდი არ გამომძვრალა. რასელის გუნდმა კი მოახერხა ამ სასწაულის ჩადენა.

რასელმა ჩემბერლენს მოედნის ფარგლებს გარეთაც გაუსწრო. როცა გაიგო, რომ უილტმა "ფილადელფიასთან" ახალ სარეკორდო კონტრაქტს მოაწერა ხელი (წელიწადში 100 ათასი დოლარი), ბილი აუერბახთან მივიდა და ჩემბერლენზე ერთი დოლარით მეტი ხელფასი მოითხოვა. რა თქმა უნდა, მან თავისას მიაღწია.

და მაინც, როცა 2003 წელს ჟურნალმა Slam-მა NBA-ის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელების გამოვლენა გადაწყვიტა, 11-გზის ჩემპიონი რასელი ორგზის ჩემპიონ ჩემბერლენის უკან აღმოჩნდა. ის აგრეთვე მაიკლ ჯორდანსა და **ოსკარ რობერტსონსაც** ჩამორჩა. ალბათ, ამ შედეგზე იმანაც იქონია გავლენა, რომ ბილი არასოდეს ყოფილა დიდი სნაიპერი, რაც პუბლიკას განსაკუთრებულად უყვარს.

მთელი ცხოვრება რასელის მთავარი მტერი რასიზმი იყო. მაშინაც კი, როცა ჩრდილოამერიკული სპორტის ისტორიაში პირველი შავკანიანი მწვრთნელი გახდა, ბილი აცხადებდა, რომ მას კანის ფერის გამო ძველებურად შეურაცხყოფდნენ. თეთრი ადამიანებისგან გამოხატულ ალტაცებასა და მეგობრობას ის პირფერობად აღიქვამდა. ეს წესი "ბოსტონის" გულშემატკივრებზეც კი ვრცელდებოდა: რასელი აბსოლუტურად გულგრილი იყო მაყურებლის ოვაციების მიმართ და თაყვანისმცემლებს ავტოგრაფებს არასოდეს ურიგებდა. მან გამოუსწორებელი ბუზღუნას რეპუტაცია მოიპოვა, ხოლო ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებთან საბოლოოდ მაშინ გაწყვიტა კავშირი, როცა 1969 წელს ბოსტონიდან გაიქცა და გუნდი მთავარი მწვრთნელისა და ცენტრის გარეშე დატოვა. 1972 წელს, როცა "ბოსტონში" მისი სათამაშო ნომერი (6) სამუდამოდ ამოიღეს ხმარებიდან, რასელს ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ცერემონიაში მონაწილეობა არ მიუღია.

"ბოსტონთან" წაჩხუბების შემდეგ, რასელმა საკუთარ თავს სათანადო გამოყენება ვერ მოუძებნა. ლიბერიაში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მისი ბიზნესპროექტები კრახით დასრულდა, "სიეტლსა" და "საკრამენტოში" სამწვრთნელო მუშაობას წარმატება არ მოუტანია, ისევე როგორც კომენტატორად მოღვაწეობას. საბოლოოდ ყველაფერი მიატოვა და სიეტლის გარეუბანში მარტო ცხოვრება დაიწყო.

თუმცა გმირები სამუდამოდ არ მიდიან. 2006 წელს ბილ რასელზე ისევ ყველა ალაპარაკდა: სწორედ მან აილო საკუთარ თავზე ერთმანეთს გადაკიდებული **შაკილ ო'ნილისა** და **კობი ბრაიანტის** შერიგება. ორი წლის შემდეგ კი დიადი ბილი Banknorth Garden-ის ტრიბუნაზე იჯდა და კმაყოფილი ადევნებდა თვალს ნაცნობ სურათს - ამჯერად მის მშობლიურ "სელტიქსს" მორიგი ჩემპიონობა **გარნეტმა, პირსმა** და კომპანიამ მოუპოვეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ბიათლონი



# რუსებს დოპინგი დაუმტკიცდათ

დასრულდა რუს ბიატლონისტებთან დაკავშირებული სკანდალი, რომლებიც დოპინგის მიღებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. გუშინ ბიატლონისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (IBU) სამი რუსი სპორტსმენის B სინჯის შედეგები გამოაქვეყნა. ხელმეორე ანალიზმა დაადასტურა სამივე ბიატლონისტის სხეულში აკრძალული პრეპარატის კვალი.

სპეციალური პრესკონფერენცია ჩრდილოეთ კორეის ქალაქ პიონჩანგში გაიმართა, სადაც დღეს ბიატლონში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. IBU-ის პრეზიდენტმა **ანდერს ბესებერგმა** ჟურნალისტებს დამნაშავე სპორტსმენთა გვარები დაუსახელა. ორი მათგანი რუსეთის ქალთა ნაკრების ლიდერია: მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფი **ეკატერინა იურიევა** და **ალბინა ახატოვა**. ამას ემატება კაცების გუნდის ერთი წევრი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **დმიტრი იაროშენკო**.

ოფიციალური ინფორმაციის გამოცხადების შემდეგ, ანდერს ბესებერგმა ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარს: *"მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრების რიგებში დოპინგის მიღებამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. ამჯერად ჩვენ ან ყველა დამნაშავე დავიჭირეთ, ან ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. დამნაშავე სპორტსმენებსა და ამ სკანდალის სხვა წევრებს არანაირი გამართლება არ აქვთ".*

IBU-ს პრეზიდენტს სიტყვა "სისტემატიური" შემთხვევით არ უხსენებია. 2006 წელს, ტურინის ოლიმპიადაზე ანალოგიურ სკანდალში გაეხვია რუსეთის ქალთა ნაკრების მაშინდელი ლიდერი **ოლგა პილიოვა**, რომელსაც ვერცხლის მედალი ჩამოართვეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

რუს ბიატლონისტებს ერითროპოეტინი (ეპო) აღმოუჩინეს. მაგრამ ეს არ არის კლასიკური ეპო, ის რუსეთში კუსტარული მეთოდით არის დამზადებული.

ჯერჯერობით უცნობია, რა სანქციებს გამოუტანენ რუს ბიატლონისტებს. სავარაუდოდ, ეს იქნება ორწლიანი დისკვალიფიკაცია, რაც ამ ტრიოს ვანკუვერის ოლიმპიადის მიღმა დატოვებს.

დეკემბრიდან მოყოლებული, გადაისინჯება წლევანდელი მსოფლიოს თასის ეტაპების შედეგები. იმის გამო, რომ დასჯილი ბიატლონისტები პრაქტიკულად ყველა ესტაფეტაში იღებდნენ მონაწილეობას, რუსეთს ერთა თასის ჩათვლაში ქულა აღარ დარჩება, ხოლო იურიევას პირადი ჩათვლის პირველ ადგილზე გერმანელი **კატი ვილჰელმი** ჩაენაცვლება.

■ ■ ■

როგორც ზემოთ გითხარით, დღეს პიონჩანგში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, თუმცა სეზონის მთავარი სტარტი, შესაძლოა ერთი დღით გადაიდოს. ჩრდილოეთ კორეაში გადაულებლად წვიმს, ჰაერის ტემპერატურა კი პლუს 11 გრადუსს აღწევს, რის გამოც ბიატლონის ტრასებზე თოვლი თითქმის მთლიანად დადნა.

სხვათა შორის, წვიმის გამო ორგანიზატორებმა ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონია გააუქმეს, რომელიც გუშინ უნდა ჩატარებულიყო და თუ წვიმამ არ გადაიღო, შაბათს დანიშნულ სპრინტერულ რბოლებსაც იგივე ბედი ელით.

ფორმულა I

# ჰონდა რეისინგში მუშაობას იწყებს




როგორც ჩანს, "ჰონდას" ისტორიის ბედნიერი დასასრული ჟურნალისტების ვარაუდი არ ყოფილა და იაპონური საჯინიბო მართლაც ჩაებმება წლევანდელ ჩემპიონატში.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ იაპონური კონცერნისგან მიტოვებულმა გუნდმა ბრაზილიელ **ბრუნო სენასთან** გააფორმა ხელშეკრულება და თან ხუთი ახალი სპონსორი იპოვა.

ამას დაემატა ერთი ახალი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა **როს ბრაუნმა** ყველა თანამშრომელს ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა შეტყობინება იმის შესახებ, რომ გუნდა ახალი ინვესტორი ჰყავს და სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მ ზანძ მართული მუშაობა ახალი სეზონის სტარტისთვის მოსამზადებლად.

შეგახსენებთ, რომ წინასწარი ინფორმაციით, "ჰონდა" "მერსედესის" ძრავებს მიიღებს, გუნდის სატიტულო სპონსორი კი ბრაზილიური კონცერნი Petrobras იქნება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| **UNDER 21** | |
| ნორვეგია-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| **კლუბები** | |
| ლოკომოტივი-ცრ. ზვეზდა | 1:0 |
| რაპიდი-კოშიცე | 1:0 |

| იტალია | |
|---|---|
| **სერია B** | |
| სასუოლო-ტრიესტინა | 1:1 |
| ბარი-ვიჩენცა | 1:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი | 1:4 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფიურტი-ფრანქფურტი | 0:0 |
| ობერჰაუზენი-სტ. პაული | 3:2 |
| ვეენი-კობლენცი | 1:3 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ბასტია-ტური | 2:0 |
| შატორუ-სტრასბური | 0:1 |
| ნიმი-ტრუა | 1:0 |
| რეიმსი-ამიენი | 1:3 |
| სედანი-გინგამი | 1:0 |
| ვანი-აიაჩო | 1:1 |
| ბრესტი-ანჟერსი | 2:1 |
| დიჟონი-ბულონი | 1:0 |
| მეცი-მონპელიე | 3:1 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| ვილემი-უტრეხტი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ექსელსიორი-მაასტრიხტი | 1:1 |
| დენ ბოში-ტელსტარი | 3:0 |
| დორდრეხტი-აპელდორნი | 2:1 |
| ომნივორლდი-ტოპ ოსი | 0:2 |
| ცვოლე-როსენდალი | 0:2 |
| ფორტუნა-იგლზი | 0:1 |
| ჰაარლემი-ეინდჰოვენი A | 2:1 |
| ჰელმონდი-ემენი | 3:1 |
| ვეენდამი-ვაალვიკი | 0:2 |
| ვენლო-კამბური | 1:2 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| ნასიონალი-გიმარაეში | 3:0 |

| ფინეთი | |
|---|---|
| **ლიგის თასი** | |
| ტურკუ-ტამპერე | 0:0 |
| ვაასა-ჰიკ | 1:2 |

**კალათბურთი**

| ევროჩელენჯი | |
|---|---|
| ლოკომოტივი-კახასოლი | 63:61 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-შოლე | 83:79 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ს. იულიაევი-ავანგარდი | 3:1 |
| აკ ბარსი-ნეფტიხიმიკი | 2:1 |
| ატლანტი-დინამო (მნ) | 4:2 |
| ტორპედო-ვიტიაზი | 5:2 |
| მვდ-დინამო (მ) | 1:4 |
| ცსკა-სპარტაკი | 0:2 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვილახი-ვენა | 4:3 |
| ზალცბურგი-ალბა | 4:4 |
| ინსბრუკი-აკრონი | 5:2 |
| კლაგენფიურტი-გრაცი | 3:0 |
| ოლიმპია-ლინცი | 1:3 |

| გერმანია | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 3:2 |
| ჰამბურგი-კასელი | 6:2 |
| ჰანოვერი-ნიურნბერგი | 4:1 |
| დუისბურგი-კიოლნი | 4:4 |
| დიუსელდორფი-შტრაუბინგი | 3:0 |
| კრეფელდი-ინგოლშტადტი | 1:3 |
| მანჰაიმი-იზერლონი | 3:3 |

| დანია | |
|---|---|
| ოდენსე-სენდერიისკი | 1:5 |
| ფრედრიკსჰავნი-ესბერგი | 6:5 |
| ჰერლევი-ოლბორგი | 2:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-პოპრადი | 5:0 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 4:1 |
| კეჟმაროკი-ნიტრა | 4:1 |
| მიკულაში-სლოვანი | 5:4 |
| სკალიცა-კოშიცე | 4:4 |

| ფინეთი | |
|---|---|
| იოკერიტი-კერპეტი | 2:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 2:4 |
| ზნოიმო-ლიტვინოვი | 3:2 |
| ბუდეიოვიცე-ზლინი | 1:1 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 2:1 |
| სპარტა-ბოლესლავი | 5:1 |
| სლავია-ლიბერეცი | 1:7 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ლანგნაუ-ამბრი | 2:2 |
| რაპერსვილი-ბილი | 4:1 |
| ცუგი-ლუგანო | 3:1 |
| ციურიხი-დავოსი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. როტერდამი | |
|---|---|
| ანჩიჩი-იუნი | 6:4, 6:2 |
| მიურეი-ჟიკელი | 7:6, 4:6, 6:0 |
| ნადალი-ცონგა | 6:4, 6:7, 6:4 |
| **ATP. კოსტა დუ სოუპე** | |
| რობრედო-აკასუსო | 6:2, 6:1 |
| **WTA. პარიზი** | |
| იანკოვიჩი-კორნე | 5:7, 6:4, 6:4 |
| დემენტიევა-დეში | 6:3, 6:2 |
| ს. უილიამსი-ლუა | 6:4, 6:1 |
| მორესმო-ა. რადვანსკა | 6:2, 6:0 |
| **WTA. პატაია** | |
| ვოზნიაკი-რიბარიკოვა | 4:6, 1:6 |
| პეერი-დუშევინა | 6:4, 4:6, 6:2 |
| ზვონარევა-პენგი | 6:2, 6:3 |
| ტანასუგარნი-მირზა | 5:7, 4:6 |

TV პროგრამა

## 14 თებერვალი. შაბათი

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).
16:15 რაგბი. ერთა თასი. საქართველო-პორტუგალია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:30 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი.
10:20 საფეხბურთო კლუბი.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბეტისი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი.
15:15 საფეხბურთო კლუბი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. სან ლორენსო (არგენტინა)-სან ლუისი (მექსიკა).
18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ბაიერნი (LIVE).
20:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-შტუტგარტი.
22:40 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი (LIVE).
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სტ. ეტიენი.
02:50 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი.
04:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
05:40 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-შტუტგარტი.

**EUROSPORT**

11:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა (LIVE).
13:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სლალომი. I ცდა. ქალები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
14:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა (LIVE).
15:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. ქალები. ვალ დი დენტრო. იტალია (LIVE).
16:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სლალომი. II ცდა. ქალები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
17:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 კმ. კაცები. ვალ დი დენტრო. იტალია (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. გუნდური. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
20:50 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
22:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
23:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. გუნდური. ობერსტდორფი. გერმანია.
00:30 კრივი. სუპერმძიმე წონა. ა. გოლოტა (პოლონეთი)-რ. ოსტინი (აშშ). ჩინეთი.
01:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
02:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. კალგარი. კანადა (LIVE).
03:00 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. I ეტაპი. საკრამენტო (LIVE).
04:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. კალგარი. კანადა (LIVE).
04:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
15:15 ახალი ამბები.
15:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
16:30 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. II ტური (LIVE).
19:30 ფრენბურთი. იტალიის თასი. ქალები. XVIII ტური (LIVE).
21:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. I ტური. სელიე (სლოვენია)-რაინი (გერმანია).
23:00 ახალი ამბები.
23:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. I ტური. კოპენჰაგენი (დანია)-ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი).
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. II ტური.
01:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-კავალა.
03:00 ახალი ამბები.

## 15 თებერვალი. კვირა

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ხეტაფე (LIVE).

**I არხი**

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**მზე**

20:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ჰავრი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-მარსელი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ნიუელსი.
09:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
11:10 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ბაიერნი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა.
15:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი (LIVE).
17:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სტ. ეტიენი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-რეალი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-სევილია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ხეტაფე (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 არგენტინის ჩემპიონატი. როსარიო-რივერ პლეიტი (LIVE).
03:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-მარსელი.
05:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი.

**EUROSPORT**

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. გუნდური. ობერსტდორფი. გერმანია.
12:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა (LIVE).
12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სლალომი. I ცდა. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
14:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა (LIVE).
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. გუნდური. ობერსტდორფი. გერმანია.
15:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. HS140. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
16:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სლალომი. II ცდა. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
19:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
20:15 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
20:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
21:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
21:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სლალომი. II ცდა. კაცები. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
23:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. კარლსრუე. გერმანია.
01:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
01:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. პინოჩანგი. ჩრ. კორეა.
02:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.
02:30 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. II ეტაპი. დევისი-სანტა როსა (LIVE).
04:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-კავალა.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. II ტური.
15:45 ახალი ამბები.
16:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. I ტური. სელიე (სლოვენია)-რაინი (გერმანია).
17:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. I ტური. კოპენჰაგენი (დანია)-ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი).
18:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. II ტური (LIVE).
20:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-კავალა.
21:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-კალგარი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. იტალიის თასი. ქალები. XVIII ტური.
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. I ტური. სვენდბორგი (დანია)-კილი (გერმანია).
01:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი
02:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. II ტური.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# იანკოვიჩი VS ფედერერი



სერბმა ჩოგბურთელმა **ელენა იანკოვიჩმა**, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტული დაკარგა, **როჯერ ფედერერის** მხრიდან მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს უპასუხა. ელენამ შვეიცარიელს ურჩია, საკუთარ კარიერას მიხედოს და სხვა ჩოგბურთელების საქმეში ცხვირი აღარ ჩაყოს. სერბის ასეთი განცხადების მიზეზი როჯერის ამასწინანდელი გამოსვლა გახდა. ფედერერმა აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება პირველი ჩოგანი გახდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც "დიდი სლემის" ტურნირი არასოდეს მოუგია.

*"თუ სიმართლე გაინტერესებთ, ძალიან არ მიყვარს სხვა ჩოგბურთელებზე ლაპარაკი, მირჩევნია ჩემს თამაშსა და ქცევაზე მოვახდინო კონცენტრაცია. სამწუხაროდ, ზოგიერთები ასე არ იქცევიან"*, - ამბობს იანკოვიჩი.

სერბ ჩოგბურთელს ვერ გაუგია, საერთოდ რაში დასჭირდა შვეიცარიელს ქალთა ჩოგბურთსა და WTA-ის რეიტინგში ცხვირის ჩაყოფა. ელენამ როჯერს მაგალითად ესპანელი **რაფაელ ნადალი** მოუყვანა: *"ნადალიც დიადი ჩემპიონია, მაგრამ ის როჯერივით არ იქცევა და გაცილებით მოკრძალებული ადამიანია. რაფა ყოველთვის იპოვის თბილ სიტყვებს ნებისმიერისთვის და ამ მხრივ ის ყველასთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს! ფედერერიც დიდი ჩოგბურთელია, მაგრამ არ მესმის, რა ესაქმება მას ქალთა ტურში"*.

იანკოვიჩმა ფედერერს მეორე სერბი ჩოგბურთელის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მისამართით წარმოთქმული სიტყვებიც გაუხსენა, როცა ელენას თანამემამულემ ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში **ენდი როდიკის** წინააღმდეგ ბრძოლის დასრულება ვერ შეძლო. შეგახსენებთ, რომ მაშინ ჯოკოვიჩმა მზის დარტყმის გამო შეწყვიტა მატჩი. ამის შემდეგ, როჯერმა განაცხადა, რომ თუ არასათანადოდ ხარ მზად ტურნირისთვის, სჯობს, საერთოდ არ მიიღო მასში მონაწილეობა: *"არა მგონია, სხვა ჩოგბურთელებზე შეტევა ლამაზი საქციელი იყოს. ჯოკოვიჩმა უკეთ იცის, არის თუ არა მზად კონკრეტული ტურნირისთვის. არ შეიძლება ასეთი განცხადებებით გამოსვლა, თუ ხელთ შესაბამისი დამამტკიცებელი საბუთი არ გაგაჩნია. არ ღირდა ამის გამო ნოვაკის შეურაცხყოფა"*.

ჯერჯერობით უცნობია, რა რეაგირებას მოახდენს ფედერერი იანკოვიჩის განცხადებებზე. ერთი რამ ცხადია – "დიდი სლემის" უახლოეს ტურნირზე იანკოვიჩი ყველანაირად ეცდება გამარჯვებას და მსოფლიოს რეიტინგში პირველი პოზიციის დაბრუნებას.

# ახალი ვარსკვლავი მოდის

ავსტრალიის ღია პირველობის დასრულების შემდეგ, წამყვანმა ჩოგბურთელებმა ერთი კვირა დაისვენეს და პროფესიულ ტურს დაუბრუნდნენ.

საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეკრიბეს კაცებმა როტერდამის ტურნირში, სადაც ყველა მსოფლიოს პირველი და მეოთხე ჩოგანის - **რაფაელ ნადალისა** და **ენდი მიურეის** ფინალს ელის. აქ ჯერჯერობით ყველაფერი კანონზომიერად მიმდინარეობს, მაგრამ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას მაინც ჰქონდა ადგილი. ნადალმა მერვედფინალში სეტი წააგო იუნიორ ბულგარელ **გრიგორ დიმიტროვთან**.

ავსტრალიის ღიას მოგების შემდეგ, რაფას სერიოზული ჩავარდნა აქვს. აშკარად ჩანს, რომ ის ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა "დიდი სლემის" პირველი ტურნირის ნახევარფინალსა და ფინალში ნათამაშები ათი უმძიმესი სეტიდან. პარიზში ნადალი უამრავ უნებლიე შეცდომას უშვებს. სწორედ ამით აიხსნება სუსტი სტარტი იტალიელ **ბოლელისთან** მატჩში და სირთულეები, რომელიც დიმიტროვთან დაპირისპირებისას წარმოიქმნა.

17 წლის ბულგარელისთვის ეს მეორე გამოჩენაა ATP-ის ტურნირის ძირითად ბადეში. პერსპექტიული ჩოგბურთელი, რომელმაც შარშან იუნიორთა შორის უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, როგორც ჩანს, მომწიფდა "დიდებში" სათამაშოდ. როტერდამის ტურნირის პირველ წრეში მან სამ სეტში დაამარცხა **ტომაშ ბერდიხი** - სწორედ ის ჩეხი, რომელმაც კვირა-ნახევრის წინ, მელბურნის კორტებზე ხუთსეტიანი ბრძოლა გაუმართა **როჯერ ფედერერს**. 478-ე ჩოგანმა ესეც არ იკმარა და თვით რაფაელ ნადალს ერთი სეტი აართვა.



დიმიტროვს მომავალში წარმატებას ვუსურვებთ, ნადალს კი ფინალამდე რთული გზა ექნება გასავლელი. გუშინ, მეოთხედფინალში ის ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** ხვდებოდა, ნახევარფინალში კი მისი სავარაუდო მეტოქე კიდევ ერთი ფრანგი **გაელ მონფილსი** უნდა იყოს, რომელსაც ამ სეზონში ერთხელ უკვე დამარცხებული ჰყავს ესპანელი ვარსკვლავი. თუმცა გაელს ბოლო პერიოდში ტრავმა აწუხებს, რის გამოც ის ავსტრალიის ღია პირველობიდან მოიხსნა.

ძირითადი ბადის მოპირდაპირე პოლუსიდან ფინალისკენ ენდი მიურეი მიიწევს, რომელმაც მონფილსის მსგავსად, წელს ერთხელ უკვე მოუგო რაფას, ოღონდ არაოფიციალურ ტურნირზე. ნადალისა არ იყოს, ახალგაზრდა ბრიტანელიც არ არის ოპტიმალურ ფორმაში, თუმცა ფიზიკური კონდიციებით აშკარად ჯობნის ესპანელს. თანაც, ენდის უფრო იოლი ბადე შეხვდა, რაც მისი ფინალში თამაშის თითქმის ასპროცენტიან გარანტიას იძლევა.

# ძუნწი ნალბანდიანი



მსოფლიოს მეათე ჩოგანი დავიდ ნალბანდიანი სამშობლოში, კორდობას პროვინციაში მეტად უსიამოვნო ამბავში გაეხვია. 27 წლის ჩოგბურთელმა ფასიან საავტომობილო ტრასაზე გავლისთვის შესაბამისი თანხა არ გადაიხადა, რითაც პატარა სკანდალი გამოიწვია, რაც მომენტალურად აიტაცა არგენტინულმა პრესამ.

როდესაც არგენტინელს მოლარე მიუახლოვდა და ქვითარი გაუწოდა, ჩოგბურთელმა გამოაცხადა: *"მე - დავიდ ნალბანდიანი ვარ, ჩემ მაგივრად უკანა მანქანის მძღოლი გადაიხდის"*. მოლარემ ასეთი ახსნა-განმარტება საკმარისად ჩათვალა და ATP-ის ვარსკვლავი გაატარა, მაგრამ შემდეგი მანქანის მძღოლმა კატეგორიულად იუარა ჩოგბურთელის ნაცვლად ფულის გადახდა და განაცხადა, რომ საერთოდ არ იცის, ვინ არის ნალბანდიანი. საბოლოოდ, ტრასის თანამშრომელმა ამ ინციდენტის გამო თავის ხელმძღვანელობას განცხადებით მიმართა და დაწვრილებით გააცნო საქმის ვითარება.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ნალბანდიანს ერთი დოლარი (!) უნდა გადაეხადა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

სამთო-სათხილამურო სპორტი



მსოფლიოს ჩემპიონატი

# ალბრეხტისთვის მიძღვნილი ოქრო

**კარლო იანკამ** შვეიცარიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მეორე მედალი მოუტანა. 22 წლის მოთხილამურემ თავისი გამარჯვება თანამემამულე **დანიელ ალბრეხტს** მიუძღვნა, რომელიც მსოფლიოს თასის კიტცბუელის ეტაპზე მიღებული მძიმე ტრავმების გამო სამი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა კომაში. ალბრეხტი ორი დღის წინ გამოიყვანეს კომიდან და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. სწორედ ეს სასიამოვნო ამბავი აღნიშნა იანკამ თავისი გუშინდელი გამარჯვებით.

"აისმენმა" (კარლოს მეტსახელი) ძალიან დამაჯერებლად მოიგო კარიერაში თავისი პირველი ოქრო. მან პირველივე ცდაზე მოიპოვა ლიდერობა, ხოლო მეორე დაშვებისას ტრასა უშეცდომოდ გაიარა და უახლოეს მდევარს ჯამში 71 მეასედი წამი მოუგო. იანკას ფავორიტობა იმით იყო განპირობებული, რომ მან ვალ დ'იზერის ჩემპიონატამდე სწორედ გიგანტურ სლალომში მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი.

გაიხარეს ავსტრიელებმაც. როგორც იქნა, ამ ქვეყნის კაცების ნაკრებმა პირველი მედალი მოიპოვა. 30 წლის **ბენიამინ რაიხმა** ორივე ცდაზე წააგო იანკასთან, სამაგიეროდ, სხვა კონკურენტებს აჯობა და თანაბარი გამოსვლის წყალობით დაეუფლა ვერცხლს.

ავსტრიის ნაკრებს ბრინჯაოს მედლის მისაკუთრებაც შეეძლო, მაგრამ მათმა თინეიჯერმა **მარსელ ჰირშერმა** სულ 7 მეასედი წამი დათმო ამერიკელ **ტედ ლიჯეტისთან** და მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ლიჯეტიმ პატარა სასწაული მოახდინა. სუპერკომბინაციაში ტურინის ოლიმპიადის ჩემპიონმა პირველი ცდა მეცხრე ადგილზე დაასრულა, სამაგიეროდ, მეორეზე 30 მონაწილეს შორის საუკეთესო დრო აჩვენა, რამაც სამეულში შესვლის საშუალება მისცა. ავსტრიის კაცთა ნაკრებისა არ იყოს, ამერიკელმა მამაკაცებმაც პირველი მედალი მოიგეს ვალ დ'იზერში.

| სუპერგიგანტი. კაცები | |
|---|---|
| 1. კარლო იანკა (შვეიც) | 2:18.82 (1:08.25+1:10.57) |
| 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 2:19.53 (1:08.73+1:10.80) |
| 3. ტედ ლიჯეტი (აშშ) | 2:19.81 (1:09.96+1:09.85) |
| 4. მარსელ ჰირშერი (ავსტრია) | 2:19.88 (1:09.40+1:10.48) |
| 5. მასიმილიანო ბლარდონე (იტა) | 2:20.49 (1:09.21+1:11.28) |
| 6. დიდიე კუში (შვეიც) | 2:20.51 (1:09.38+1:11.13) |

